სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“

კვარტალური ანგარიში

IV კვარტალი

თბილისი

2014

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. საინფორმაციო გამოშვება ,,მოამბე“
2. გადაცემა: „პირველი სტუდია“
3. გადაცემა: „რეალური სივრცე“
4. გადაცემა „ჩვენი დილა“
5. გადაცემა „სამოთხის ვაშლები“
6. გადაცემა „პირადი ექიმი - მარი მალაზონია “
7. გადაცემა ,,სადილის დრო“
8. ,,საბავშვო ევროვიზია“
9. ,,დიდების ევროვიზია“
10. გადაცემა - ,,ყოჩაღების ქუჩაზე“
11. გადაცემა „შეხვედრები მწერალთა სახლში“
12. გადაცემა: „ჩემი წიგნი“
13. გადაცემა: ,,უცნობი მუსიკა“
14. გადაცემა ,,სიტყვების თამაში“
15. სპორტი
16. გადაცემა ,,კომუნიკატორი“
17. გადაცემა „ფერმა“
18. დოკუმენტური ფილმების სტუდია
19. მეორე არხი
20. ეროვნული უმცირესობების - „მოამბე“ მე -2 არხზე
21. საზოგადოებრივი რადიო
22. ვებ-პორტალი
23. საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახური
24. სარეკლამო სამსახური
25. IV კვარტალში გაწეული ხარჯები
26. არქივის სამსახური
27. იურიდიული სამსახური
28. ტექნიკური დეპარტამენტი
29. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური

IV კვარტლის ანგარიში

საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“

საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის მნიშვნელოვანია ის პოლიტიკა, რომელსაც პირველი არხის საინფორმაციო სამსახური ატარებს. „მოამბისთვის“ პრიორიტეტული ამოცანაა საზოგადოების ყველა ფენის ინტერესის დაკმაყოფილება. საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურის მთავარი პრიორიტეტია სოციალური სფერო და ის საკითხები, რომელიც მოსახლეობას ყველაზე მეტად აწუხებს და აინტერესებს.

ოქტომბის თვე, პოლიტიკური ნიუსის თვალსაზრისით იყო ძალიან მნიშვნელოვანი კერძოდ:

ოქტომბრის თვეში მთავარ გამოშვებაში „მოამბემ“ ყურადღება დაუთმო, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოღვაწეობის ორი წლის მუშაობის შეფასებას. ამ საკითხზე მომზადდა ანალიტიკური რეპორტაჟი და ასევე გადასცა უმრავლეობის და უმცირესობის წევრების პოზიციები.

ასევე დებატები შედგა პირდაპირ ეთერში პარლამენტარ ირაკლი ჩიქოვანსა და პეტრე ცისკარიშვილს შორის. ასევე ოქტომბრის თვეში ყურადღება ექცეოდა ქვეყნის ევროსტრუქტურებში ინტეგრაციის და საგარეო პოლიტიკაში არსებულ მთავარ გამოწვევებს. „მოამბემ“ დიდი ყურადღება დაუთმო რუსეთსა და აფხაზეთს შორის ე.წ ხელშეკრულების პროექტის საკითხებს.

„მოამბემ“ ოქტომბრის თვეში მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო ქვეყანში არსებულ სოციალურ პრობლემებს, კრიმინოგენულ სიტუაციას. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების მდგომარეობას, გამყოფ ხაზთან სოფლების მდგომარეობას და ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უხეშ დარღვევას.

ოქტომბრის თვეში პროგრამა „მოამბემ“ სათანადო ყურაღება დაუთმო ჭიდაობის ფედერაციაში არსებულ ვითარებას. ფედერაციის პრეზიდენტის ლუკა კურტანიძის პირდაპირი ჩართვა განხორციელდა, რომელიც მოამბემ ექსკუზიურად

განახორციელა და შემდეგშიც არაერთხელ დაუბრუნდა ამ თემას და დაპირისპირებულ მხარეებს მისცა საშუალება გამოეთქვა საკუთარი პოზიციები.

პროგრამა „მოამბის“ გუნდმა განსაკუთრებული ადგილი დაუთმო 2015 წლის სახელმწიფო და თბილისის ბიუჯეტების პროექტებს. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა, პარლამენტში განათლების კომიტეტში მოწყობილ განხილვებს, რომელზეც მწვავე დისკუსია გაიმართა მასწავლებლების ხელფასების მომატების საკითხზე და სამეცნიერო ინსტიტუტების დაფინანსების თაობაზე. ცალკე იქნა გამოყოფილი სოციალური და თავდაცვის ბიუჯეტის პროექტები, ამ საკითხზე „მოამბის“ პირდაპირი ეთერი დაეთმო პარლამენტარ- ირაკლი სესიაშვილს და ჯანდაცვის მინისტრს დავით სერგეენკოს.

„მოამბე“ ყურადღების მიღმა არ ტოვებდა სხვადასხვა უწყებებში, დაწესებულებებში არსებულ პრობლემებს. 8 ოქტომბერს ოპერატიულად გაშუქდა პირდაპირ ეთერში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სეზონის გახსნაზე მომხდარი ინციდენტი. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა პროტესტს, რომელიც დაკავშირებული იყო სამხატვრო აკადემიის რექტორის არჩევნებთან.

ოქტომბრის თვეში „მოამბის“ ერთ-ერთი მთავარი თემა იყო ქალთა ძალადობის წინააღმდეგ მომხდარი ფაქტები და გამართული აქციები.

რამდენიმე რეპორტაჟი და პირდაპირი ჩართვა მიეძღვა აფხაზეთისა და რუსეთს შორის ხელშეკულების საკითხზე - პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის მეირ მოწვეული უშიშოების საბჭოს სხდომას.

პროგრამა „მოამბე“ ოქტომბრის თვეში დიდ ყურაღღებას უთმობდა რელიგიურ ნიადაგზე მოსახლეობას შორის არსებულ დაპირისპრირებას. ამ კუთხით რამდენიმეჯერ იქნა მომზადებული რეპორტაჟი სოფ. მოხეში სადაო შენობის გამო, არსებულ ინციდენზე. ამ საკითხზე ყველა დაპირისპირებულ მხარეს მიეცა საშუალება პირდაპირ ეთერში გამოეთქვა საკუთარი პოზიცია.

IV კვარტლის ანგარიში

„მოამბის“ კორესპონდენტი აქტიურად აშუქებდა ქ. კიევიდან უკრაინის რადას არჩევნებს. მთავარ გამოშვებაში ამ თემას მიეძღვნა რამდენიმე სიუჟეტი და პირდაპირი ჩართვა.

პროგრამა „მოამბე“ ყურადღებას უთმობდა საზოგადეობრივი მაუწყებლის ახალ პროექტებს, დაუთმო დიდი დრო პროექტების „ჩემი წიგნი“, ,,საბავშო ევროვიზია“,,, საგამოძებო ჟურნალისტიკა“ და პირველი არხის რეორგანიზაციის სტრატეგიაზე მუშაობის პროცესს.

„მოამბემ“ დანერგა ახალი ფორმატები. 16 საათიანი გამოშვების შემდეგ ეთერში გადის ახალი პროგრამა „ეკონომეტრი“, რომელიც ეკონომიკისა და ბიზნესის სიახლეებს გადასცემს.

,,მოამბის“ სტუმარი, რომელიც მიჰყავს ვასილ-ივანოვ ჩიქოვანს და ყოველი დღის ბოლოს დღის მთავარ თემაზე ხდება შეჯამება ექსპერტებისა და პოლიტიკოსების მიერ.

„მოამბის “ - შაბათის ფორმატი ეძღვნება, შაბათის ახალ ამბებთან ერთად მთელი კვირის მნიშვნელოვან მოვლენებზე მსჯელობას მოწვეულ სტუმრებთან ერთად.

ყოველ კვირას განახლებული ფორმატით გადის ტელებლოგი, რომლის თემებს კვირის მთავარი გამოშვების ბოლოს თავად ამ ტელებლოგის ავტორები წარადგენენ პირდაპირ ეთერში.

ნოემბრის თვეში კვლავ რჩებოდა ყურადღების ცენტრში უკრაინის მოვლენები, ამ თემების გაშუქებას „მოამბე“ დიდ დროს უთმობდა.

ნოემბრის თვეში თავდაცვის სამინისტროს მაღალინოსნების საქმე მთავარი პოლიტიკური მოვლენა იყო ქვეყანაში, რომელმაც გამოიწვია ცვლილებები:

კერძოდ, თავდაცვის მინისტრის გათავისუფლება თანამდებობიდან და საპარლამენტო უმრავლესობის ახალი კონფიგურაცია საკანონმდებლო ორგანოში.

IV კვარტლის ანგარიში

„მოამბის“ პირდაპირ ეთერში ქვეყანაში მიდმინარე მოვლენებზე და აქტუალურ საკითხებზე საკუთარი მოსაზრებები გამოთქვა არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ დამფუძნებელმა ბიძინა ივანიშვილმა. ივანიშვილის ამ ინტერვიუს საზოგადოებაში დიდი რეზონანსი მოჰყვა. ბ. ივანიშვილის ინტერვიუს მოლოდინი იმდენად დიდი იყო რომ მისი ინტერვიუ ყველა სხვა ტელეარხზე გაშუქდა (პირველი არხის ლოგოთი). ბ. ივანიშვილის განცხადებები მომავალი კვირის მთავარ თემად იქცა.

 რამდენიმე დღეში მოამბის კითხვებს პირდაპირ ეთერში საქართველოს პრეზიდენტმა უპასუხა. საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის და რუსეთთან ურთიერთობის საკითხები, ნოემბრის თვეში კვლავ აქტუალური იყო „მოამბის“ გამოშვებებში. ამ თემაზე „მოამბის“ სტუდიიდან გიორგი მარგველაშვილმა დეტალურად ისაუბრა, რომელიც პარლამენტში რუსულ საფრთხეზე და კონლფლიქტების მოგვარების გეგმაზე სიტყვით წარსდგა.

დეკემბრის თვეში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ახალი ბიუჯეტის პროექტს და ქვეყნის ეკონომუკურ მდგომარეობას. ამ კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ლარის კურსის ცვლილების საკითხმა, რომელსაც რამდენიმე რეპორტაჟი მიეძღვნა და პროგრამა „მოამბის“ სტუდიაში ამ საკითზე აღამასრულებელი ხელისუფლების წარმოამდგენლები და ექსპერტები სტუმრობდნენ.

განსაკუთრებული ყურადღება მიეძღვნა თავდაცვის სამინისტროს მიერ გაკეთებულ განცხადებას, უკრაინაში დაღუპული ქართველი მეომრის შესახებ. გადაცემა „მოამბის“ გუნდმა ყველა მხარის პოზიცია ოპერატიულად გააშუქა და ასევე თავდაცის სამინისტროს პირველი კომენტარი პირველმა გადასცა პირდაპირ ეთერში.

დეკემბრის თვეში საინფორმაციო სამსახური დიდ ყურადღებას უთმობდა საყდრისთან დაკავშირებულ მოვლენებს. კულტურის მინისტრის მიერ მიღებული

გადაწყვეტილება და კომპანია „არენჯი გოლდის“ მიერ ჩატარებული აფეთქებები რამდენიმე საპროტესტო აქციის შეკრების და ბოლოს პარლამენტში განხილვის საგანი გახდა. „მოამბის“ გუნდმა ოპერატიულად და ამომწურავად გააშუქა ყველა მოვლენა, რომელიც დაკავშირებული იყო ამ საკითხთან და პირველმა დაუთმო პირდაპირი ეთერი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორს განმარტებებისათვის.

15-16 ოქტომბერს პრაღაში ,,მოამბის“ ჟურნალისტმა ქეთევან ქარდავამ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილისა და რუსულ- ქართულ ურთიერთობებში პრემიერ - მინისტრის სპეციალური წარმომადგენელის შეხვედრა გააშუქა. ზურა აბაშიძესა და გრიგორი კარასინს შორის ჩეხეთის დედაქალაქში შემდგარი მოლაპარაკება იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ მათ საუბარს წინ უძღოდა აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლებასთან ე.წ. ხელშეკრულების გაფორმება. ,,მოამბის“ მთავარ გამოშვებაში 16 ოქტომბერს გავიდა ზურაბ აბაშიძესთან ჩაწერილი კომენტარი დაგეგმილი შეხვედრის შესაძლო შედეგებთან დაკავშირებით. მოლაპარაკების დღეს ჟურნალისტმა ,,მოამბის“ 16:00 –იან გამოშვებაში ექსკლუზიურად გადასცა ინფორმაცია 4 საათიანი უშედეგო შეხვედრის დეტალების შესახებ. „მოამბის“ მაყურებელმა აგრეთვე მოისმინა სერგეი ლავროვის მოადგილის, გრიგორი კარასინის მოსაზრებებიც.

2-5 ნოემბერს ავტრიაში იმყოფებოდა საქართველოს პრეზიდენტი. გიორგი მარგველაშვილის სამუშაო ვიზიტი გააშუქა ,,მოამბის“ ჟურნალისტმა. ვიზიტის ფარგლებში გადაიცა სრულყოფილი ინფორმაცია პრეზიდენტის გაეროს გენერალურ მდივანთან, გაეროს ადამიანთა უფლებების უმაღლეს კომისართან და ეუთოს გენერალურ მდივანთან შემდგარი შეხვედრები. მომზადდა სიუჟეტები პრეზიდენტის ავსტრიელ კოლეგასთან გამართული პირველი შეხვედრის შესახებ. პრეზიდენტის ავსტრიაში ვიზიტს დაემთხვა, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ მინისტრთა კაბინეტში განხორციელებული ცვლილებები. პირველად ,,მოამბის“ მთავარ გამოშვებაში გადაიცა პრეზიდენტის პირველი კომენტარი ყოფილი თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიასა და ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის მიერ საგარეო კურსთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებების შესახებ.

16-19 ნოემბერს ბელგიის დედაქალაქში შედგა პრემიერ- მინისტრის სამუშაო ვიზიტი. ,,მოამბის“ კორესპონდენტმა გააშუქა პრემიერის ვიზიტი, ირაკლი

IV კვარტლის ანგარიში

ღარიბაშვილის პირველი შეხვედრა ნატოს ახალ გენერალურ მდივანთან იენს სტოლტენბერგთან. გაშუქდა ასოცირების ხელშეკრულების შემდეგ, ევროკავშირსა და საქართველოს შორის შემდგარი ასოცირების საბჭო. დელეგაციის ბრიუსელში ჩასვლამდე გადაიცა მოამბის ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი ექკლუზიური ინტერვიუ ევროკომისიის წარმომადგენლებთან დაგეგმილი შეხვედრების შესახებ. განხორციელდა კორესპონდენტის პირდაპირი ჩართვა ბრიუსელიდან, სადაც იყო საუბარი ვიზიტის მნიშვნელობის შესახებ. ამავე ვიზიტის დროს ,,მოამბეში" გადაიცა ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის სპეციალური წარმომადგენელის ინტერვიუ, რომელიც ჯეიმს აპატურაიმ ექსკლუზიურად მოამბის ჟურნალისტს ქეთევან ქარდავას მისცა. ,,მოამბემ" ბრიუსელიდან პირდაპირ ეთერში გადასცა საქართველოს პრემიერ- მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილისა და ნატოს გენერალური მდივნის პირველი ერთობლივი პრესკონფერენცია. ,,მოამბის" გადამღებმა ჯგუფმა მაყურებელს მიაწოდა ინფორმაცია ასოცირების საბჭოს პირველი სხდომის შესახებ და ბრიუსელიდან პირდაპირ ეთერში გადაიცა ირაკლი ღარიბაშვილის და ევროკომისიის ვიცე- პრეზიდენტის ფედერიკა მოგერინის პირველი ერთობლივი პრესკონფერენცია. მომზადდა რეპორტაჟი ევროპული საბჭოს ახალ პრეზიდენტზე. რეპორტაჟში იყო დეტალურად საუბარი პოლონეთის ყოფილი პრემიერის გეგმების შესახებ. თუ როგორ ხედავს ევროპული საბჭოს ახალი პრეზიდენტი, დონალდ ტუსკი უკრაინის კრიზისს, ევროკაშირი- რუსეთის ურთიერთობებს და იმ საფრთხეს, რომელიც ორგანიზაციის აღმოსავლეთ პარტნიორებს ემუქრებათ.

23-26 ნოემბერს, ,,მოამბის" კორესპონდენტებმა გააშუქეს პრემიერ- მინისტრის სამუშაო ვიზიტი დიდ ბრიტანეთში. გადაიცა რეპორტაჟი ბიზნეს წრეების წარმომადგენლებთან შეხვედრის შესახებ. ამ ვიზიტის დროს პრემიერმა გააკეთა პირველი კომენტარი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტსა და აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლების პრეზიდენტს შორის მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ გაფორმებული ე.წ. ხელშეკრულების შესახებ. პრემიერის პირველი კომენტარი ,,მოამბის" ეთერით გადაიცა.

1-5 დეკემბერს ,,მოამბის" ჯგუფი იმყოფებოდა ბელგიის დედაქალაქში. ,,მოამბის" კორესპონდენტმა გააშუქა ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა. მინისტერიალამდე ერთი დღით ადრე ,,მოამბის" ჟურნალისტი დაესწრო ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის პრესკონფერენციას, სადაც ნატოს ახალმა გენერალურმა მდივანმა არსებითი პაკეტის შესახებ ,,მოამბის" ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვებს უპასუხა. ამ პრესკონფერენციაზე გააკეთა

IV კვარტლის ანგარიში

გენერალურმა მდივანმა პირველი კომენტარი, რომ ორგანიზაცია რუსეთს ვერ მისცემს გარანტიებს. მინისტერიალის დროს ,,მოამბის“ ყველა გამოშვებაში განხორციელდა კორესპონდენტის ჩართვა, სადაც ჟურნალისტმა ,,მოამბის“ მაყურებელს ნატოს წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების კომენტარები ექსკლუზიურად შესთავაზა. გაშუქდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, თამარ ბერუჩაშვილის ვიზიტი, მინისტრის შეხვედრები კოლეგებთან. ,,მოამბეში“ გადაიცა მინისტერიალის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილებები, ბრიუსელში ჯონ ქერის მიერ გამართული პრესკონფერენციის მთავარი გზავნილები.

5-7 დეკემბერს შვეიცარიაში გაიმართა ეუთოს მინისტერიალი. ბაზელში მინისტერიალი გააშუქა მოამბის კორესპონდენტმა ქეთევან ქარდავამ. ,,მოამბეში“ გადაიცა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, თამარ ბერუჩაშვილის და აშშ-ს სახელმწიფო მდივნის პირველი შეხვედრა. მომზადდა სიუჟეტი ეუთოს მინისტერიალზე მინისტრის პირველად სიტყვით გამოსვლის შესახებ. ,,მოამბის“ ჟურნალისტმა მოამზადა რეპორტაჟი ჟენევის მოლაპარაკებების და ქართული დელეგაციის ახალი ხელმძღვანელის დავით დონდუას გეგმების შესახებ. ,,მოამბის“ კორესპონდენტი დაესწრო ბაზელში მყოფი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პრესკონფერენციას. ქეთევან ქარდავამ დაუსვა კითხვა სერგეი ლავროვს საქართველოს პრემიერ-მინისტრთან და პრეზიდენტთან შეხვედრის შანსებზე და შეხვედრის წინაპირობების თაობაზე.

17 დეკემებერს სტრასბურგში ევროპარლამენტმა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულების რატიფიკაცია მოხდინა. მოამბემ სტრასბურგიდან გააშუქა რატიფიკაციაზე კენჭისყრა. მოამბის კორესპონდენტმა, ქეთევან ქარდავამ რატიფიკაცამდე ერთი დღით ადრე ,,მოამბის“ მაყურებელს შესთავაზა ევროპარლამენტარების კომენტარები რატიფიკაციის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. რატიფიკაციის პარალელურად ევროპარლამენტმა საქართველოს შესახებ 2014 წლის ბოლო რეზოლუცია მიიღო. საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა ინტერვიუ ევროპარლამენტართან ანდრეს მამიკინსთან. მამიკინსის ანგარიში გახდა რეზოლუციის ტექსტის საფუძველი. რატიფიკაციაზე კენჭისყრა ,,მოამბემ“ სტრასბურგიდან პირდაპირ ეთერში გადასცა.

„მოამბის” რეგიონული ჯგუფების მიერ გაწეული სამუშაოს ანგარიში
1 ოქტომბრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

IV კვარტლის ანგარიში

“მოამბე“ რვა რეგიონული ჯუფი :

1. კახეთი;
2. შიდა ქართლი;
3. ქვემო ქართლი;
4. სამცხე-ჯავახეთი;
5. სამეგრელო-ზემო სვანეთი;
6. იმერეთი;
7. აჭარა;
8. ფოთი და გურია;

მათ მიერ გაწეული სამუშაო:

1 ოქტომბრიდან _ 31 ოქტომბერი ჩათვლით

სულ ეთერში გაიდა: 82 სიუჟეტი, 508 ლაივ სინქრონი , 26 ტელე ჩართვა.

ზუგდიდი - 10 ოქტომბერი. გუდაბანძეების ოჯახი- სიღარიბის ზღვარს მიღმა იყო და დახმარება მოუხსნეს, რაზეც მოამბემ მოამზადა რეპორტაჟი მთავარ გამოშვებაში, რის შემდეგადაც - აღუდგინეს დახმარება. ასევე ერთჯერადად დაეხმარნენ ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები ოჯახს გადასცეს ავეჯი, ჭურჭელი, ტანსაცმელი, პროდუქტები.

აჭარა - 6 ოქტომბერი-სიუჟეტი ძველი ბათუმის ავარიულ ეზოებზე, წიგნებით გამაგრებული აივანი-რა შედეგები გამოიწვია ფასადურმა რეაბილიტაციამ ძველ ბათუმში- განხილვები და ფართო რეზონანსი მოჰყვა სიუჟეტს.

8 ოქტომბერი- დამეწყრილ ოჯახსა და სოფლის გამგებელს შორის ინციდენტი ხელვაჩაურში, რასაც სიუჟეტის შემდეგ საკითხის მოგვარება მოჰყვა

10 ოქტომბერი- ,,მოამბის“ გადამღებმა ჯგუფმა ექსკლუზიურად მოიპოვა და გააშუქა დანგრევის რა საფრთხის წინაშეა ბათუმის ღვთისმშობლის ტაძარი. -რეზონანსული სიუჟეტი იყო.

16 ოქტომბერი- პრემიერის ყველაზე რეზონანსული განცხადებები ამერიკულ გემზე სტუმრობისას რუსეთთან და აფხაზეთთან მიმართებაში-ჩვენ გადავეცით ყველაზე ადრე პირდაპირ ეთერში.

IV კვარტლის ანგარიში

18 ოქტომბერი - ჩვენ პირველებმა გავაშუქეთ როგორ დაინგრა მდინარის კალაპოტის შეცვლის გამო ბათუმში მარკოზ აჭარელის ქუჩაზე სახლი და 12 ოჯახს როგორ შეექმნა საფრთხე, რასაც მოჰყვა რეაგირება ბათუმის მერიის და აჭარის მთავრობის მხრიდან. ამ პერიოდში იყო ყველაზე ძლიერი სტიქია ბათუმში, დაიტბორა სახლები, ქუჩები, განადგურდა ზღვისპირა ზოლი, ,,მოამბის" ჟურნალისტმა მერაბ წულუკიძე სტიქიის მოვლენების ეპიცენტრში იყო და ყველა გამოშვებაში პირდაპირ ეთერში გვაწვდიდა ინფორმაციას.

20 ოქტომბერი -პირველად პირველმა არხმა დააფიქსირა, როგორ დაბრუნდნენ ეკომიგრანტები წალკიდან აჭარაში და ამ სიუჟეტის შემდეგ აჭარის ხელისუფლება თანხით და საცხოვრებლით დაეხმარა დაბრუნებულებს.

შიდა ქართლი_ოქტომბრის თვეში აქტიურად შუქდებოდა შიდა ქართლში საზღვრისპირა სოფლეში არსებული ვითარება. ადგილობრივმა ჟურნალისტმა ნინო ფისაძემ არაერთხელ მოიპოვა ექსკლუზიური ინფორმაცია ეგრეთ წოდებული რუსი მესაზღვრეების მიერ ქართველების დაკავების შესახებ.

უპრეცედენტო რთველი ჩატარდა კახეთში, სადაც შავი ყურძნის ფასი 2,50 თეთრამდე ავიდა. ხოლო თეთრი ყურძნის ფასი 1 ლარი ღირდა. რომა ქევხიშვლმა არაერთი რეპორტაჟი მოამზა ,,მოამბის" მთავარ გამოშვებაში, სადაც რთველის მიმდინარეობას დეტალურად აშუქებდა.

,,გზა საქართველოდან სირიამდე", კახეთის ჟურნალისტი რომან ქევხიშვილი რამდენჯერმე ჩავიდა პანკისის ხეობაში და დაინტერესდა ქართველების ბედით, რომლებიც სირიაში საომრად მიდიან, ჟურნალისტმა ექსკლუზიურად მოიპოვა მეომრების ფოტოები და ჩაწერა სირიაში მყოფი ქართველი მებრძოლების ოჯახის წევრები.

ასევე იყო საინტერესო რეპორტაჟები მაღალმთიანი სოფლებიდან. აქციების მრავალრიცხოვანი ტალღა რეგიონებში, იყო გამოსვლები და ხმაურიანი დაპირისპირება საყდრისის საბადოს გადასარჩენად მარნეულში ქვემო ქართლის ჟურნალისტი რუსუდან ლოლაძე ადგილზე ყოველთვის პირველი ჩადიოდა და დაპირისპირებული მხარეების მოთხოვნებს აქტიურად აშუქებდა.

13 დეკემბერი _ ,,მოამბემ" პირველმა და ექსკლუზიურად გააშუქა. სოფელ მოხეში მომხდარი დაპირისპირება. მუსლიმი მრევლი კულტურის სახლის მშენებლობას აპროტესტებდა და აცხადებდა, რომ სადაც კულტურის ცენტრი უნდა აშენებულიყო იქ ადრე მუსლიმების სალოცავი მდებარეობდა. დაპირისპირება რაიოში რამდენიმე დღე გაგრძელდა.

ფოთის კოლხური მუზეუმი სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებს. კულტურულ მემკვიდრეობას საფრთხე ემუქრება. ,,მოამბის“ ეთერში გასულ სიუჟეტს, რომელიც იქ არსებულ პრობლემებს ეხებოდა, გამოხმაურება მოჰყვა. კერძოდ, სიუჟეტის ეთერში გასვლიდან რამდენიმე დღეში, კულტურის სამინისტროს წევრები მუზეუმს ესტუმრნენ, პრობლემები ადგილზე დაათვალიერეს და კოლხური კულტურის მუზეუმის ადმინისტრაციას, შენობის რეაბილიტაციისათვის ცენტრალური ბიუჯეტიდან თანხების გამოიყო.

გურია ოქტომბრის თვე. ,,მოამბეში“ გავიდა სიუჟეტი, რომელიც ჩოხატაურის რამდენიმე სოფელში, ბაღების მშენებლობა- რეაბილიტაციას ეხებოდა. რის შემდეგაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ შექმნა სპეციალური კომისია, რომელიც რამდენიმე სოფელში ბაღების მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხების მიზნობრიობის შესწავლას ისახავდა მიზნად.

1 ნოემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით

სულ ეთერში გავიდა: 78 სიუჟეტი, 492 ლაივ სინქრონი, 11 ტელე ჩართვა

გორის რიაონის სოფელ გაგლოაანთ უბანზე „მოამბემ“ არაერთხელ მოამზადა სიუჟეტი სოფლის სოციალურ პრობლემებზე. სოფელს არ ჰქონდა ელექტრო ენერგია და იყო გზის პრობლემა. ბოლოს სოფელზე სიუჟეტი მომზადდა 2014 წლის ოქტომბრის ბოლო რიცხვებში. ნოემბრის დასაწყისში სოფელში გზა მოიხრეშა, თვის ბოლოს კი სოფელს ელექტროენერგიის მიწოდება აღუდაგა, რაც არ ჰქონია ბოლო 24 წელი.

აჭარა 24 ნოემბერი - რეზონანსული იყო მუფთის გადადგომისა და ახალი მუფთის არჩევის თემა, რაც, პირველად პირველმა არხმა გააშუქა. რასაც მუსლიმი მოსახლეობის ფართო რეზონანსი მოჰყვა.

ზუგდიდი -13 ნოემბერი - პირველი არხის ჟურნალისტმა ნატო ბერულავამ გააშუქა ხაიშში მცხოვრები ჭკადუების ოჯახის პრობლემა. -ოჯახი ვაგონში ყველანაირი პირობის გარეშე ცხოვრობდა, დედა მძიმე ავადმყოფი იყო და მცირეწლოვან ბავშვებს ზრდიდა. სამივე ბავშვი გადაიყვანეს სოციალურმა სამსახურმა ოჯახში და ყველაფრით უზრუნველყოფილნი არიან. დედის მკურნალობასაც აფინანსებენ, რომელიც დაავადებულია ტუბერკულიოზით.

გურია -ნოემბერი - ფოთის კორესპოდენტის თეა აბსარიძის მიერ გაშუქებული, ლანჩხუთის სპორტსკოლაში არსებული პრობლემების შემდეგ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ შენობის რეაბლიტიცასიისათვის მუშაობა გააქტიურა. როგორც

IV კვარტლის ანგარიში

სპორტსკოლის წარმომადგენლები აცხადებენ, აღნიშნული სიუჟეტის ,,მოამბის“ ეთერში გასვლის შემდეგ, ხელისუფლებამ სკოლის რეაბილიტაციისათვის საჭირო თანხების მოძიებაზე ზრუნვა დაიწყო.

ნომებრის თვეში ასევე გაშუქდა კომფლიქტის ზონის მიმდებარე ტერიოტირაზე არსებული ვითარება, რამოდენიმე სოფელში მოსახლეობამ ვერ შეძლო ზამთარში შეშით მომარაგება, ასეთები იყო ხურვალეთი, ლამისყანა, დვანი და კიდევ რამოდენიმე სოფელი, რასაც საზოგადოებაში და სოციალურ ქსელებში დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

1 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით

სულ ეთერში გავიდა: 80 სიუჟეტი 471 ლაივ სინქრონი, 10 ტელე ჩართვა

აჭარა 2 დეკემბერი- ბათუმში კაფე „რვაფეხას“ შესახებ პირველი არხის მიერ მომზადებული სიუჟეტის შემდეგ დაიწყო კამპანია-გადავარჩინოთ „რვაფეხა“ და დაგეგმილ აქციაზე ხელისუფლების წარმომადგენლებიც მივიდნენ.

4 დეკემბერი-სასწრაფოს დაგვიანების გამო, გარდაიცვალა ხელვაჩაურში ახალგაზრდა კაცი - „მოამბის“ მიერ მომზადებული სიუჟეტის შემდეგ გატარდა ადმინისტრაციული ზომები.

27 დეკემბერი-პოლიციელის მკვლელობა ბათუმში-რეზონანსული საქმე. მხოლოდ პირველმა არხმა მოიპოვა შემთხვევის დროს გადაღებული ექსკლუზიური ვიდეომასალა.

ზუგდიდი 11 დეკემბერი _ ნატო ბერულავას ექსკლუზიურად მომზადებულ სიუჟეტს დიდი გამომხმაურება მოჰყვა, მან გააშუქა ცაიშის სანატორიუმში ჩასახლებულ დევნილთა პრობლემები, რის შემდეგადაც დევინლთა სამინისტრო ადგილზე იყო ჩასული და შეისწავლეს მათი პრობლემები. ერთ-ერთ დევნილს ბინა უკვე გამოუყვეს.

ქვემო ქართლი - საყდრისის აფეთქებას მასობრივი აქცია მოჰყვა რეგიონში, სადაც ჩვენი კორესპონდენტი პირველი ჩავიდა და 4 საათიან გამოშვებაში ექსკლუზიურად მოგვაწოდა ინფორმაცია. ამის შემდეგ თითქმის 1 კვირის განამავლობაში ყოველდღე ჩადიოდა საყდრისში და მიმდინარე მოვლენებეს აშუქებდა. იყო გამოსვლები როგორც საყდრისის გადარჩენის კომიტეტის წევრების ასევე კომპანია ,,არემჯი გოლდში“ დასაქმებული თანამშრომლების. პროტესტი იმდენად მაშტაბური იყო რომ მას მოჰყვა პრემიერის, პრეზიდენტის და პატრიარქის გამოხმაურება.

თემა თითქმის მთელი თვის განმავლობაში აქტუალური იყო. „მოამბემ“ არაერთი პირდაპირი ეთერთი დაუთმო თემის აქტიურად გაშუქებას.

ფოთის ჟურნალისტმა თეა აბსარიძემ დეკემბერში მოამზადა სიუჟეტი, რომელიც დანგრევის პირას მყოფ, ფოთში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს ეხებოდა. რასაც ადგილობრივი ხელისუფლების და კულტურის სამინისტროს დაინტერესება მოჰყვა. როგორც ცნობილია ძეგლის რეაბილიტაციისთვის შესაბამისი თანხები გამოიყო.

დეკემბერში გავაშუქეთ ამბავი, რომელიც ღია ცის ქვეშ დარჩენილ ერთ-ერთ უსახლკაროს ეხებოდა, რომელსაც თოვლსა და ძლიერ ყინვაში განსაკუთრებული პრობლემები შეექმნა და დამოუკიდებელ გადაადგილებასაც ვერ ახერხებდა. აღნიშნული სიუჟეტის ეთერში გასვლის შემდეგ, ხელისუფლებამ მას დროებითი თავშესაფარი გამოუყო.

გადაცემა: „პირველი სტუდია“

თოქ-შოუ ,,პირველი სტუდია” 2014 წლის სექტემბრიდან ეთერში გადის ყოველ პარასკევს 22 საათზე. გადაცემის ქრონომეტრაჟია 90 წუთი. გადაცემის ავტორი და წამყვანია ეკა მიშველაძე. კვირის შემაჯამებელ გადაცემაში აქტიურადაა ჩართული აუდიტორია, რომელიც მთავარ სტუმრებთან ერთად მონაწილეობს დისკუსიაში, სვამს შეკითხვებს და განსაზღვრავს თოქ-შოუში მრავალმხრივი პოზიციების წარმოდგენას. მაყურებელს საშუალება აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენების განხილვაში უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა. თოქ-შოუ „პირველ სტუდიაში“ კვირის ყველაზე მნიშვნელოვანი და აქტუალური თემები. ხელისუფლების და ოპოზიციის წარმომადგენლების გარდა გადაცემაში მონაწილეობენ სხვადასხვა მიმართულების ექსპერტები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

საანგარიშო პერიოდში ,,პირველ სტუდიაში” გაშუქდა როგორც საგარეო ისე საშინაო პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. მათ შორის: ევროსაბჭოს საპარლამენტო ანსამბლეის რეზოლუცია, რუსეთთან ურთიერთობის პოლიტიკა, აფხაზეთის და ცხინვალის ანექსიის საფრთხე, უკრაინაში ქართველი ყოფილი მაღალჩინოსნების დანიშვნა და მისი გავლენა საქართველო-უკრაინის ურთიერთობებზე. ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება ევროპარლამენტის მიერ. ე.წ. მოსმენების შესახებ კანონი და პრეზიდენტის მიერ ვეტოს გამოყენება, მთავრობაში განხორციელებული საკადრო ცვლილებები, თავდაცვის მინისტრის გადაყენება და ამ ცვლილებებთან დაკავშირებული პოლიტიკური ვითარება,

IV კვარტლის ანგარიში

დედაქალაქში დაგეგმილი სადავო ინფრასტრუქტურული პროექტები და დისკუსია ამ თემაზე თბილისის მერის და საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით, ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემას მიეძღვნა სპეციალური გადაცემა.

საანგარიშო პერიოდში (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი) ,,პირველ სტუდიაში" მიმდინარე პოლიტიკურ თემებზე არაერთხელ გაიმართა დებატები საპარლამენტო უმცირესობასა და უმრავლესობას შორის. გადაცემის წამყვანის შეკითხვებს პასუხობდნენ როგორც სხვადასხვა სამინისტროს პირველი პირები და დეპუტატები, ასევე არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები, არასამთავრობო სექტორის წევრები და ექსპერტები. ,,პირველ სტუდიაში" ამ პერიოდში წარმოდგენილი იყო ყველა ის საკითხი, რომელიც აქტუალური იყო საზოგადოებისთვის.

გადაცემა: „რეალური სივრცე"

წამყვანი: ნინო ზაუტაშვილი

გადაცემების ეთერშ̧ გასვლის დრო : 08.10.2014 – 25.12.2014

გადაცემა მეორე

ეთერში გასვლის დრო: 08.10.2104

თემა: შეზღუდული გარემო

სტუმრები:

გედევან ფოფხაძე - პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

გიორგი ახმეტელი - "ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის" გამგეობის თავმჯდომარე;

გიორგი ალავიძე - ორგანიზაციის "ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის" გამგეობის წევრი;

თინა ბრეგვაძე - გორის ინვალიდთა კლუბი;

თამარ ქუთათელაძე - არასამთავრობო ორგანიზაცია "სოც-კოდექსის" წარმომადგენელი;

IV კვარტლის ანგარიში

რატი იონათამიშვილი -კოალიციის "დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის" პოლიტიკური მიმართულების ხელმძღვანელი;

ლელა გვიშიანი - "ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის" იურისტი;

გია ჯვარშეიშვილი – ორგანიზაციის "ვიმეგობროთ შშმ პირებთან" ხელმძღვანელი;

ლალი აბიათარი - "თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი - სამკურნალო პედაგოგიური სკოლის" წარმომადგენელი;

ამირან დათეშიძე - ჯანდაცვის სამინისტროს სოც.დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ალუდა გოგლიჩიძე - მერის მოადგილე;

ბექა მიქაუტაძე - საბურთალოს რაიონის გამგებელი;

გიორგი ძნელაძე – კოალიციის "დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის" თავმჯდომარე;

ირინა ინასარიძე – კოალიციის "დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის" პროექტების დირექტორი;

გურამ ჩხაიძე - ორგანიზაციის "ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის" წარმომადგენელი;

სალომე მიქაძე - ორგანიზაციის "ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის" წარმომადგენელი.

გადაცემა მესამე

ეთერში გასვლის დრო: 14.10.2014

თემა: პენსიონერები

სტუმრები:

ქეთი კრიალაშვილი - ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის დირექტორი;

რამაზ გერლიანი - ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის პრეზიდენტი;

ლია ბერიკაშვილი - კვების პროდუქტების სპეციალისტი, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი;

IV კვარტლის ანგარიში

თინათინ სტამბოლიშვილი - GPI Holding-ის მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსი;

მერი სეხნიაშვილი - მთაწმინდის პენსიონერთა კავშირის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე;

ჟუჟუნა გოგუაძე, ნანა დარჩიაშვილი, მიხეილ ტიბანელი - პენსიონერები.

გადაცემა მეოთხე

ეთერში გასვლის დრო: 21.10.2014

თემა: სტუდენტების პროტესტი აკადემიაში

სტუმრები:

დავით ალექსიძე - სახვითი ფაკულტეტის დეკანი

გივი ყიფიანი - თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ვიცე-კანცლერი

ნანა ქუთათელაძე - თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი

ჯანა ჯავახიშვილი - ფსიქოლოგი, საქართველოს ფსიქოტრამვის საზოგადოება - GIP

ლუიზა ლაფერაძე - სამხატვრო აკადემიის ყოფილი ლექტორი

გია ეძგვერაძე -მხატვარი

გოგი ხოშტარია - ხელოვნებათმცოდნე

8ნანა ყიფიანი - ხელოვნებათმცოდნე

გიორგი კარტოზია - სამხატვრო აკადემიის სტუდენტი

გადაცემა მეხუთე

ეთერში გასვლის დრო: 28.10.2014

თემა: ძალადობა ქალებზე

სტუმრები:

IV კვარტლის ანგარიში

გაგა ნიჟარაძე - ფსიქოლოგი;

მანანა შარაშიძე - ფსიქიატრი;

ლაშა ბუღაძე - მწერალი;

მანანა ფურცხვანიძე - ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის იურისტი;

მაკა ფერაძე - შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობათა პროექტების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი;

თეო ხატიაშვილი -კინომცოდნე;

ზაურ ხალილოვი - სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი; ეპისკოპოსი მალხაზ სონღულაშვილი;

ბაია პატარაია - ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფის წევრი;

ანა სიდამონიძე - ბლოგერი;

ნატო შავლაყაძე - ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის თავმჯდომარე;

სანდრო ლორთქიფანიძე - მწერალი;

იასინ ალიევი -აღმოსავლეთ საქართველოს მუფთი;

გაზანფერ მამედოვი - საგარეჯოს საკრებულოს წევრი, იორმუღანლოს დეპუტატი;

ლელა ფირალიშვილი - კულტუროლოგი.

გადაცემა მეექვსე

ეთერში გასვლის დრო: 06.11.2014

თემა: მთის დაცლილი სოფლები

სტუმრები:

კობა არაბული - მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის მოადგილე;

ვაჟა ჩოხელი - დუშეთის გამგებელი;

ოთარ კონჯარია - თვითმმართველობის განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი;

IV კვარტლის ანგარიში

ავთანდილ სულაბერიძე - ილიას უნივერსიტეტის დემოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი;

გიორგი გიგაური - სოფელ ბლოდან გადმოსახლებული;

ივანე გიგაური - სოფლის ხევისბერი;

გიორგი კეკელიძე - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი;

თეკლე ქველაძე - “წიგნები მაღალმთიან სოფლებს”, პროექტის ხელმძღვანელი;

ნინო არაბული - "არაბული ArtHouse-ის" პროექტის მენეჯერი.

გადაცემა მეშვიდე

ეთერში გასვლის დრო:13.11.2014

თემა: შეშის გარეშე დარჩენილი სოფლები

სტუმრები:

ბიძინა გუჯაბიძე - საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, "კონსერვატიული პარტიის" წარმომადგენელი;

მარინა სუჯაშვილი - ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის მოვლა-აღდგენის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ირაკლი მაჭარაშვილი - გარემოსდამცველი, ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივის" წარმომადგენელი;

ნინო ჩხობაძე - ორგანიზაცია "საქართველოს მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრების" ხელმძღვანელი;

გიორგი გურასპაშვილი - ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

რობინზონ კუჭაძე, მარინა ლობჟანიძე, ეკა ლობჟანიძე, ეკატერინე გონგლაძე - სოფელ ნაბახტევის მაცხოვრებლები.

გადაცემა მერვე

ეთერში გასვლის დრო: 20.11.2014

IV კვარტლის ანგარიში

თემა: აჭარა, შუახევჰესის მშენებლობა

სტუმრები:

ნოდარ დუმბაძე - სოფელ ჩანჩხალოში მცხოვრები;

რამაზ ჯინჭარაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე;

მაია ბითაძე - გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე;

ტარიელ ტუსკია - აჭარის გარემოს დაცვის სამინისტროს გეოლოგიური დეპარტამენტის თავმჯდომარე;

თამაზ ბაკურიძე - უფლებადამცველი;

ილია ელოშვილი - ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე;

ზვიად დიასამიძე - შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;

მანანა ქოჩლაძე - გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივა";

ნათია ზოიძე - "საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" წარმომადგენელი;

ვახტანგ წულაძე - აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსი;

ბიორნ ბრანდზეგი - "აჭარის წყალი ჯორჯიას" აღმასრულებელი დირექტორი;

გადაცემა მეცხრე

ეთერში გასვლის დრო: 27.11.2014

თემა: სმენის დარღვევის

სტუმრები:

გაიოზ თალაკვაძე - ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორი;

IV კვარტლის ანგარიში

ეკა დგებუაძე - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი;

ზურა გამგებელი - ეროვნული აუდიოლოგიის ცენტრის აუდიოლოგი;

თეა ჩიტაშვილი - მშობელი;

ეკა თორთლაძე - ფონდი "აურეს" თავმჯდომარე;

ნანა გელაშვილი - ფონდი "აურეს" თანათავმჯდომარე;

ივა ქევანიშვილი - აუდიოლოგი, "ჯაფარიძე-ქევანიშვილის კლინიკა";

ნინო მეტრეველი - თბილისის 203-ე საჯარო სკოლის დირექტორი;

მაია მეტონიძე - ყრუთა კავშირის ხელმძღვანელი.

გადაცემა მეათე

ეთერში გასვლის დრო: 04.12.2014

თემა: რკინიგზელთა ცხრადღიანი ბრძოლის დასასრული

სტუმრები:

პაატა ბელთაძე - სახალხო დამცველის მოადგილე;

ლინა ღვინიანიძე - "ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის" ადამიანის უფლებების პროგრამის ხელმძღვანელი;

ანა თვარაძე - "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" იურისტი;

ჯონი თავართქილაძე - მემანქანე;

ილია ლეჟავა - რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირის ვიცე პრეზიდენტი;

გოჩა ალექსანდრია - საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილე;

ვიტალი გიორგაძე - რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირის პრეზიდენტი

IV კვარტლის ანგარიში

გადაცემა მეთერთმეტე

ეთერში გასვლის დრო: 12.12.2014

თემა: „რეალური სივრცე“ შეუერთდა საქართველოს სოლიდარობის ფონდს

სტუმრები:

მარიამ ჯაში - სოლიდარობის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი;

ნათია ტატუნაშვილი - მშობელი;

რიმა თათრიშვილი - მშობელი;

ალუდა გოგლიჩიძე - თბილისის მერის მოადგილე;

რუსუდან კლიმიაშვილი - ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი;

ზურაბ გვასალია - ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი;

ასმათ შენგელაია - იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ონკო-ჰემატოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ნინო ტოტოღაშვილი - კლინიკა "ლაიფ-მედის" წარმომადგენელი;

კახა ჯანაშვილი - დიმიტრი ცინცაძის სახელობის ფონდის დირექტორი;

დედა თინათინი - ბერი ანდრიას სახელობის ფონდის წარმომადგენელი;

რამილა ალიევა;

გიორგი ბენაშვილი - კომპანია "ყაზტრანსგაზ თბილისის" მმართველი;

ლევან კილაძე - კომპანია "ლემონდუს" ხელმძღვანელი;

ალექსანდრე ონოფრიშვილი - მთის კურორტების განვითარების კომპანიის დირექტორი;

ეკა დათუნაშვილი - პაატა ბურჭულაძის ფონდ "იავნანას" პროექტის მენეჯერი;

ნათია ცხადაია - საქართველოს უზენაესი სასამართლოს სპიკერი;

გიორგი ბარათაშვილი - საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი;

IV კვარტლის ანგარიში

ნინო ჯიბლაძე - კომპანია "გალფის" მარკეტინგის ვიცე პრეზიდენტი;

გიორგი კერესელიძე - "ისტერნ პრომოუშენის" დირექტორი;

კახა კანდელაკი - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე;

მაკა მახარაძე - "ვერის უბნის ტანც-კლასის" ხელმძღვანელი;

სიმონ პეტრიდისი - პრემიერ მინისტრთან არსებული შშმ პირების საკითხებზე; მომუშავე საკოორდინაციო საბჭოს წევრი;

ნინო კაკრიაშვილი - პაციენტი.

გადაცემა მეთორმეტე

ეთერში გასვლის დრო: 19.12.2014

თემა: საყდრისის ათვეთქება

სტუმრები:

ნინო მიქიაშვილი - საყდრისის მცველი;

ირაკლი ლომიძე - საყდრისის მცველი;

თამარა ამაშუკელი - ხელოვნებათმცოდნე;

ჯუმბერ კოპალიანი - არქეოლოგი;

გოდერძი ნარიმანიშვილი - არქეოლოგი;

ლალი პერტენევა - ხელოვნებათმცოდნე;

სულხან სალაძე - ახლაგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი;

ნინო გუჯარაიძე - ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" აღმასრულებელი დირექტორი;

ლევან ხარატიშვილი - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე;

ნიკოლოზ ანთიძე - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის; ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი;

IV კვარტლის ანგარიში

ზურაბ მახარაძე - საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წევრი;

დალი მამულაშვილი – ბოლნისის რაიონის დაბა კაზრეთში მცხოვრები;

თორნიკე რაზმაძე – სტუდენტური გაერთიანება "მწვანე მუშტის" წევრი;

დათო სახვაძე - მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე;

ირაკლი მამალაძე - საყდრისის გადარჩენის კომიტეტის წევრი;

თეა ონიანი – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსი;

არჩილ კბილაშვილი – კომპანია "არ ემ ჯის" სამართლებრივი მრჩეველი.

გადაცემა მეცამეტე

ეთერში გასვლის დრო: 25.12.2014

თემა: რატომ არ უნდა იხსნებოდეს ბავშვთა სახლები

სტუმრები:

ქეთი მელიქაძე - გაეროს ბავშვთა ფონდის სოციალური კეთილდღეობის პროგრამის ხელმძღვანელი;

მაია ქურციკიძე - გაეროს ბავშვთა ფონდის კომუნიკაციების პროგრამის ხელმძღვანელი;

ნათია ფარცხალაძე - სოციალურ მუშაკთა ასოციაციის თავმჯდომარე;

ეკა დგებუაძე - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი;

მარი წერეთელი - მეურვეობა მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსი;

დათო კინწურაშვილი - ფონდის "მომავლის გზა" ხელმძღვანელი;

გია კაკაჩია - ორგანიზაციის "პარტნიორობა სოციალური კეთილდღეობისთვის" წარმომადგენელი;

მარინა შაღაშვილი - თბილისის "SOS ბავშვთა სოფლის" ხელმძღვანელი;

IV კვარტლის ანგარიში

ლევან ბალიაშვილი - ქუთაისის "SOS ბავშვთა სოფლის" ხელმძღვანელი;

თამთა მიქელაძე - "ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის" წარმომადგენელი;

ჯაბა ნაჭყებია - საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდების კეთილდღეობის კოალიციის ხელმძღვანელი;

ეთერ ცხაკაია - მეურვეობისა და მზრუნველობის სამმართველოს უფროსი;

ქეთი ვაშაკიძე - სოციალური მუშაკი;

მაია გედევანიშვილი - სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრის უფროსი.

გადაცემა „ჩვენი დილა“

განხორციელებული ამოცანები

1. **<u>გადაცემის მიმართულებების განახლება</u>**

განახლდა პროგრამის მიმართულებების ნაწილი. გადაცემას დაემატა შემდეგი რუბრიკები:

- **თქვენი უფლებები**
  გადაცემის ეს სეგმენტი ორიენტირებულია საზოგადოების ინფორმირებულობაზე იურიდიული თემატიკის მიმართულებით. მაყურებელს საშუალება აქვს მიიღოს ინფრომაცია და რჩევები პროფესიონალი იურისტებისგან.

- **სოციალური სივრცე**
  მიმართულება განხილულია საქართველოში არსებული სოციალური თემატიკის პრობლემები/საკითხები. შესაბამისი დარგის ექსპერტები საჭირო რჩევებს აძლევენ მოსახლეობას მათთვის საინტერესო სოცუალური პრობლემების/საკითხების მოგვარების მიზნით
- **ფსიქოლოგიური თემები**
  გადაცემის ამ ნაწილში საზოგადოება იღებს რჩევებს პროფესიონალი ფსიქოლოგებისგან. სხვადასხვა აქტუალური ცხოვრებისეული სიტუაციების შესახებ საზოგადოებისთვის აქტუალურ თემებზე

- **ტელე პორტრეტი**
  პორტრეტული ტიპის ინტერვიუში მაყურებელს საშუალება აქვს შეხვდეს მისთვის კარგად ნაცნობ და ნაკლებად ცნობილ ადამიანებს. მოისმინოს და

გაიზიაროს საინტერესო ადამიანების ზოგადი ღირებულები და ცხოვრებისეული გამოცდილება.

- **მუსიკალური ბლოკი**
  გადაცემას დაემატა მუსიკალური ბლოკი, რომელსაც უძღვება წამყვანი ლადო ტატიშვიილი. პროგრამის ამ ნაწილში ლადო ტატიშვილი ყოველდღიურად მაყურებელს მოუთხრობს ამა თუ იმ მუსიკალური კომპოზიციისა თუ ავტორის შესახებ, საინტერესო ფაქტებსა და სიახლეებს. რუბრიკის სტუმრები დილიდან ზრუნავენ მაყურებლის განწყობის ამაღლებაზე.

- **ამოუცნობი და საინტერესო მოვლენები**
  გადაცემის ეს ნაწილი ეთმობა საქართველოსა და მსოფლიოში მიმიდინარე და აღმოჩენილი საინტერესო და უცნაური მოვლენების და ფაქტების მაყურებლისთვის გაზიარებას.
- **ხალხური მედიცინა**
  მაყურებელი იღებს რჩევებს, ხალხური მეთოდებით მკურნალობის შესახებ.
- **ბენდი**
  გადაცემაში მოვახდინეთ ბენდის ინტეგრაცია. ბენდი დილიდან ზრუნავს 1 არხის მაყურებლის განწყობის ამაღლებაზე.

დილის ეთერში მიმდინარე მიმართულებებად დარჩა:

კულტურის ბლოკი

რჩევები

სპორტი

საბავშვო ბლოკი

და სხვ.

2. <u>**სტუდიის დეკორაციის განახლება**</u>

განხორციელდა დილის სტუდიის დეკორაციის განახლების პროექტი.

3. <u>**დინამიური, მორბენალი და სტატიკური პლაშკების ფორმირება**</u>

მომზადდა და ეთერში ჩაეშვა დინამიური პლაშკები საეთეროდ. დინამიურ პლაშკებზე განთავსებულია ინფორმაცია შემდეგი მიმართულებით:

- ეს დღე ისტორიაში
- უფასო, იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო და აშ. ცხელი ხაზის საკონტაქტო ინფორმაცია

IV კვარტლის ანგარიში

- მატარებლების, თვითმფრინავების განრგი
- სიუჟეტის/ სტუმრის საუბრის მოკლე ანოტაცია
- ჰოროსკოპი
- ათვიშა

4. **Cross Promotion**

Cross Promotion-ის გაძლიერების მიზნით დავიწყეთ აქტიური თანამშრომლობა საზოგადოებრივი მაუწყებლის ყველა ქვედანაყოფთან. მუდმივად ვაშუქებთ:

- საზოგადოებრივი მაუწყებლის აქტივობებს
- 1 არხის სხვა გადაცემების/აქტივობებს.
- 2 არხის აქტივობებს
- საზოგადოებრივი რადიოს აქტივობებს
- რუბრიკაში -„პორტრეტი“ კვირაში ერთხელ ვიწვევთ საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლებს (წამყვანებს; მენეჯერებს და აშ.) მათი პოპულარიზაციის მიზნით

5. **<u>აქტივობები სოც ქსელში</u>**

მეოთხე კვარტლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა აქტივობების მაჩვენებელი სოც ქსელში. ინტერნეტ მომხმარებელს საშუალება აქვს მიიღოს განახლებადი ინფორმაცია შემდეგი მიმართულებით:

- გადაცემის/ კონკრეტული სიუჟეტის ანონსი (ერთი დღით ადრე)
- გადაცემის/ კონკრეტული სიუჟეტის ანონსი (ეთერში გასვლამდე რამდენიმე საათით ადრე
- გადაცემის სრული ვიდეო ვერსია
- გადაცემაში გასული სიუჟეტების ვიდეო ვერსია
- გადაცემაში მოწვეული სტუმრების ვიდეო ვერსია

გადაცემის ფეისბუქის გვერდის საშუალებით მომხმარებელს საშუალება აქვს:

- ჩაერთოს ინტერაქტიულ გამოკითხვებში
- დასვას კითხვები
- მოგვაწოდოს მოსაზრებები/შენიშვნები

IV კვარტლის ანგარიში

გადაცემა „სამოთხის ვაშლები“

2014 წლის IV კვარტლიდან პროგრამამ „სამოთხის ვაშლები“ განიცადა ცვლილება და კვლავ დაუბრუნდა თავდაპირველ კონცეფციას. ისევე როგორც ვაშლების I, II,III, IV, V, VI სეზონზე, ამჯერადაც დაიჭირა გასართობ-შემეცნებითი ნიშა.

გადაცემის მიზნობრივი აუდიტორიის გათვალისწინებით კვარტლის განმავლობაში, პროგრამაში სტუმრებთან ერთად განხილული იყო შემდეგი თემები:

- შვილად აყვანა
- როცა ოჯახში თინეიჯერია
- ცხოვრება 40 წლის შემდეგ იწყება
- როგორ ვხარჯავთ ფულს
- ჩემი ბავშვობით ვცხოვრობ (ბავშვობაში წარმატებულები ზრდასრულ ასაკში) სარაჯიშვილი, მზიურელები
- როდის ვასწავლოთ მეორე ენა
- სოციალური ქსელები
- ლამაზი ქალი
- და-ძმის ურთიერთობა
- ექიმბაშები
- ბოროტი ჭორი
- როცა საკუთარ დიაგნოზს ვმალავთ (ტუბერკულიოზი, ეპილეფსია, შიდსი და ა.შ.)
- ანდერძის დატოვების ტრადიცია
- „იკომო-საქართველოს“ მიერ საქ-ში განხორციელებული პროექტები, კონკრეტულად სასკოლო სახელძღვანელო კულტურის და ხელოვნების შესახებ.
- ქართული რემონტის თავისებურებები
- მარტო ბავშვის გამო ვართ ერთად
- მეორე ნახევარი
- როცა ქალი უფროსია, წარმატებული ქალი
- ბედის მართვა
- თანხა თინეიჯერს
- ცოლ-ქმარი ერთ სამსახურში
- გულახდილი საუბრები
- რატომ ვიცვლით გარეგნობას

IV კვარტლის ანგარიში

- ქართული ტრადიციები და წეს-ჩვეულებები
- როგორ გამოვისწოროთ ხასიათი - ოპტიმიზმის რეცეპტი
- დროის მართვა
- ურთიერთობის ხელოვნება ლავირების უნარი
- ასტროლოგიური პროგნოზი
- ბიზმნესი სილამაზისთვის
- ვარსკვლავის გახსნა
- საახალწლო გადაცემა
- საახალწლო რეპერტუარი
- შობა
- საშობაო ტრადიციები (რეგიონები)
- რა არის ბედნიერება -
- ქართველები უცხოეთში
- ცხოვრება 50-ის შემდეგ
- ძველით ახალი წელი
- ქართული თეატრის დღე -
- ოკ-სარეკლამო -
- წარმატებას დედას ვუმადლი -
- ევროვიზია
- ახალი სიტყვა
- ბულინგი -
- თაობათა შორის ურთიერთობა
- ოპერა ოპერის გარეთ
- რა რჩება ქალს განქორწინების შემდეგ
- საშვილოსნოს ყელის კიბოს კვირეული
- ქუთაისის თოჯინების თეატრი
- საერთო ინტერესი
- 21-ის ფემინისტები
- ბავშვი და მუსიკალური განათლება

6. <u>Cross Promotion</u>

Cross Promotion-ის გაძლიერების მიზნით დავიწყეთ აქტიური თანამშრომლობა საზოგადოებრივი მაუწყებლის ყველა ქვედანაყოფთან. მუდმივად ვაშუქებთ:

- საზოგადოებრივი მაუწყებლის აქტივობებს
- 1 არხის სხვა გადაცემების/აქტივობებს.

- 2 არხის აქტივობებს
- საზოგადოებრივი რადიოს აქტივობებს
- ვიწვევთ საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლებს (წამყვანებს; მენეჯერებს და აშ.) მათი პოპულარიზაციის მიზნით

7. **<u>აქტივობები სოც ქსელში</u>**

მეოთხე კვარტლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა აქტივობების მაჩვენებელი სოც. ქსელში. ინტერნეტ მომხმარებელს საშუალება აქვს მიიღოს განახლებადი ინფორმაცია შემდეგი მიმართულებით:

- გადაცემაში სასაუბრო თემის ანონსი (ერთი დღით ადრე)
- გადაცემაში სასაუბრო თემის ანონსი (ეთერში გასვლამდე რამდენიმე საათით ადრე
- გადაცემის სრული ვიდეო ვერსია
- გადაცემაში მოწვეული სტუმრების ვიდეო ვერსია

გადაცემის ფეისბუქის გვერდის საშუალებით მომხმარებელს საშუალება აქვს:

- ჩაერთოს ინტერაქტიულ გამოკითხვებში
- დასვას კითხვები
- მოგვაწოდოს მოსაზრებები/შენიშვნები

გადაცემა „პირადი ექიმი - მარი მალაზონია "

2014 წლის მეოთხე კვარტალში პროგრამა განახლებული სახით გავიდა ეთერში, როგორც დამოუკიდებელი გადაცემა.

კვარტლის განმავლობაში გადაცემას დაემატა შემდეგი მიმართულებები :

- ყოველ ორშაბათს Skype-ს საშუალებით გადაცემაში ერთვებიან საქართველოს საზღვრებს გარეთ მომუშავე ექიმები, რომლებიც თავიან გამოცდილებას უზიარებენ მაყურებელს
- ყოველ სამშაბათს და ხუთშაბათს ეთერში გადის მაყურებლის მიერ გამოგზავნილი ვიდეო კითხვები, რომელსაც მოწვეული სტუმრები პირდაპირ ეთერში პასუხობენ
- ყოველ ოთხშაბათს გადაცემაში მოწვეულნი არიან სამედიცინო პროფილის სტუდენტები, რომლებიც საუბრობენ სხვადასხვა აქტუალურ თემებზე და

სვამენ კითხვებს, რომელსაც მოწვეული ექსპერტები/ექიმები პირდაპირ ეთერში პასუხობენ.

- ყოველ პარასკევს მარი მალაზონია მოწვეულ სტუმრებთან ერთად აწყობს კონსილიუმს ერთ კონკრეტულ პრობლემასთან დაკავშირებით. კონკრეტული ქეისი მომზადებულია სიუჟეტის სახით.

კვარტლის ჭრილში გადაცემაში განხილული იყო ისეთი თემები როგორიც არის:

- ცხოვრების წესი მიოკარდიუმის ინფარქტის შემდეგ
- ყურადღების კონცენტრაცია
- გაძნელებული შარდვა
- აგრესია ბავშვებში
- კუნთების სისუსტე და ნერვული სისტემა
- ცხიმები - არჩევანი, მომზადება, შენახვა
- რეჟიმი არდადეგების შემდეგ
- სქოლიოზის რთული ფორმები
- ბრტყელი ტერფი, ხერხემალი და სეზონური პრობლემები
- თვალის სეზონური პრობლემები
- კანის დაავადებები და ფრჩხილები
- "გენური პასპორტი" და ცხოვრების წესი
- უსაფრთხო სანოვაგე
- ალკოჰოლი და "საახალწლო დებიუტი"
- საშობაო ტრაპეზი ექიმის რეცეპტით
- უსაფრთხო მგზავრობა და სტუმრობა ბავშვებთან ერთად
- წონის მართვა
- რა ვაჩუქოთ პატარებს?
- თაფლი, ნიგოზი და ჯანმრთელობა
- როდის ვხედავთ სიზმრებს? მიიჩნევა თუ არა სიზმარი ძილის დარღვევად?
- გრიპის სეზონი
- გაუტკივარება
- "გლანდების" ოპერაცია და ნარკოზი
- ოპერაცია "გლანდებზე"
- დელტა ჰეპატიტი
- ალერგიული სინჯები
- კალციუმის ნაკლებობა ბავშვებში

IV კვარტლის ანგარიში

- ინსულტი - რისკები და მართვა
- უსაფრთხო ზამთარი ბავშვებისთვის
- მეტყველება, სიტყვა, კომუნიკაცია
- ფსორიაზი და სეზონური გამწვავება
- გადატანილი ტრავმა და თავის ტკივილი
- კუჭის წყლულოვანი დაავადების გართულება
- მონიტორები და თვალი
- მჭიდრო სამოსი და გამრავლების აპარატი
- ორსულობა და ცხოვრების წესი
- თირკმელზედა ჯირკვალი და ენდოსკოპიური გამოკვლევა
- ჰიპერტონიული კრიზი და პირველი დახმარება
- ჭუჭყიანი ხელების დაავადებები
- ზრდა და ზრდასრულობა
- სეზონი და ყელ-ყურ-ცხვირის ჰიგიენა
- პირადი ტერიტორია

8. **აქტივობები სოც ქსელში**

მეოთხე კვარტლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა აქტივობების მაჩვენებელი სოც ქსელში. ინტერნეტ მომხმარებელს საშუალება აქვს მიიღოს განახლებადი ინფორმაცია შემდეგი მიმართულებით:

- გადაცემის/ სიუჟეტის ანონსი (ერთი დღით ადრე)
- გადაცემის/ სიუჟეტის ანონსი (ეთერში გასვლამდე რამდენიმე საათით ადრე
- გადაცემის სრული ვიდეო ვერსია
- გადაცემაში გასული სიუჟეტების ვიდეო ვერსია
- გადაცემაში მოწვეული სტუმრების ვიდეო ვერსია

გადაცემის ფეისბუქის გვერდის საშუალებით მომხმარებელს საშუალება აქვს:

- ჩაერთოს ინტერაქტიულ გამოკითხვებში
- დასვას კითხვები
- მოგვაწოდოს მოსაზრებები/შენიშვნები

გადაცემა „სადილის დრო“

IV კვარტლის ანგარიში

2014 წლის IV კვარტლიდან ცვლილება განიცადა დღის ზოლის კულინარულმა მიმართულებამაც. გადაცემა სადილის დრო დამოუკიიდებელ პროგრამად გავიდა ეთერში.

კვარტლის განმავლობაში გადაცემას დაემატა შემდეგი მიმართულებები :

- ყოველ დღე გადაცემაში ინტეგრირებულია **რჩევები** სიუჟეტის სახით, რომელიც მაყურებელს ამა თუ იმ პროდუქტის შეძენისას არჩევანის გაკეთებას გაუადვილებს. სიუჟეტში განხილულია მოსამზადებელი კერძის ერთერთი ინგრედიენტის არჩევის პრინციპები.

- მოწვეული სტუმრები უნიკალური რეცეპტებით და ხალისიანი განწყობით მაყურებელს ასწავლიან სადილის მომზადების ახალ მეთოდებს

2014 წლის IVკვარტლის ჭრილში გადაცემაში რჩევის სახით, სიუჟეტებში განხილული იყო ისეთი თემები როგორიცაა:

- რა უნდა ვიცოდეთ მანდარინის კალორიულობის და მასში შემავალი ვიტამინების შესახებ?
- ზეთისხილი ერთ–ერთი ყველაზე კალორიული პროდუქტია
- რატომ უნდა მოვერიდოთ გზის პირას გაზრდილი კაკლის ნაყოფის ჭამას
- შოკოლადი და მასთან დაკავშირებული დეტალები
- როგორ მოვამზადოთ ბროკოლი და როგორ ვებრძოლოთ სხვადასხვა დაავადებას მისი წყალობით
- რა უნდა ვიცოდეთ ძეხვის შემადგენლობის შესახებ
- რა უნდა ვიცოდეთ ხახვის შესახებ
- როგორ შევარჩიოთ შავი პილპილი
- როგორ შევარჩიოთ ქათმის ხორცი
- როგორ შევარჩიოთ ქათმის ღვიძლი
- როგორ შევარჩიოთ კარაქი?
- რა უნდა ვიცოდეთ ავოკადოს შესახებ
- როგორ ავარჩიოთ საქონლის ხორცი
- როგორ მივხვდეთ ნამდვილია თუ არა არაჟანი
- შედედებული რძე "сгущёнка"
- მდოგვის განსხვავებული რეცეპტები
- რა უნდა ვიცოდეთ გრეიფრუტის შესახებ

IV კვარტლის ანგარიში

- რა უნდა ვიცოდეთ გრეიფრუტის შესახებ
- ფორთოხალი და ალერგიები
- საახალწლო სუფრა
- თბილისთან ახლოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო ლაბორატორია მდებარეობს, სადაც ქართული კარტოფილის უვირუსო ჯიშებზე მუშაობენ
- რა უნდა ვიცოდეთ ლუდის შესახებ და ამ ალკოჰოლის რა ოდენობის მიღებაა მიზანშეწონილი დღის განმავლობაშ
- ჯანჯაფილის, იგივე ჯინჯერის ბოლქვი უნიკალური თვისებებით გამოირჩევა, მაგრამ მისი ექიმის დანიშნულების გარეშე მიღება და თანაც დიდი დოზებით არ შეიძლება!
- იცით თუ არა რომ ტექნიკური სიმწიფის პერიოდში დაკრეფილ ანანასს სპეციალური ხსნარით ამუშავებენ, იმისთვის რომ პროდუქტი დიდხანს შეინახოს?
- იცით თუ არა რომ კომში სასარგებლო თვისებებით ვაშლს და მსხალს არ ჩამოუვარდება, C ვიტამინის რაოდენობით კი ორივე ხილზე მაღლა დგას.
- იცით, რატომ არის ვაშლი გასახდომად იდეალური პროდუქტი? უპირატესობა გლუვკანიან ხილს კი არა, ხშირ შემთხვევაში ქართულ პროდუქტს უნდა მივანიჭოთ.
- რა უნდა ვიცოდეთ ქიშმიშის და ჩირის შესახებ
- გაყინული კრევეტები
- რა უნდა ვიცოდეთ ბარდის შესახებ
- აზერბაიჯანული კერძები
- როგორ უნდა მივირთვათ ბრინჯი სწორად
- კონტროლდება თუ არა ფქვილის ხარისხი და როგორ უნდა შევარჩიოთ ის სხვადასხვა კულინარიული რეცეპტისთვის
- კომბოსტო - ჩვენთვის ნაცნობი და უცნობი დეტალები
- სინთეტიკური და ბუნებრივი ვანილი - ჯანმრთელობისთვის სასარგებლო და უარყოფითი თვისებებიავტორები:
- კურდღლის დიეტური ხორცი
- კურდღელი ევროპულად
- მწვანე სალათი
- როგორ ავარჩიოთ თევზი
- სტაფილოს დადებითი და უარყოფითი თვისებები

9. <u>Cross Promotion</u>

Cross Promotion-ის გაძლიერების მიზნით დავიწყეთ აქტიური თანამშრომლობა საზოგადოებრივი მაუწყებლის ყველა ქვედანაყოფთან.

- ეთერში ვიწვევთ საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლებს (წამყვანებს; მენეჯერებს და აშ.) მათი პოპულარიზაციის მიზნით

10. <u>აქტივობები სოც ქსელში</u>

მეოთხე კვარტლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა აქტივობების მაჩვენებელი სოც ქსელში. ინტერნეტ მომხმარებელს საშუალება აქვს მიიღოს განახლებადი ინფორმაცია შემდეგი მიმართულებით:

- გადაცემის/ კონკრეტული სიუჟეტის ანონსი (ერთი დღით ადრე)
- გადაცემის/ კონკრეტული სიუჟეტის ანონსი (ეთერში გასვლამდე რამდენიმე საათით ადრე
- გადაცემის სრული ვიდეო ვერსია
- გადაცემაში გასული სიუჟეტის ვიდეო ვერსია
- გადაცემაში მოწვეული სტუმრების ვიდეო ვერსია

გადაცემის ფეისბუქის გვერდის საშუალებით მომხმარებელს საშუალება აქვს:

- ჩაერთოს ინტერაქტიულ გამოკითხვებში
- დასვას კითხვები
- მოგვაწოდოს მოსაზრებები/შენიშვნები

„საბავშვო ევროვიზია“

საბავშვო ევროვიზიაზე 15 ნოემბერს საქართველო ლიზა პოპმა წარადგინა სიმღერით happy day, კონკურსში 16 ქვეყანა მონაწილეობდა საქართველომ 11 ადგილი მოიპოვა.

საქართველო საბავშვო ევროვიზიაზე უკვე მერვე წელია მონაწილეობს, წლევანდელ კონკურსანტზე არჩევანი შიდა შესარცევი კონკურსით გაკეთდა, სოლისტის გარდა ასევე შეირჩნენ ოთხი მოცეკვავე გოგონა.

წლევანდელ საკონკურსო სიმღერაზე ლიზა პოპთან ერთად კომპოზიტორმა გიორგი კუხიანიძემ იმუშავა,პატარა მომღერლის ვოკალზე სოფო ოყრეშიძე ზრუნავდა, ხოლო სასცენო იმიჯი მარიკა კურდუბაძეს ეკუთვნოდა.

IV კვარტლის ანგარიში

მალტაზე კონკურსის პერიოდში ლიზა პოპით დაინტერსდა 100 მდე გამომცემლობა, ასევე მას ინტერვიუები ჰქონდა სხვადასხვა უცხოურ ტელევიზიებთან, პატარა მომღერალმა ასევე გამართა რამდენიმე პრეს-კონფერენცია.

კონკურსზე გამგზავრებამდე გადაღებული იქნა ვიდეო რგოლიც, რომელიც ტრიალებდა ყველა იმ ქვეყანაში რომელიც 2014 წლის საბავშვო ევროვიზიაზე მონაწილეობდა.ინტერნეტ საშუალებით კი ვიდეო რგოლს უკვე ერთი მილიონი მნახველი ჰყავს.

„დიდების ევროვიზია“

დეკემბრის თვეში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გამოაცხადა ევროვიზიის შიდა შესარჩევი კონკურსი.კონკურსში მონაწილეობა შეეძლო ყველა მომღერალს და ჯგუფს, რომლებიც სპეციალურად კონკურსისთვის დაწერილ სიმღერას წარმოადგენდნენ.

წელს პირველად ეროვნულ კონკურსზე საზოგადოებრივი მაუწყებლის ინიციატივით მოწვეული იქნა საერთაშორისო ჟიური,რომელთა შორისაც იყვნენ: კომპოზიტორი ტომას ჯეისონი, მუსიკოსი და პროდიუსერი ევგენი ელიუ, ჟურნალისტი მარკო ბრეი, პროდიუსერი რალფ რინიკი და ევროვიზიის გამარჯვებული მომღერალი ემილი დეფორესტი. სწორედ მათ შეარჩიეს 5 კონკურსანტი შიდა შესარჩევი კონცერტისთვის, ესენი იყვნენ: ეთერ ბერიაშვილი, ედვარდ მეისონი, ჯგუფი ნიუტონი, ნინა სუბლატი და მიშა სულუხია.

საკონკურსო სიმღერების პრეზენტაცია და მომღერლების გაცნობა მაყურებლისთვის კი 31 დეკემბერს მოხდა პირველი არხის გადაცემა „კომუნიკატორში“.

ორი კვირის განმავლობაში მაყურებელს პირველი არხის მეშვეობით შესაძლებლობა ჰქონდა ენახა საკონკურსო ვიდეო რგოლები და დღეში მხოლოდ ერთი ზარი და ერთი მოკლე ტექსტური შეტყობინებით მხარი დაეჭირა თავისი რჩეულისთვის. მოკლე ტექსტური შეტყობინების და ზარის ღირებულება 50 თეთრი იყო.

IV კვარტლის ანგარიში

14 იანვარს კი გადაცემა კომუნიკატორში დასახელდა 2015 წლის საქართველოს წარმომადგენელი ევროვიზიაზე, ნინა სუბლატმა სიმღერით “warrior”ჟიურისგან და მაყურებლისგან უმაღლესი შეფასება მიიღო.სიმღერის ტექსტიც და მუსიკაც თავად მომღერალს ეკუთვნის.

ნინა სუბლატი საქართველოს სახელით ევროვიზიაზე 19 მაისს პირველ ნახევარფინალზე წარსდგება.

გადაცემა - ,,ყოჩაღების ქუჩაზე“ - ყოველ შაბათ-კვირას დილის 10:30 საათზე.

ქრონ: 30 წუთი

ასაკობრივი ჯგუფი 3 დან 7 წლამდე

"ყოჩაღების ქუჩაზე" საბავშვო, შემეცნებით-გასართობი გადაცემაა. გადაცემის წამყვანი კეთილი და მხიარული კაპიტანი გოგიჩაა. მასთან ყოველ დილით თავს იყრიან ყოჩაღები და კეთილ საქმეებს აკეთებენ, ეხმარებიან ბავშვებს, უფროსებს, ცდილობენ დაიცვან წესები, გაუფრთხილდნენ ბუნებას, ცხოველებს. კაპიტნის მეზობლად ცხოვრობს ბუა, ის ზარმაცი და მძინარაა, ყოჩაღების მხიარულად გატარებული დილა კი ძილს უფრთხობს, ამიტომ მუდმივად უწყობს ოინებს, რომ ხელი შეუშალოს მათ. თუმცა, მამაცი კაპიტანი ყოველთვის პოულობს გამოსავალს. გადაცემა გაფორმებულია მუსიკალური ნომრებით.

ახალი ბინადარი

ყვავილი მზეკატერინე, მზეკატო, ყოჩაღების ქუჩის ახალი ბინადარია, მზეკატო ყოჩაღებს შაბათ- კვირას საინტერესო ამბებს ყვება, მოუსმინეთ მზეკატერინეს და გაიგეთ, რა ხდება ხმელეთზე, ცაში, ზღვებსა და ოკეანეებში, მან კოსმოსის ამბებიც კი იცის. მისი ნაამბობი დაგეხმარებათ ისწავლოთ, როგორ მოუაროთ ბუნებას.

,,ყოჩაღების ქუჩას“ ყოველ შაბათ- კვირას სტუმრობენ, ყოჩაღების ერთგული მეგობრები,

IV კვარტლის ანგარიში

მამალი-სოლიკო, ძაღლი- ბობო, ღორი-ფუშიკო და კატა-მიუ. ისინი ბავშვებთან ერთად დროს მხიარულად ატარებენ.

თითოეული გადაცემა თემატურია

გადაცემა შედგება რუბრიკებისაგან.

1.თამაშები (შემეცნებითი ან სპორტული)

2. ხელსაქმე

3. მუსიკალური ნომერი (თემატური - კოსტიუმირებული)

4.ანიმაციური გმირი მზეკატერინე საუბრობს ეკოლოგიურ თემებზე

ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის გადაცემის თემები:

მათემატიკა

ცეკვა

სკოლა

ოჯახი

დილა

ნაგავი

მეგობრობა

დაცვა

ევროვიზია

ფერმა

შემოდგომა

რძე

IV კვარტლის ანგარიში

მუსიკა

ტკბილეულობა

პეპლები და ყვავილები

მშენებლობა

წელიწადის დროები

ხტუნვა

სტუმრად კაპიტანათან

ველოსიპედი

პატარები

საახალწლო მზადება

საახალწლო სუფრის გაშლა

ოქტომბრის თვეში გავიდა სულ 6 ორიგინალი გადაცემა

შაბათი

3 გადაცემა

კვირა

3 გადაცემა

ოქტომბრის გამეორება

24 გადაცემა

ნოემბრის თვეში გავიდა სულ 9 ორიგინალი გადაცემა

5 გადაცემა

კვირა

4 გადაცემა

IV კვარტლის ანგარიში

ნოემბრის გამეორება

10 გადაცემა

დეკემბრის თვეში გავიდა სულ 8 ორიგინალი გადაცემა

შაბათი

4 გადაცემა

კვირა

4 გადაცემა

ასევე გაკეთდა საბავშვო საიტი, სადაც კვირის განმავლობაში ბავშვები აგზავნიან გადაცემაში მიცემულ დავალებას ნახატებს (თემატურს) ხოლო რომლის ნახატიც ბევრ მოწონებას დაიმსახურებს საჩუქარს მიიღებს.

გადაცემა „შეხვედრები მწერალთა სახლში“

გადაცემის ავტორი და წამყვანი: დავით მაღრაძე

პროდიუსერი: თამარ თავაძე

რეჟისორი: ნუგზარ ჩხაიძე

გადაცემის ქრონომეტრაჟი: 45 – 53 წთ

გადაცემა იწერება თბილისში, „მწერალთა სახლში“, მისამართი: ი.მაჩაბლის №13

ფორმატი: გადაცემის ავტორი და წამყვანი სტუმართან საუბრობს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან, საინტერესო და აქტუალურ თემებზე.

გადაცემა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გავიდა 2014 წ. 1 თებერვალს.

ეთერშია ყოველ შაბათს 22.00

2014 წ. 11 ოქტომბრიდან 2014 წ. 27 დეკემბრამდე ეთერში გავიდა 12 გადაცემა, რომლის სტუმრები იყვნენ:

IV კვარტლის ანგარიში

1	ირაკლი კორძაია	11. 10.2014
2	გიორგი ეკიზაშვილი	18.10.2014
3	ცირა ელისაშვილი კულტუროლოგი	25. 10.2014
4	ბექა ნაცვლიშვილი	01. 11.2014
5	ზაზა აბაშიძე ისტორიკოსი	08. 11.2014
6	ლევან გორდეზიანი	15. 11.2014
7	ქეთევან ყრუაშვილი არქიტექტორი	22. 11.2014
8	ირაკლი კაკაბაძე	27. 11.2014
9	ელდარ შენგელაია კინორეჟისორი	06. 12.2014
10	ვაჟა ბერიძე პოლიტოლოგი	13. 12.2014
11	გიორგი ლობჟანიძე აღმოსავლეთმცოდნე	20.12.2014
12	გიგი გოგელია საზ.მაუყებლის ბორდის თავმჯდომარე	27.12.2014

გადაცემა: „ჩემი წიგნი“

წამყვანი: რატი ამაღლობელი

გადაცემების ეთერშჯ გასვლის დრო : 05.10.2014 – 16.11.2014

გადაცემა მეთხუთმეტე

ეთერში გასვლის დრო: 05.10.2104

თემა: ფინალური ეტაპი დაიწყო - "ჯადოსნური მთა", "99 ფრანკი", "ჯაყოს ხიზნები"

სტუმრები:

ნიკუშა ანაძე, ლევან ბერძენიშვილი, თემურ ჩხეიძე.

გადაცემა მეთქვსმეტე

ეთერში გასვლის დრო: 12.10.2014

IV კვარტლის ანგარიში

თემა: "იდიოტი", "პატარა უფლისწული", "სამოსელი პირველი"

სტუმრები:

ქეთი კორძახია, გიგა ზედანია, დათო ტურაშვილი

გადაცემა მეჩვიდმეტე

ეთერში გასვლის დრო: 19.10.2014

თემა: "სამი მეგობარი", "ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა", "განძის კუნძული"

სტუმრები:

ანა კორძაია-სამადაშვილი, ალექსანდრე ლორთქიფანიძე, არჩილ ქიქოძე

გადაცემა მეთვრამეტე

ეთერში გასვლის დრო: 02.11.2014

თემა: "შერლოკ ჰოლმსი", "ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი", "დათა თუთაშხია"

სტუმრები:

გიორგი ნაკაშიძე, რეზო არველაძე, ქუცნა ამირეჯიბი

გადაცემა მეცხრამეტე

ეთერში გასვლის დრო: 09.11.2014

თემა: „მშვიდი ცურვა", "სამი მუშკეტერი", "თამაში ჭვავის ყანაში"

სტუმრები:

ქეთატო პოპიაშვილი, ბიძინა ბარათაშვილი, რეზო თაბუკაშვილი

გადაცემა მეოცე

ეთერში გასვლის დრო:16.11.2014

IV კვარტლის ანგარიში

თემა: ფინალი

გადაცემა: „უცნობი მუსიკა“

გადაცემის წამყვანები: კახა თოლორდავა და გიორგი ხადური
გადაცემის პროდიუსერი და რეჟისორი: თამარ ციციშვილი
გადაცემის ქრონომეტრაჟი: 1:30 სთ (±5)
გასული გადაცემების რაოდენობა: 11 გადაცემა

„უცნობი მუსიკა“ შემეცნებით-გასართობი პროექტია, რომლის ყურადღების ცენტრში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში შექმნილი ისეთი მუსიკალური მოვლენებია, რომლებიც განსაზღვრავენ მუსიკალური კულტურის დღევანდელ სახეს. ვინაიდან ასეთი მუსიკა ხშირად მსმენელისაგან განსაკუთრებულ უნარებსა და ყურადღებას მოითხოვს, ის იშვიათად ხვდება ადგილობრივ ტელე თუ რადიო გადაცემებში და ის სწორედ "უცნობი" მუსიკის კატეგორიად აღიქმება.

"უცნობი მუსიკა" და გადაცემის სტუმრები სწორედ ასეთ "დაფარულ" აკუსტიკურ ტერიტორიებზე ეპატიჟებიან მუსიკის მოყვარულებს და მუსიკოსებს, სადაც მათ საშუალება ეძლევათ უფრო ახლოს გაიცნონ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში (დაწყებული ეთიოპიით თუ მაროკოთი და დასრულებული მონღოლეთის სტეპებით) არსებული მუსიკალური მოვლენები, თვალი (და ყური) გაადევნონ მუსიკალური კულტურების, ჟანრების, სტილის, ინსტრუმენტების ერთმანეთზე ზეგავლენის პროცესს და უკეთესი უნარები გამოიმუშაონ მრავალფეროვანი, ექსპერიმენტული და რისკით სავსე აკუსტიკური მოვლენების აღსაქმელად.

16 ოქტომბერი
გადაცემაში წამყვანები - კახა თოლორდავა და გია ხადური, საუბრობენ ამერიკელ ავანგარდისტ მუსიკოსზე, მომღერალსა და კომპოზიტორზე დონ ვან ვლიეტზე, რომელიც მსოფლიო მუსიკალურ სამყაროში კაპიტან ბიფჰარტის სახელით არის ცნობილი. წამყვანები განიხილავენ, როგორც თავად ბიფჰარტის ასევე მის მიერ შექმნილი ბენდის (Magic band) შემოქმედებას. შესაბამისად, გადაცემის მეორე ნაწილში წარმოდგენილია კაპიტანი ბიფჰარტისა და მისი ბენდის მიერ 1968 წელს, კანში ჩატარებული კონცერტი.

23 ოქტომბერი
გადაცემის წამყვანები - კახა თოლორდავა და გია ხადური, სტუმართან მუსიკოს - სანდრო ცქიტიშვილთან ერთად განიხილავენ ქართულ საბჭოთა ესტრადას.

გადაცემის მეორე ნაწილში კი, ნაჩვენებია ამ პერიოდის ანსამბლზე გადაღებული მუსიკალურ-დოკუმენტური ფილმი „ორერა სრული სვლით“.

30 ოქტომბერი

გადაცემის მთავარი თემაა ბრისტოლის პროექტი, რომელშიც 13 ქართველი მუსიკოსი მონაწილეობდა. 1991 წელს საქართველოს ესტუმრნენ ინგლისელი ავანგარდისტი მუსიკოსები და რამდენიმე კვირის განმავლობაში ისინი ქართველ მუსიკოსებთან ერთად გადიოდნენ რეპეტიციებს. აღნიშნული მოვლენა, შეხვედრები, რეპტიციები, კონცერტები, სამოყვარულო ფირზე აღბეჭდა ამ პროქტის ერთ-ერთმა მონაწილემ, მუსკიოსმა - დავით ჯაფარიძემ. სწორედ, ის გახლავთ გადაცემის სტუმარი და მისი უნიკალური ჩანწერების დახმარებით, გადაცემაში აღდგენილია ეს მუსიკალური მოვლენა.

16 ნოემბერი

გადაცემაში წამყვანები - კახა თოლორდავა და გია ხადური, წარმოადგენენ მომღერალს, სამხრეთ აფრიკის დივას - მირიამ მაკებას, რომელიც ფართო საზოაგდოებისათვის „მამა აფრიკას“ სახელით არის ცნობილი. შესაბამისად, გადაცემის მეორე ნაწილში წარმოდგენილია მირიამ მაკებას მიერ ქალაქ ბაზელში ჩატარებული ლაივ-კონცერტი.

13 ნოემბერი

გადაცემის სტუმარია ზურა ჯიშკარიანი - მუსიკალური ბენდის „kung fu Junkie” ვოკალისტი. წამყვანი გია ხადური სტუმართან ერთად საუბრობს და განიხილავს მუსიკალურ სამყაროში ყველაზე კონტრავერსიალურ და საკამოთო ინგლისელი არტისტის - ჯენეზის ბრაიერ პი ორიჯის შემოქმედებას. გადაცემის მეორე ნაწილში კი წარმოდგენილია ჯენეზისის პი ორიჯისა და მისი ბენდის „Throbbing gristle” – ის მიერ 1981 წელს სან ფრანცისკოში ჩატარებული ლაივი.

20 ნოემბერი

გადაცემა მიჰყავს გია ხადურს და მისი სტუმარია მხატვარ -ანიმატორი კახა ერისთავი. წმყავნი სტუნართან ერთად საუბრობს ერთ-ერთ ყველაზე უკუღმართ ბენდზე როკ მუსიკის ისტორიაში, ბენდზე, რომლის სახელწოდებაც არის სტრენგლესი. გადაცემის მეორე ნაწილში კი, ჯგუფ „The Stranglers”-ის მიერ 2007 წელს ლონდონში ჩატარებულ ლაივია წარმოდგენლი.

20 ნოემბერი

გადაცემა ეთმობა ქართველ მუსიკოს ჯაზმენს გიორგი მელიქიშვილს, რომელიც დღეისათვის ჯორჯ მელის სახელით არის ცნობილი. გადაცემა მიჰყავს კახა თოლორდავას და მისი სტუმარი თავად ჯორჯ მელია. გადაცემის მეორე ნაწილში

კი, წარმოდგენილია 2014 წლის თბილისის ჯაზ-ფესტივალის ფარგლებში ჯორჯ მელისა და მისი კვარტეტის მიერ გამართული ლაივი.

4 დეკემბერი

გადაცემის წამყვანები - კახა თოლორდავა და გია ხადური, გადაცემის პირველ ნაწილში ამერიკელი მუსიკოსის, კომპოზიტორისა და ერთ-ერთი ყველაზე უნიკალური გიტარისტის - ბილ ფრიზელის შემოქმედებაზე საუბრობენ. გადაცემის მეორე ნაწილში კი, წარმოდგენილია ბილ ფრიზელის მიერ შესრულებული კომპოზიციები.

11 დეკემბერი

გადაცემის სტუმარია ჟურნალისტი გიორგი ზურაბიშვილი და წამყვანები მასთან ერთად განიხილავენ თუ რა როლი ეკისრება და რა ადგილი უჭირავს ჰიპ-ჰოპს, არა მხოლოდ მუსიკალურ, არამედ სოციალურ -კულტურულ სივრცეში. გადაცემის მეორე ნაწილში კი, წარმოდგენილია 1990 წელს ჩაწერილი ორი ლაივი. ეს არი ტელეხიდი ნიუ-იორკსა და ლოს-ანჯელესს შორის და მასში მონაწილეობას იღებენ „old school"-ის არტისტები.

17 დეკემბერი

აღნიშნული გადაცემა წინა, 11 დეკმებრის გადაცემის გაგრძელება. გადაცემის სტუმარი კვლავ ჟურნალისტი გიორგი ზურაბიშვილია და წამყვანები მასთან ერთად ამჯერად ჰიპ-ჰოპის ოქროს ხანაზე საუბრობენ. გადაცემის მეორე ნაწილში კი, წარმოდგენილია ნაწყვეტები 2007 წლის მონტროს ფესტივალიდან და ასევე, „the roots"-ის 2008 წლის ტელესტუდიის ჩანაწერი.

25 დეკემბერი

გადაცემა ჯაზმენს, საქსაფონისტს და კომპიზიტორს ჯონ უილიამ კოლტრეინს, მეტსახელად თრეინს ეძღვნება. გადაცემაში წამყვანი კახა თოლორდავა, სტუმრებთან - მუსიკოსი რეზო კიკნაძესა და მწერალი ზუარბ ქარუმიძესთან ერთად კოლტრეინის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ალბომზე „ A Love Supreme"-ზე საუბრობს, რომელიც 1964 წელს შეიქმნა. ამ ალბომის განხილვით და კოლტრეინის ავტობიოგრაფიული წიგნიდან წაკითხული ამონარიდებით, წამყვანი და მისი სტუმრები ცდილობენ გააცოცხლონ კოლტრეინის შემოქმედება და ის უფრო ახლოს მიიტანონ და კიდევ უფრო გასაგები გახადონ მსმენელისათვის.

გადაცემა ,,სიტყვების თამაში"

IV კვარტლის ანგარიში

წამყვანი: მარიკო ებრალიძე
გადაცემის ეთერში გასვლის დრო: ორშაბათიდან-პარასკევის ჩათვლით 19:30 საათზე
გასული გადაცემების რაოდენობა: 20 გადაცემა

„სიტყვების თამაში " ეს არის გასართობ-ინტელექტუალური შოუ, რომელშიც მონაწილეები ერთმანეთს სიტყვების შედგენაში ეჯიბრებიან. თუმცა, ეს არ არის თამაში, რომლის მოგებაც მხოლოდ მონაწილეების ინტელექტზეა დამოკიდებული. ეს არის შოუ, სადაც თითითოეული სიტყვა ფულით ფასდება. ეს მოთამაშეებისგან დამატებით უნარებს მოითხოვს, თამაშს კი, კიდევ უფრო დაძაბულს, აზარტულსა და საინტერესოს ხდის.

გადაცემის მიზანია თამაშის დახმარებით მაყურებელს გაახსენოს მივიწყებული ქართული სიტყვები და პოპულარიზაცია გაუწიოს ქართულ ენას. შესაბამისად პროექტის კონსულნტანტია ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი და თამაშის პროცესში აქტიურად არის ჩართული მათი წარმომადგენელი - ენათმეცნიერი, პროფესორი - თამარ ვაშაკიძე.

მოთამაშეების მთავარი მიზანია, რომ შეზღუდულ დროში, მოცემული ასობგერებით შეადგინონ მაღალქულიანი სიტყვა. თუმცა, მონაწილეებს არა მხოლოდ სიტყვის შედგენა, არამედ ტაქტიკურ თამაშიც მოეთხოვებათ, რადგან მას შემდეგ, რაც ისინი დაწერენ სიტყვებს, თითოეული საკუთარ სიტყვას ფულით აფასებს. სიტყვების შეფასება წინასწარ შემუშავებული სქემით ხდება. თითოეულ ეტაპზე განსაზღვრულია სიტყვის მინიმალური და მაქსიმალური ღირებულება. თითოეული მოთამაშის საწყისი სათამაშო თანხა 100 ლარია. გამარჯვებული მხოლოდ ერთია და ის მინიმუმ 200 ლარს, მაქსიმუმ კი - 1000 ლარს იგებს.

გადაცემა პირველად ეთერში დეკემბრის თვეში გავიდა. გადაცემის პოპულარიიზაციის მიზნით და იმისათვის, რომ მაყურებელს კარგად გაეგო და აეთვისებინა თამაშის წესები და პრინციპი, პირველ ეტაპზე შოუს სტუმრებს მხოლოდ საზოგადოებისათვის კარგად ნაცნობი სახეები წარმოადგენდნენ. დეკმებრის თვეში 20 გადაცემა ჩაიწერა, რაც ნიშნავს, რომ გადაცემის სტუმარი იყო 60 ადამიანი. სრულად მთელი თვის განმავლობაში სამმა ადამიანმა მოიგო 1000 ლარი, საერთო მოგების ჯამმა კი - 4630 ლარი შეადგინა.

სპორტი

სპორტული მიმართულება წლის დასკვნით კვარტალში გადაცემებითა და რეპორტაჟებით 50-ჯერ გავიდა პირველი არხის პირდაპირ ეთერში. გადაიცა სპორტის სხვადასხვა სახეობებში 27 პირდაპირი რეპორტაჟი , სპორტული თოქ-შოუ ,,არენა'' 14 ჯერ , ხოლო ჩემპიონთა ლიგის ვიქტორინა 9-ჯერ გავიდა პირველი

არხის ეთერში.

ბოლო კვარტალში სიახლე ისიც გახლდათ, რომ ხუთშაბათობით ეთერში განთავსებული ერთ საათიანი პროგრამა ,,საფეხბურთო მიმოხილვა'' შეერწყა თოქ-შოუ ,,არენას'', რომელიც 1 საათი და 30 წთ ქრონომეტრაჟით 6 ოქტომბრიდან, ყოველ ორშაბათს, პირდაპირი ეთერით გადაიცემა.

ამ პერიოდში ,,არენა'' არაერთ მნიშვნელოვან და საინტერესო თემებს შეეხო, თავისი ეთერით ოპერატიულად გააშუქა სპორტის სხვადასხვა სახეობაში მიმდინარე მნიშვნელოვანი სიტუაცია და ამა თუ იმ ღონისძიებების შედეგები.

,,არენა'' სამ ბლოკადაა დაყოფილი. პირველში ყურადღება ეთმობა საფეხბურთო ბატალიებს -კერძოდ: ქვეყნის უმაღლესი ლიგის მიმდინარე ჩემპიონატს, სხვადასხვა მატჩებისა და მომხდარი ფაქტების განხილვას, სადაო საკითხებზე სტუდია ეთმობათ კლუბების წარმომადგენლებს, მწვრთნელებს, ფეხბურთელებსა და რიგ შემთხვევაში ფანკლუბის წარმომადგენლებსაც. მაგალითისთვის მოვიყვან ქობულეთის ,,შუქურასა'' და გორი ''დილას'' პრეზიდენტების რევაზ ჩელებაძის და გია ისიანიშ მატჩში მომხდარი აურზაურის გამო დაპირისპირებას, რომელმაც ტელემაყურებელს საშუალება მისცა დეტალურად მოესმინა მომხდარი ფაქტის შესახებ. ასევე ლანჩხუთის ,,გურიასა'' და ბოლნისის ,,სიონის'' შეხვედრისას მოთამაშეთა შორის ხელჩართულ ჩხუბს. განიხილებოდა ფეხბურთის ფედერაციის თავკაცებთან ჩემპიონატის უარყოფითი და დადებითი მხარეები.

,,არენამ'', რა თქმა უნდა, გარკვეული დრო დაუთმო სანაკრებო თემასაც. საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი, თემურ ქეცბაია, ეწვია ჩვენს სტუდიას რომელთანაც საქმიანი საუბარი , რესპოდენტის მძიმე ხასიათიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდა. ამ უსიამოვნო ფაქტს მედიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მეორე დღეს ქეცბაიას პრესკონფერეცია პროტესტის ნიშნად დატოვეს ჟურნალისტებმა. ამ თემის გაგრძელება იყო შემდგომ გადაცემებში. ბაქოდან სპეციალურად ჩამოსული კახი ცხადაძე, ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი გია ცეცაძე და გიორგი დევდარიანი და სხვები. გერმანიიდან პირდაპირ ეთერში ჩაგვერთო ნაკრების ყოფილი მოთამაშე ლევან კობიაშვილი.

გარდა ამისა ,,არენამ'' ეროვნული გუნდის მიერ ჩატარებული შეხვედრებიც გაანალიზა და ყურადღება დაუთმო ასაკობრივ ნაკრებთა გამოსვლებსაც.

ბოლო თვეებში საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში აქტიური იყო დაპირისპირების საკითხი. ამ თემაზე ,,არენას'' სტუდიის სტუმრები ორივე მხარის წარმომადგენლები იყვნენ. მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები, მოქმედი სპორტსმენები და მწვრთნელები - პრეზიდენტ ლუკა კურტანიძის წინააღმდეგ. ორივე მხარე ფაქტებით და ბრალდებებით.

IV კვარტლის ანგარიში

,,არენამ'' ყურადღება დაუთმო კალათბურთში მიმდინარე საქართველოს ჩემპიონატს, რომლის ჩატარების პრობლემები თავიდან იყო, შემდგომ კი ხარვეზებიც გამოსწორდა. განხილვის თემა იყო ევროპის 2015 წლის ჩემპიონატის წილისყრის შედეგები და ქვეჯგუფში ჩვენი მეტოქეების შესაძლებლობები.

ქართველმა მორაგბეებმა სამი საკმაოდ მნიშვნელოვანი შეხვედრა გამართა მსოფლიოს მოწინავე გუნდებთან.

ხელბურთში ჩვენი ნაკრები ევროპის ჩემპიონატის მიღმა დარჩა.

ქართველი ძიუდოისტები კვლავ ინარჩუნებენ მსოფლიოში უძლიერესების წოდებას.

ფუტსალში საკვალიფიკაციო ეტაპი დაიწყო.

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს 25 წელი შეუსრულდა.

რა მოხდა საქართველოს ფიგურული სრიალის ფედერაციაში? კარს მოგვადგა ზამთრის სახეობების საზონი. როგორ ემზადება ბაკურიანი და გუდაური სპორტსმენების მისაღებად?

,,არენაში '' ნიუსის სახით გადაიცემოდა უახლესი ინფორმაციები. სპეციალურად დრო დაეთმო ბავშვთა სპორტს. წლის შემაჯამებელი გადაცემა თბილისის ივენთჰოლიდან საუკეთესო სპორტსმენი და ათეული.

რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგის ტელევიქტორინას იგი ბოლო სამი თვის განმავლობაში პირდაპირ ეთერში 9 -ჯერ გავიდა. გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომელთაც სპეციალური პრიზები გადაეცათ.

სპორტის ოთხი სახეობის 27 რეპორტაჟი გადაიცა პირველი არხის პირდაპირ ეთერში.

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრის ტურის ცენტრალური შეხვედრები: თბილისიდან, ქუთაისიდან, ზესტაფონიდან , საჩხერედან. მაყურებელს საშუალება ჰქონდა თვალი ედევნებინა ჩემპიონატის ლიდერთა ჯგუფის გუნდების შეხვედრებს. .

პირდაპირ ეთერში გადაიცა ფეხბურთში ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩები საქართველოს ნაკრების მონაწილეობით- 11 ოქტომბერს შოტლანდიასთან, 14 ოქტომბერს გუბრალტართან და 14 ნოემბერს პოლონეთთან.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერში გადაიცა ფეხბურთში ჩემპიონთა ლიგის 2014-15 წლის ჯგუფური ეტაპის 9 მატჩი.

ტრადიციულად, ყოველ შაბათს 14 საათზე გადაიცემოდა კალათბურთში საქართველოს სუპერლიგის მატჩები.

ნოემბერში რაგბიში სამი ტესტმატჩის ნახვის საშუალება მიეცა ტელემაყურებელს. საქართველოს ნაკრებმა შეხვედრები გამართა ტონგასთან, ირლანდიასა და

იაპონიასთან.

რუსთაველის სახელობის თეატრიდან მოეწყო პირდაპირი რეპორტაჟი, მიძღვნილი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაარსების 25 წლისთავთან დაკავშირებით.

წლის ბოლოს კი პირდაპირ ეთერში გადაიცა ქართულ ჭიდაობაში აბსოლუტური ფალავნობა.

გადაცემა ,,კომუნიკატორი“

თემატიკა: სოციუმი, ცხოვრების სტილი, პოპკულტურა

ხანგრძლივობა: 150 წუთი

სამაუწყებლო პლატფორმა: (საზ.მაუ) 1 არხი და (საზ. მაუ) ინტერნეტ პორტალი

სიხშირე: კვირაში 5 გამოშვება

ეთერში გასვლის დრო: 17:00-19:30:00

პროექტის ავტორი და წამყვანი : სერგი გვარჯალაძე

საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გადაცემა გრძელდება 150 წუთი და რამდენიმე მოდულისგან შედგება. ერთი წინადადებით რომ დავახასიათოთ, ,,კომუნიკატორი” არის უნივერსალური მედია პლატფორმა, რომელიც საშუალებას აძლევს მაყურებელსა და მომხმარებელს გაახმაურონ და იმსჯელონ მათთვის მნიშვნელოვან, ამა თუ იმ აქტუალური

თემების შესახებ და გამოხატონ თავიანთი პოზიცია ჩვენი რეალობის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.

ქართულ ტელეეთერში ,,კომუნიკატორის” ინოვაცია იმაში მდგომარეობს, რომ პროექტი სატელევიზიო და ინტერნეტ-მაუწყებლობის სრულფასოვან ჰიბრიდს წარმოადგენს, რაც თანამედროვე უცხოური ინტერაქტიული სატელევიზიო პროექტების უკვე აპრობირებული სახეა (Huffpost Live, Дождь TB).

IV კვარტლის ანგარიში

ორსაათნახევრიანი საეთერო მაუწყებლობის გარდა, ,,კომუნიკატორი" 24-საათიან რეჟიმშია, ჩართული ინტერნეტ სივრცეში (სპეციალურად აგებული სტუდა-სამუშაო სივრციდან) რომელიც ტელევიზიასთან ერთად, თანაბარი მნიშვნელობის რესურსია გადაცემის ფუნქციონირებისას. ,,კომუნიკატორის" ინტერნეტ-პლატფორმიდან ხდება საეთერო თემების დამუშავება და კონტაქტი მაყურებელთან. გადაცემის დროს, სატელეფონოს გარდა, ყველა სხვა სახის კავშირი მაყურებელთან ხდება ,,კომუნიკატორის" ინტერნეტ-პლატფორმის გავლით, საიდანაც ყველა მსურველს აქვს საშუალება გამოთქვას თავისი მოსაზრება პირდაპირ ეთერში პირდაპირ თავისი პერსონალური კომპიუტერიდან (ტელეფონიდან, პლანშეტიდან) ფეისბუკის, სკაიპის, გუგლისა და სხვა პოპულარული საკომუნიკაციო ინტერნეტ-სერვისების გამოყენებით.

გადაცემის სტრუქტურა

საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გადაცემას უჭირავს 2.5 საათი (17:00-19:30) და იყოფა 5 ნახევარსაათიან ბლოკად, რომლებს შორისაც გათვალისწინებულია ახალი ამბების ერთწუთიანი ჩართვები.

<u>მომზადებული თემები / ინტერაქცია მაყურებელთან</u>: ყოველ გადაცემაში, 2 სხვადასხვა ბლოკში გადის ორი სიუჟეტი წინასწარ შერჩეულ თემებზე, რასაც მოყვება წამყვანებისა და სტუმრების დისკუსია სტუდიაში და მაყურებლის გამოხმაურება თემასთან დაკავშირებით.

<u>მიმდინარე მოვლენები / ინტერაქცია მაყურებელთან</u>: გადაცემის დანარჩენ ბლოკებში ხდება აქტუალური თემების მიმოხილვა წამყვანების, მაყურებლისა (სატელეფონო/ინტერნეტ ჩართვებით) და სტუმრების მხრიდან.

<u>ვიდეომასალა</u>: ყველა ბლოკში გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის წინასწარ მომზადებული დაიჯესტური თუ სპონტანურად, საუბრის საილუსტრაციოდ

IV კვარტლის ანგარიში

გაშვებული ვიდეოგროლების თუ სხვა აუდიოვიზუალური მასალის გამოყენება შემდეგ თემებზე: ახალი ტექნოლოგიები, პოპკულტურა, ცხოვრების სტილი ა.შ

<u>მუსიკა</u>: ყველა გადაცემაში გამოიყენება ,,კომუნიკატორის" სტუდიაში სპეციალურად ჩაწერილი სხვადასხვა ჟანრის შემსრულებლების ცოცხლად შესრულებული მუსიკალური ნომერბი და მუსიკალური კლიპები.

,,კომუნიკატორი" ეწყობა სოციალური ტელევიზიის მედია-მოდელის მიხედვით, რომელიც ტელევიზიისა და ინტერნეტის თანამედროვე ჰიბრიდს წარმოადგენს და მაყურებელს, შესაბამისად, ამ მოდელიდან გამომდინარე გამოცდილებას სთავაზობს.

,,კომუნიკატორის" ძირითადი მისიებია:

- **საჯარო ჩართულობის პლატფორმის შექმნა:** ,,კომუნიკატორი" დემოკრატიული მედიუმია, რომელიც საზოგადოებასა და მაყურებელს აძლევს ამა თუ იმ აქტუალურ პრობლემაზე თავისი აზრის გამოხატვის საშუალებას. ასევე, ერთმანეთთან აკავშირებს იგივე ან მსგავსი პრობლემების მქონე მოქალაქეების ჯგუფებს და ემსახურება გამოცდილების გაზიარებას.

  ამ სახით, საერთო საზოგადოებრივი ჩართულობა არის "კომუნიკატორის" როგორც ტექნიკური საშუალება, ასევე დანიშნულებაც. შესაბამისად, გადაცემა წარმოადგენს ინტერაქტიული ტელევიზიის არსებული მოდელების უფრო დახვეწილ, თანამედროვე ვერსიას.

- **ინფორმირებულობის გაზრდა:** ინფორმირებულობა ,,კომუნიკატორის" კონტექსტში გულისხმობს არა მხოლოდ საინფორმაციო ჩართვებს გადაცემის ბლოკებში (ლოკალური და საერთაშორისო), არამედ თანამედროვე საზოგადოებრივი, ტექნოლოგიური, სოციო-პოლიტიკური, კულტურული თუ სხვა მნიშვნელოვანი პროცესების კომპეტენტურ ანალიზს, ასევე შემეცნებით ინფორმაციას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში განათლებისა და ინფორმირებულობის დღევანდელი დონის

გათვალისწინებით, და პირდაპირ შესაბამისობაში მოდის საზოგადოებრივი მაუწყებლის დანიშნულებასთან.

- **არხის პროდუქციის კროსპრომოუშენი:** მედიუმის სპეციფიკიდან გამომდინარე, ,,კომუნიკატორი" ასრულებს ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის მაყურებელთან მაკავშირებლის დამატებით ფუნქციას, რომლის მიზანიც საზოგადოებრივი მაუწყებელის ამა თუ იმ პროდუქციის პრომოუშენი და, რაც მთავარია, ურთიერთკოლაბორაციაა. ამის მიზანია მაუწყებლობის უფრო თანამედროვე მოდელის დანერგვა, რომელიც სტრუქტურულად მოქნილი სისტემით მუშაობას გულისხმობს.

- **პლურალისტული გარემოს შექმნა:** განსხვავებით კომერციული არხებისგან, ,,კომუნიკატორი" ქმნის ალტერნატივას ამა თუ იმ მიზეზით საეთერო მაუწყებლობის მიღმა დარჩენილი საზოგადოებრივი ჯგუფებისთვის, რაც საზოგადოებრივი არხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა. შესაბამისად, პროექტი მოწოდებულია საზოგდოებაში პოლარიზაციის შემცირებისკენ. პლურალიზმისა და შემეცნებით ჭრილში, "კომუნიკატორის" ერთ-ერთი პრიორიტეტია პროფესიონალური და ცოცხალი მუსიკის ხელშეწყობა და განვითარება პოპ, ხალხურ, კლასიკურ და სხვა ჟანრებში.

გადაცემა „ფერმა"

ანოტაცია

,,ფერმა" მეხუთე საეთერო სეზონზე ახალი წამყვანით და განახლებული ფორმატით მაყურებელს სოფლის მეურნეობის შესახებ სთავაზობს იმაზე მეტს, ვიდრე აქამდე იცოდა, ძველ მიწათმოქმედთა ქვეყანაში როგორ უნდა შექმნას მომავალი წარსულმა, რა უნდა იცოდეს ფერმერობის მსურველმა, რა მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებას და როგორ უნდა გახდეს ფერმერი წარმატებული.

რუბრიკაში ,,გაიგეთ მეტი" - პრაქტიკულ რჩევებს მოგაწვდიან დარგის ექსპერტები. ,,აგროინფო" - გაგაცნობთ აგროსექტორის სიახლეებს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. სამომხმარებლო სიუჟეტში, ჟურნალისტი დემეტრე ერგემლიძე გიამბობთ ყველაფერს ერთი კონკრეტული პროდუქტის შესახებ, რუბრიკიდან

IV კვარტლის ანგარიში

,,სასარგებლო რჩევები“ კი გაიგებთ, რის ცოდნა და რა წესების დაცვა არის საჭირო უვნებელი სურსათის მოვლა-მოყვანა-წარმოებისთვის.

ოქტომბერ-ნოემბერში მიმდინარეობდა გადაცემის ფორმატის განახლება, კერძოდ, წამყვანისა და კორესპონდენტის პოზიციაზე კანდიდატურების შერჩევა, გატესტვა, პილოტის მომზადება, გადაცემისთვის მასალების გადაღება.

გადაცემა „ფერმა“ განახლებული ფორმატით, ახალი წამყვანით და ჟურნალისტით ეთერში გავიდა 2014 წლის 21 დეკემბერს.

21.12.14 - თემა -მესაქონლეობა- ძირითადი სიუჯეტი - მთიდან ბარში ნახირის გადარეკვა, სამომხმარებლო სიუჟეტი - ხორცპროდუქტებზე, რეგიონი - ვანის მთა, თელეთი

პერსონალიები: მაია შარიაშვილი - ფერმერი,ხვიჩა იაშაღაშვილი - ფერმერი

აკაკი ჯანგულაშვილი - მეწარმე,ბადურ იაკობაშვილი - ვეტერინარი

28.12.14 -თემა - მეციტრუსეობა - ძირითადი სიუჟეტი - ციტრუსის კრეფა, სამომხმარებლო სიუჟეტი - რით არის სასარგებლო ციტრუსი, რეგიონი - ოზურგეთი

პერსონალიები: ბადრი ქინქლაძე - ფერმერი

გიორგი ხარაბაძე - ოზურგეთის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დოკუმენტური ფილმების სტუდია

27. 09. 2014

1. **ფოტოგრაფები აფხაზეთის ომში**

ფილმი ეხება ქართველი ფოტოგრაფების მუშაობას 1992-1993 წლებში აფხაზეთში მიმდინარე შეიარაღებული დაპირისპირების დროს. ფილმის მიზანია აჩვენოს, ფოტოკამერის საშუალებით დაფიქსირებული ის საინტერესო კადრები, რომლებიც მაყურებელს შეიარაღებულ კონფლიქტს სხვა რაკურსით აჩვენებს. ეს იქნება ფილმი არა ომზე, არამედ ამ ომში ნებსით თუ უნებლიეთ მონაწილე ადამიანებზე.

სცენარის ავტორი მიხეილ ბასილაძე

IV კვარტლის ანგარიში

რეჟისორი გიორგი მოლოდინაშვილი

04. 11. 2014

2. მწვანე ოქროს ქვეყნიდან

ოდესღაც „მწვანე ოქროს " ქალაქად ცნობილ ოზურგეთში ჩაის პლანტაციები ეკალ-ბარდებით დაიფარა, ფაბრიკა-ქარხნები ნანგრევებად იქცა. ციტრუსიდან მიღებული შემოსავალი მიზერულია. რაიონში თითქოს დრო გაჩერდა, იქ მცხოვრები ადამიანები უფუნქციოდ დარჩნენ. ერთადერთი ნათელი წერტილი მათთვის ქართული ცეკვის ანსამბლია, რომლის ისტორიაც სუხიშვილების სახელმწიფო ანსამბლს უკავშირდება. ჯუმბერ დონდუა სუხიშვილების პირველი პირველი თაობის მოცეკვავე იყო. კარიერის დასრულების შემდეგ მშობლიურ მხარეში დაბრუნდა და საკუთარი ანსამბლი შექმნა. მამის გზა გააგრძელა შვილმა - კობამ, რომელსაც უკვე რამდენიმე წელია, ყოველ კვირას უწევს ოზურგეთსა და თბილისს შორის მოგზაურობა - თბილისში მას საკუთარი ანსამბლი ჰყავს, ხოლო ოზურგეთში მამას ეხმარება რეპეტიციების ჩატარებაში.

ანსამბლში უკვე რამდენიმე თაობა აღიზარდა. გურულ ბავშვებს ზამთარსა და ზაფხულში, სხვადასხვა სოფლიდან ხშირად, ფეხით უწევთ სტუდიაში მისვლა. ცეკვა არ არის უბრალო გართობა, ეს ერთადერთი შანსაია, გაექცნენ ერთფეროვან ყოველდღიურობას და შეცვალონ საკუთარი ბედი. მათი უმრავლესობის მტავარი ოცნება, სუხიშვილების სახელმწიფო ანსამბლში მოხვედრაააა, რაც მათთვის ახალი სამყაროს გასაღებია. ფილმში ნაჩვენებია ორი მოცეკვავის ისტორია, რომელთაც ერთნაირი გზა, საერთო მიზანი ჰქონდათ. ერთმა შეძლო სუხისვილების ანსამბლში მოხვედრა, ხოლო მეორე, მიუხედავად დიდი სურვილისა და მონდომებისა - ოზურგეთის ყოველდღიურობის ნაწილი გახდა. რაც მთავარია, პატარა ბავშვები, რომლებიც დიდი მონდომებით ცდილობენ სასურველი მიზნის მიღწევას. ფილმის გადაღების დროს ჯუმბერ დონდუა გარდაიცვალა. ამ ფაქტმა მთლიანად შეცვალა როგორც ფილმის მსვლელობა, ასევე მის შვილის, კობას ბედი. იგი სერიოზული დილემის წინაშე დადგა - დარჩეს თბილისში მის მიერვე დაარსებული ანსამბლი განავითაროს, თუ სამუდამოდ გადმოვიდეს ოზურგეთში და მამის დატოვებულ სახელმწიფო ანსამბლს უხელმძღვანელოს?! სწორედ ფილმიდან შეიტყობთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს კობა, როგორია ოზურგეთის დღევანდელი ყოფა და როგორ იბრძვიან ადამიანები საკუთარი ცხოვრების უკეთესობისაკენ შესაცვლელად

სცენარის ავტორი ნინო კაკაურიძე

IV კვარტლის ანგარიში

რეჟისორი ბესიკ გაფრინდაშვილი

11. 11. 2014

3. **პოეტი - ქადაგი (გამეორება)**

ფილმი ეხება ქართველ პოეტს ბესიკ ხარანაულს, რომელიც 2010 წელს ნობელის პრემიის ნომინანტი იყო ლიტერატურის დარგში. ბესიკ ხარანაულის თავისუფალმა ლექსმა და პოეტურმა პროზამ თვისობრივი სიახლე შეიტანა მეოცე და ოცდამეერთე საუკუნის ლიტერატურაში. ფილმში ნაჩვენებია ყველა ის გზა, რომელიც გაიარა ბესიკ ხარანაულმა პირველი ლექსის გამოქვეყნებიდან დღემდე.

ავტორი ქეთევან სადღობელაშვილი

რეჟისორი გიორგი მოლოდინაშვილი

18. 11. 2014

4. საიდუმლო პრეპარატი

რატომ გახდა ჟურნალ სმენას 1987 წლის აგვისტოს ნომერი, საბჭოთა კავშირში ონკოლოგიური რევოლოციის დასაწყისი და როგორ გადაიქცა თბილისის, ვაჟა–ფშაველას გამზირთან პატარა, უცნობი და შეუმჩნეველი ქუჩა , ქვეყნის ისტორიაში უპრეცენდენტო მოვლენის ეპიცენტრი. პრეპარატი „კატრექსი“ და საბჭოთა ონკოლოგიის საიდუმლოებები.

საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდიის ახალი დოკუმენტური ფილმი ცივი ომის პერიოდის ყველაზე გასაიდუმლოებული ბოლოგიური პროექტს და მისი ქართველი ავტორის თავგადასავალს ეხება. ნახევარი საუკუნის შემდეგ მაყურებელი პირველად ნახავს „კატრექსისის“ სახელით ცნობილი პრეპარატის საიდუმლო ლაბორატორიული კვლევის ანგარშებს და პირველად გაიგებს თუ რა დიდი საიდუმლო დატვირთვა ჰქონდა ქართველი მეცნიერის ალექსანდრე გაჩეჩილაძის თბილისურ აღმოჩენას საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატებს შორის დაპირისპირებაში.

სცენარის ავტორი ზაზა ჯღარკავა

რეჟისორი ლევან ახობაძე

IV კვარტლის ანგარიში

25. 11. 2014

5. **საბჭოთა მოდა**

იყო თუ არა მოდა საბჭოთა კავშირში? ეს კითხვა ბევრჯერ დაისვა, თუმცა ერთმნიშვნელოვანი პასუხი დღემდე არ არსებობს. დოკუმენტურ ფილმში მოთხრობილია სხვადასხვა პერიოდის სამოსთან დაკავშირებული ისტორიები და ფაქტები. რა შედეგი მოაქვს სახელმწიფოს მცდელობას, თავად განუსაზღვროს მოქალაქეებს ჩაცმულობის სტილი, ჩამოუყალიბოს გემოვნება, სამოსი იდეოლოგიურ იარაღად აქციოს. ნაჩვენები იქნება, როგორ ცდილობენ ადამიანები გაექცნენ ერთფეროვნებას, რა საშუალებებითა და გზებით მოიპოვებენ საბჭოთა სტანდარტისგან განსახვავებულ სამოსს და როგორ იბრძვის ამის წინააღმდეგ სახელმწიფო. ეს ისტორიები, დღევანდელ დღეს, შესაძლებელია დაუჯერებელი და ღიმილისმომგვრელი იყოს, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობისათვის, მაგრამ საბჭოთა კავშირის დროს ეს ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი იყო. დოკუმენტურ ფილმში ასევე მოთხრობილი იქნება, თბილისის ყველაზე ცნობილი მკერავის - ალექსანდრე ახვლედიანის, იგივე საშა პარტნოის ისტორია.

სცენარის ავტორი ნინო კაკაურიძე

რეჟისორი ლევან ადამია

02. 12 . 2014

6. ვაზში დაკარგულები

ფილმი ეხება ყვარლელ მევენახეს, რომელმაც იმ დროს, როცა კახეთში ვენახებს ჩეხდნენ, ვაზის უნიკალური ჯიშები ქისი და ხიხვი ააღორძინა. და ტრადიციული ქართული წესით ამზადებს ქვევრის ღვინოს. ვაზსაც და ღვინოსაც კობა ქვაჭრელიშვილი ცოცხალ არსებად აღიქვამს და ფილმიც სწორედ ამ კუთხით ვითარდება.

სცენარის ავტორი ქეთევან სადღობელაშვილი

რეჟისორი გიორგი მოლოდინაშვილი

09.12. 2014

7. რექტორის კარს მიღმა

IV კვარტლის ანგარიში

ფილმი ეხება აკადემიკოს როინ მეტრეველის ცხოვრებას და მეცნიერულ საქმიანობას .

ფილმის ავტორები ბესიკ გაფრინდაშვილი და შალვა შენგელი

16. 12. 2014 – 23. 12. 2014

8. ექვთიმე

ფასდაუდებელია ის თავდადება, რაც ექვთიმე თაყაიშვილმა უცხოეთში გახიზნული ქართული საგანძურის გადასარჩენად გამოიჩინა. მაგრამ ყურადღების მიღმა რჩებოდა მის მიერ ჩატარებული უმნიშვნელოვანესი საძიებო და კვლევითი მემკვიდრეობა, ურომლისოდაც ქართული ჰუმანიტარული მეცნიერება ვერ შეიქმნებოდა. ექვთიმე თაყაიშვილი იყო ისტორიკოსი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი, ეპიგრაფიკოსი, ნუმიზმატი, ფილოლოგი, ფოლკლორისტი, რუსთველოლოგი, ლინგვისტი, ქართული კულტურის მოამაგე.

სცენარის ავტორი ნინო ნატროშვილი

რეჟისორი ანდრო ჭიაურელი

30. 12. 2014

9. უჩვენებს თბილისი

დოკუმენტური ფილმი „უჩვენებს თბილისი“ მოგვითხრობს საქართველოს ტელევიზიის ცნობილი წამყვანების: ჟანეტა არჩვაძის, თენგიზ ნათაძისა და ნუგზარ ჯუღელის შესახებ. ეს ადამიანები ათწლეულების განმავლობაში მიმართავდნენ მოსახლეობას ტელეეკრანიდან და დღემდე დიდი სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებენ. ისინი იყვნენ ერთ-ერთი პირველები, ვინც საფუძველი ჩაუყარეს საქართველოს ტელევიზიას და შეიძლება ითქვას, მთელი ეპოქა შექმნეს. ყველასთვის საყვარელი წამყვანები იხსენებენ ჟურნალისტიკაში გადადგმულ პირველ ნაბიჯებს, საინტერესო ისტორიებს, მოგვითხრობენ იმ სიძნელეებსა თუ წარმატებებზე, რომელიც უხვად იყო მათი სატელევიზიო ცხოვრების განმავლობაში.

სცენარის ავტორები ნინო ჩუტკერაშვილი ნინო კაკაურიძე

რეჟისორი ლევან კიტია

საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხი

საანგარიშო პერიოდში მეორე არხი მაუწყებლობდა დადგენილი ბადით,კერძოდ,ეთერში გადიოდა ის გადაცემები და პროგრამები,რომლებიც არხის კონცეფციიდან გამომდინარე,დაიგეგმა წლის დასაწყისში,კერძოდ;

1.ბრიფინგების დრო-პოლიტიკური პარტიების პრეს-კონფერენციების,ბრიფინგებისა და სხვა აქტივობების გაშუქება.

2.თავისუფალი ტრიბუნა-პოლიტიკური პარტიების საეთერო- სასტუდიო პროგრამა.

3.არგუმენტების დრო-სტუდიური დებატები,საკანონმდებლო და აქტუალურ თემებზე.

4.ეპიცენტრი-კვირის ანლიტიკური პროგრამა.

5.საპარლამენტო სესიებისა და მნიშვნელოვანი საკომიტეტო სხდომების ტრანსლირება.

6.მოამბე ნაციონალური უმცირესობების ენებზე.

7.საანგარიშო პერიოდში გაფორმდა ხელშეკრულება და ეთერში გადის რადიო „თავისუფლების“ რუსული რედაქციის მიერ მომზადებული საინფორმაციო პროგრამა-„ნამდვილი“ დრო

8.ამავე პერიოდში ბადეში დანთავსდა მეორე არხის ჟურნალისტური გამოძიება“ჟურნალისტი გამომძიებელი“,რომელიც .

საანგარისო პერიოდში საზოგადოებრივ მაუწყებელსა და NDE შორის გაფორმდა მემორანდუმი იმ ტექნიკის გადაცემაზე,რომელიც უნდა მოხმარდეს მეორე არხზე პროგრამის „ჩემი პერლამენტი“მოსამზადებლად.პროგრამა ეთერში 2015 წლის მარტიდან გავა.

ეროვნული უმცირესობების - „მოამბე“ მე -2 არხზე

IV კვარტლის ანგარიში

2014 წლის მეოთხე კვარტალში გაგძელდა რამოდენიმე პროექტის წარმოება რომელიც უშუალოდ ეხება ეროვნულ უმცირესობებს - „მოამბე“ მე -2 არხზე (ახალი ამბები აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე), ამ ტელეგადაცემის რადიოვერსია, ყოველკვირეული რადიომაუწყებლობა ქურთულ ენაზ. ამის გარდა, 2014 წლის ოქტომბრიდან, შაბათ-კვირის გარდა, ყოველ დღე 23.00 საათზე მე -2 არხის ეთერშია რუსულენოვანი სატელევიზიო გადაცემა - "ნამდვილი დრო" . საინფორმაციო-ანალიტიკური გადაცემა „ნამდვილი დრო“ («Настоящее время») წარმოადგენს რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლებისა და ამერიკის ხმის ერთობლივ პროექტს, რომელიც ხორციელდება საქართველოში, ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვაში, მოლდავეთსა და უკრაინაში მოქმედ საზოგადოებრივ და კერძო მაუწყებლებთან თანამშრომლობით. გადაცემა დაფუძნებულია მიუკერძოებელ ჟურნალისტიკაზე და აუდიტორიას სთავაზობს საინტერესო ანლიზს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით. ამ პროექტის კურირება და ევროპელ კოლეგებთან თანამშრომლობა დაევალა მე-2 არხის ეროვნული უმცირესობების ენებზე მაუწყებლობას.

2014 წელს, ტოლერანტობის საერთაშორისო დღეს 16 ნოემბერს, სახალხო დამცველის აპარატმა, ნაც.უმცირესობების საბჭოს გადაწყვეტილებით , გადეცამა „მოამბე“ მე 2-არხზე დააჯილდოვა როგორც წლის - „ტოლერანტობის ქომაგი“ .

საინფორმაციო გადაცემა „მოამბე“ მე 2 არხზე - ეროვნული უმცირესობების ენებზე

2014 წლის IV კვ. ყოველდღე მზადდებოდა 5 ენოვანი საინფორმაციო გამოშვება „ცოცხალი ეთერის“ ფორმატში. რედაქციები ამზადებდნენ გამოშვებას რომელიც 12-13 მნიშვნელოვან ამბავს მოიცავდა. თემების შერჩევა ხდებოდა ძირითადად ქართულენოვანი „მოამბის“ მასალებზე დაყრდნობით. თითოეული სიუჟეტის ქრონომეტრაჟი საშუალოდ 1 წუთს შეადგენს. ერთ ენაზე გამოშვება საშუალოდ 10-12 წუთს გრძელდება. ეროვნული უმცირესობების რედაქციებს ქონდათ შესაძლებლობა თავად გადაეღოთ რეპორტაჟები მათთვის საინტერესო თემებზე, რაც არაერთხელ განახორციელეს. საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, როგორც წინა წლებში, გასულ სატელევიზიო სეზონშიც შესთავაზა მაყურებელს თავის პროდუქცია არა მარტო საკუთარი ეთერის მეშვეობით არამედ რეგიონალური ტელესადგურების ეთერითაც. ამის უზრუნველყოფის მიზნით, საზოგადოებრივმა მაუწყებლმა ჩაატარა ტენდერი და შეიძინა 2013-2014 წწ. სატელევიზიო სეზონისთვის ჯავახეთის და ქვემო ქართლის ტელეკომპანიების საუკეთესო საეთერო დრო (ე. წ. „პრაიმ თაიმი“ 20:00 სთ-დან-23:00- სთ-მდე) . ბოლნისის „ბოლნელ“-ს მიეწოდება აზერბაიჯანულენოვანი „მოამბე“. ნინოწმინდის ტელევიზიას ,,ფარვანა“ ,და ახალქალაქის „ევრიკა +“ კი სომხურენოვანი „მოამბე“. ასევე ზუგდიდის „ოდიშის“ ეთერით გადის აფხაზურენოვანი „მოამბე. ამ პროდუქციას პარტნიორი ტელევიზიები უშუალოდ თანამგზავრის მეშვეობით იწერენ. ადგილობრივ სადგურებს აქვთ გადაცემების განმეორებითი ტრანსლირების საშუალება დილისა და საღამოს საათებში, ასევე რეკლამის განთავსების უფლება გამოშვების წინ ან დამთავრების შემდეგ. 2014 აგვისტოში, ახალ ოფისში გადასვლასთან დაკავშირებით, ტექნიკური მიზეზების გამო გადაცემა იყო ერთი თვით გაჩერებული.

IV კვარტლის ანგარიში

რადიომაუწყებლობა

2014 წლის მე IV კვარტალში ასევე გაგრძელდა ეროვნული უმცირესობების ენებზე მაუწყებლობა „პირველი რადიოს“ ეთერით. ამჟამად საზოგადოებრივი მაუწყებლის რედიოეთერში გადის „მოამბის“ ახალი ამბების კოლაჟის აუდიოვერსია ეროვნული უმცირესობების ენებზე. საინფორმაციო გამოშვებებს აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანურ და რუსულ ენებზე კვირაში ერთხელ ემატება ასევე რადიოპროგრამა ქართულ ენაზეც.

თოქშოუ "ჩენი ეზო"

თოქ-შოუ „ჩვენმა ეზო“-მ 2013 წლის 1 ოქტომბრიდან შეცვალა ფორმატი და გასულ წელს გადიოდა კვირაში 4-ჯერ, როგორც სრულყოფილი ფილმების ციკლი საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური ჯგუფების შესახებ . გადაცემას ჰყავს 2 წამყვანი -გიორგი გუგუშვილი და ქეთევან ელიეშვილი. 2014 წელს შემოქმედებითმა ჯგუფმა მოამზადა ფილმები, რომლებშიც იყო ასახული საქართველოში მცხოვრები დუხობორების, აზერბაიჯანელების და სხვა ნაციონალური თუ რელიგიური უმცირესობების ტრადიციები და დღესასწაულები. მომზადდა მსოფლიოში სახელგანთქმული კინორეჟისორის სერგო ფარაჯანოვის, სხვა წარმატებული არაქართული წარმოშობის ცნობილი ადამიანების შესახებ გადაცემები. სულ გასულ წელს „ჩვენი ეზოს“ მიერ მომზადებულია 40 ტელეგადაცემა . 2014 მეოთხე კვარტალში დაიწყო გადაცემის რეორგანიზაცია ახალ ფორმატზე მუშაობა.

სულ 2014 წ. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ნაც. უმცირესობებზე გამოყოფილი დრო

გადაცემების ფორმატი	**დასახელება**	**ხანგძლივობა, წთ.**	**რაოდენობა, თვე**	**ჯამი, სთ.**
სატელევიზიო საინფორმაციო	ნაციონალური მოამბე	55	11	262
რადიო საინფორმაციო	ნაციონალური მოამბე	55	11	262
რადიო საინფორმაციო	ქურთული	20	12	16

	ყოველკვირეული			
საინფორმაციო- ანალიტიკური	„ნამდვილი დრო“ (თავისუფლება-საზ.მაუწ)	30	3	39
სულ წელიწადში, საათი				**579**

საზოგადოებრივი რადიო

საანგარიშო პერიოდში „საზოგადოებრივი რადიო 1“-მა გააგრძელა პროგრამული პრიორიტეტების შესრულება, მოიზიდა ახალი დაფინანსების წყაროები და გაათვართოვა მულტიმედიური პროექტი.

1. <u>ახალი ერთობლივი პროექტები და კონტრაქტები</u>

საზოგადოებრივი რადიო პროგრამული პრიორიტეტების გათვალისწინებით, კვლავ განაგრძობს დამატებითი ფინანსური წყაროების მოძიებას:

პოლიტიკაში ქალთა ჩართულობა - ღია სტუდია – საანგარიშო პერიოდში არასამთავრობო ორგანიზაციის „გენდერული თანასწორობის ქსელი“ დაფინანსებით დაიწყო გადაცემათა სერია „პოლიტიკაში ქალთა ჩართულობა“. ყოველ კვირაში პროექტს „ღია სტუდიის“ ერთი გადაცემა ეთმობა.

პატიმართა უფლებები და დანაშულის პრევენცია - ღია სტუდია – საანგარიშო პერიოდში არასამთავრობო ორგანიზაციის „ციხის საერთაშორისო რეფორმა“ ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი, რომელიც დანაშულის პრევენციის საკითხებს მიეძღვნა. იმავე ორგანიზაცისი დაფინანსებით 2014 წლის ბოლო კვარტალში დაიწყო მეორე პროექტი, რომელიც 2015 წელსაც გაგრძელდება. ამ პროექტის ფარგლებში პატიმართა რეაბილიტაციის პრობლემები და განხორციელებული პროექტები შუქდება. პროექტი გადაცემა „ღია სტუდიის“ ფარგლებში ხორციელდება.

დევნილთა სინერგია – „ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის“ დაფინანსებით განახლდა გადაცემა „დევნილთა სინერგია“. პროექტი დეკემბერში დაიწყო და 2015 წლის მარტში დასრულდება. სულ 5 გადაცემა გავა. პროექტი საერთო ჯამში 600 გირვანქა სტერლინგით დაფინანსდა. პროექტი დაფინანსებულია ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს

მიერ. გადაცემებში ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზეა საუბარი, როგორიცაა დევნილთა მიმდინარე რეგისტრაციის პროცესი, კანონი დევნილთა შესახებ, დევნილთა გააქტიურება კონფლიქტის მოგვარების პროცესში, დევნილთა საზოგადოებრივი და პოლიტიკური აქტივობა და სხვა;

ღია სტუდია - „არბაიტერ სამარიტერ ბუნდის“ დაფინანსებული ხორციელდება გადაცემათა ციკლი. გასულ კვარტალში შედგა ერთი გადაცემა, რომელიც სოციალურ მეწარმეობას მიეძღვნა. პროექტი 2015 წელსაც გაგრძელდება;

მშობელთა სკოლა – დეკემბერში გაფორმდა ახალი სასპონსორო კონტრაქტი შპს-სთან „ფაინ თრი“. ინტერაქტიული გადაცემის ფარგლებში პედიატრები და სხვადასხვა პროფილის ექიმები მშობლებს აძლევენ რჩევებს ბავშვთა დაავადებების სიმპტომებსა და მკურნალობის მეთოდებზე.

2. <u>მულტიმედიური მაუწყებლობა და ტექნიკური გადაიარაღება</u>

საზოგადოებრივმა რადიომ მაუწყებლის ვებგვერდის სამსახურთან ერთად დეკემბერში დაიწყო Youtube-ის არხის შექმნაზე. ეს არხი მომხმარებლისათვის 1 იანვრიდან ჩაირთო. ამ არხზე განთავსებულია „საზოგადოებრივი რადიო 1“-ის გადაცემების ვიდეოჩანაწერები.

Youtube-ის არხი, ვებგვერდთან და ფეისბუქთან ერთად წარმოადგენს საზოგადოებრივი რადიოს გავრცელების კიდევ ერთ მნიშნველოვან ინსტრუმენტს და აუდიტორიის გაფართოების საშუალებას. Youtube-ის მრიცხველი გვაძლევს შესაძლებლობას მნახველთა რაოდენობა თითოელი გადაცემის მიხედვით დავთვალოთ.

გასულ კვარტალში ვერ მოხერხდა ახალ საიტზე მუშაობის დაწყება. საიტის ცვლილება დაგეგმილია მაუწყებლის ვებგვერდის რესტრუქტურიზაციის ფარგლებში.

3. <u>პროგრამული ბადე</u>

ქართულ მედიასივრცეში „საზოგადოებრივი რადიო 1“ კვლავ გამოირჩევა თავისი პროგრამების მრავალფეროვნებით, ხარისხით და რაოდენობით. რადიო 1-ის პროგრამული ბადე ყალიბდება ყველა იმ პრიორიტეტის მიხედვით, რომლებიც მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ არის განსაზღვრული.

7.1 <u>ინფორმაცია და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება</u>

IV კვარტლის ანგარიში

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2013-2014 წლის პროგრამული პრიორიტეტებში გათვალისწინებულია რეკომენდაციები საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულებისათვის. ყველა ეს რეკომენდაცია რადიოს ფორმატის გათვალისწინებით შესრულებულია.

საზოგადოებრივ პოლიტიკური გადაცემებს უკავია 14:00 - 21:00 საეთერო ზოლი. ამ ზოლში რადიო 1-ის ყველა გადაცემა ინტერაქტიულია. ამას ემატება ეთნიკური უმცირესობების ენებზე 25 წუთიანი მაუწყებლობა. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დატვირთვა ნაწილობრივ აქვს დილის გადაცემას „პიკის საათი“.

საინფორმაციო გამოშვებებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

საინფორმაციო გამოშვება - პირდაპირ ეთერშია დილის 8 საათიდან ღამის 11 საათის ჩათვლით, ყოველ სრულ საათზე. 5 წუთიან გამოშვებაში ოპერატიულ და ობიექტურ ინფორმაციას მოისმენთ დღის მნიშვნელოვან მოვლენებზე. 19:00 საათზე ეთერშია ვრცელი გამოშვება. საზოგადოებრივი რადიოს საინფორმაციო სამსახური გამოირჩევა ობიექტურობით, გადამოწმებული და დაბალანსებული ინფორმაციით;

ღია სტუდია – ყოველ სამუშაო დღეს 14.10-15.00 სთ. სოციალური საკითხები, ეკონომიკა, პოლიტიკა, მეცნიერება, განათლება, კულტურული მემკვიდრეობა ყველაფერი ის, რაც საზოგადოებას აინტერესებს, „ღია სტუდიის“ მსჯელობის საგანია;

განსხვავებული აზრი-სტუმარი სტუმართან – სამშაბათს 16.10-17.00. გადაცემას აქვს განსხვავებული ფორმატი - წამყვანები მოწვეული სტუმრები რაც საზოგადოებისათვის საინტერესო თემებზე განსხვავებული კუთხით საუბრის საშუალებას იძლევა;

საღამოს პიკის საათი - – ყოველ სამუშაო დღეს 17.10-18.00 სთ. შემაჯამებელი პოლიტიკური თოქშოუ - აქტუალური თემების დეტალური ანალიზი, დღის მთავარი თემების განხილვა კომპეტენტურ სტუმრებთან და მსმენელთან ერთად;

ელენე ბილიხოძის სპორტული ესტაფეტა – ყოველდღე კვირის გარდა 19.10-20.00 ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, საუბრები სპორტის სხვადასხვა სახეობათა აქტუალურ საკითხებზე სპორტის სამყაროს ყველაზე ავტორიტეტული წარმომადგენლების მონაწილეობით;

IV კვარტლის ანგარიში

ერთად ევროპისკენ – ორშაბათს, 16:10–ზე, ევროანტლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს გაწევრიანების ძალისხმევა და მიმდინარე პროცესები: უსაფრთხოება, თავდაცვა, ევროკავშირი და ნატო, დემოკრატიული რეფორმები, ვალდებულებები და სტანდარტები, რომელიც საქართველომ უნდა შეასრულოს;

უფლება და თავისუფლება – ხუთშაბათს 16:10სთ-ზე, გადაცემა ეძღვნება ადამიანის უფლებს. საკითხები მრავალფეროვანია სახელმწიფოს სტატეგია ადამიანთა უფლებების სფეროში, გენდერი, ბავშვთა უფლებები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, დევნილები, შიდსის პრობლემები და სხვა. გადაცემა მზადდება საქართველოში გაეროს წარმომადგენლობის მხარდაჭერით;

ეკომეტრი - ოთხშაბათს 16.10-17.00 საუბარი გარემოსდაცვით პრობლემატიკაზე, ბუნებრივ რესურსებსა და ეკოლოგიურ საფრთხეებზე;

მიგრაციის მარშრუტები - სამშაბათს და ხუთშაბათს, 18.10-19.00. საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა უფლებები, ცხოვრების, სწავლის და მუშაობის პირობები, დაბრუნების პერსპექტივა, ტრეფიკინგის პობლემები;

თქვენი უფლებები (იურიდიული კონსულტაცია) - სამშაბათს, 15.10-16.00 სთ-მდე – პირდაპირ ეთერში მოწვეული კომპეტენტური იურისტები განმარტავენ მოქმედ კანონებსა და დებულებებს;

შტრიხ-კოდი - ხუთშაბათს 15.10-16.00 სთ., გადაცემა ეძღვნება მომხარებელთა უფლებებს. ექსპერტები, ხელისუფლების და მომხმარებელთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები საუბრობენ სურსათის უვნებლობის, საქონლის ვარგისიანობის შემოწმების, შენახვისა და გაყიდვის წესებზე, მომხმარებელთა დამცავ კანომმდებლობაზე

ფერმერის საათი - კვირას 15.10-16.00, პროგრამა ხშირად ეძღვნება სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ მდგომარეობას, სახელმწიფო პოლიტიკას, ბიზნესგარემოს, მომავალ პროექტებსა და პერსპექტივებს.

ისევ განათლების საკითხებზე - შაბათს 15.10-16.00 სთ, თოქშოუ განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებსა და სიახლეებზე, პროფესიულ, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების წესებზე, სამეცნიერო გრანტებზე, ერთიან ეროვნულ, სამაგისტრო, სასერთიფიკაციოგამოცდებზე, გამოცდების ჩატარების პროცედურასა და ნიუანსებზე, საერთაშორისო გაცვლოთ პროგრამებსა და სტიპენდიებზე. სტუდიაში მოწვეული სტუმრები საუბრობენ წინასწარ შერჩეულ თემაზე და პასუხობენ მსმენელთა სატელეფონო ზარებს;

IV კვარტლის ანგარიში

აკადემიური სივრცე – ქართული მეცნიერების დღევანდელი მდგომარეობა, მიღწევები, პრობლემები და განვითარების გზები;

ამერიკის ხმა – ყოველდღიური ტრანსლაცია ვაშინგტონიდან – მსოფლიო ამბები, სიუჟეტები საინტერესო თემებზე. ყოველდღიურად გადის სამი გამოშვება 15 წუთიანი გამოშვებები გადის 07:45სთ-სა და 22:05სთ-ზე. ნახევარსაათიანი გამოშვება კი გადის 20:05 სთ-ზე.

7.2 <u>საგანამანათლებლო და კულტურის მიმართულება</u>

საგანმანათლებლო და კულტურის მიმართულება საზოგადოებრივი რადიოს პრიორიტეტს ტრადიციულად წარმოადგენს. რადიო 1 -ს აქვს პროგრამები, რომლებიც თამამად შეიძლება ითქვას, რომ არის უნიკალური ქართულ მედიასივრცეში. ამ პროგრამების მომზადებისას საზოგადოებრივი რადიო იყენებს „ოქროს ფონდს“, რაც ჩვენ პროდუქციას ასევე გამოარჩევს მედიაბაზარზე. პროგრამებზე მუშაობენ პროფესიონალები, რომლებიც მაუწყებლის სიამაყეს წარმოადგენენ.

საზოგადოებრივი რადიო ერთადერთი რადიოსადგურია, რომელსაც გააჩნია რადიო თეატრი. რადიოსპექტაკლების ხარისხზე მიუთითებს საერთაშორისო აღიარება და პრიზები.

საზოგადოებრივი რადიო ერთადერთი მედიასაშუალებაა, რომელიც სისტემატურად იწერს სპექტაკლებს და კლასიკური მუსიკის კონცერტებს, რაც მნიშვნელოვანია ქართული კულტურისათვის. საზოგადოებრივი რადიო ერთადერთი მედიასაშუალებაა, რომელსაც აქვს მუდმივი გადაცემები სადაც შეგიძლიათ მოისმინოთ თეატრალური და მუსიკალური მიმოხილვა და კრიტიკა.

რადიო 1 გამოირჩევა მუსიკალური გადაცემების მრავალფეროვნებით და ხარისხით. მუსიკალური პროგრამები მოიცავს პრაქტიკულად მთელ სპექტრს - კლასიკას, ფოლკლორს, ძველ და თანამედროვე ქართულ ესტრადას, თანამედროვე და შედარებით უცნობ მუსიკას.

საზოგადოებრივი რადიო ასევე გამოირჩევა ლიტერატურული და საბავშვო პროგრამებით.

IV კვარტლის ანგარიში

საგანამანათლებლო და კულტურის მიმართულების გადაცემების ჩამონათვალი ასეთია:

რადიოთეატრი – საზოგადოებრივი რადიოს რადიოთეატრი წარმოადგენს ქართული კულტურის მნიშვნელოვან ნაწილს. ეროსი მანჯგალაძის სახელობის რადიოსტუდიაში დღესაც იწერება რადიოდადგმები. რადიოს ეთერში ისმის როგორც ძველი ასევე ახალი რადიოსპექტაკლები. საზოგადოებრივი რადიოს ახალი დადგმები მუდმივად მონაწილეობენ საერთაშორისო კონკურსებში, იღებენ აღიარებას და პრიზებს;

თეატრალური შეხვედრები – ორშაბათს 18.10-19.00, ქართული თეატრის სიახლეები, პრემიერები, თეატრალურ მოღვაწეთა გახსენება, სცენები რადიოს ოქროს ფონდში დაცული სპექტაკლებიდან

კოლექცია – შეხვედრები საინტერესო მოღვაწეებთან, ვინც გატაცებული არიან ხელოვნების ნიმუშებისა და იშვიათი ნივთების შეგროვებით;

თეატრალური ნოსტალგია სცენები ძველი დროის პოპულარული სპექტაკლებიდან (რადიოს ოქროს ფონდიდან);

თეატრალური ანტრაქტი – სცენები საპრემიერო სპექტაკლებიდან და საქართველოს თეატრების მოქმედი რეპერტუარიდან ანოტაციებით;

რაც მეხსიერებას შემორჩა – რადიოს ოქროს ფონდში დაცული იშვიათი ჩანაწერების მომზადების ისტორიები და თავად ჩანაწერები;

კინოფილმი უეკრანოდ – გადაცემის წამყვანი აცოცხლებს ქართული ფილმის სიუჟეტს ფრაგმენტული ჩანაწერების თანხლებით;

ხაზის რადიო – ყოველ სამუშაო დღეს 10.10-11.00, ხუთი სხვადასხვა ავტორის ხედვა საერთო-ეროვნულ ღირებულებებისა, შეხვედრები ადამიანებთან, ვინც ღირებულებების შექმნაზე ზრუნავდნენ და ზრუნავენ. ექსკლუზიური ჩანაწერები რადიოს ოქროს ფონდიდან.

ორშაბათი – **ცხოვრება კადრს მიღმა** - თეატრისა და კინოს ცნობილ მოღვაწეთა ცხოვრება და შემოქმედება

სამშაბათი – **ქართული ეთნო** - ტრადიციები, ტრადიციებსა და ფოლკლორულ მემკვიდრეობაზე მოამაგე ადამიანები

ოთხშაბათი – საქართველოს სოფლებისა და ქალაქების საინტერესო ისტორიები და კოლორიტები

ხუთშაბათი – ქართული მუსიკის მოამაგენი, უცნობი დეტალები ცნობილი მუსიკოსების ცხოვრებიდან და მათი შემოქმედების უნიკალური ნიმუშები

პარასკევი – ეპოქა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და ადამიანები, ვინც ეპოქალურ ღირებულებებს ქმნიან

მუსიკის საათი ყოველდღე 13.10-14.00

ორშაბათი - **ნია ბახტაძის მუსიკალური შეხვედრები** ცნობილ შემსრულებლებთან, ცოცხალი შესრულება, ახალი ჩანაწერებისა და ალბომების პრეზენტაციები პირდაპირ ეთერში;

სამშაბათი – **კლასიკის საათი**, სხვადასხვა ეპოქის ავტორები და ნაწარმოებები (თიბისი ბანკის დაფინანსებით);

ოთხშაბათი – **ჩაკრულო** – ქართული და უცხოური ფოლკლორი, ხალხური სიმღერის შექმნის ისტორიები, მომღერალთა პორტრეტები, ქორეოგრაფიის ისტორია, ხალხური პოეზიის, ხელსაქმისა და ტრადიციების ამსახველი მასალები;

ხუთშაბათი - **ვარიაციები მუსიკის თემაზე** – კლასიკური მუსიკის საუკეთესო ნიმუშები, გამორჩეული ინტერპრეტაციები, ცნობილი და ნიჭიერი ახალბედა ქართველი შემსრულებლები;

პარასკევი - **რეტრო**, 70-90 იანი წლების ქართული ესტრადა, მოგონებები და საინტერესო ისტორიები იმ პერიოდის ცნობილ შემსრულებლებზე, ქართული ესტრადის განვითარების ისტორია და რეტრო-მუსიკის საუკეთესო ჩანაწერები პირდაპირ ეთერში;

შაბათი - **რადიოანშლაგი**, მუსიკალური ცხოვრების სიახლენი, საკონცერტო დარბაზებში გამართული საღამოების ჩანაწერები;

კვირა - **მხოლოდ ოპერა** – საოპერო მუსიკის სიახლენი, ქართველ შემსრულებელთა, კომპოზიტორთა და ახალბედა ნიჭიერ მუსიკოსთა შემოქმედებითი პორტრეტები, ექსკლუზიური მუსიკალური ნომრები;

IV კვარტლის ანგარიში

პიკის საათი - დილის შემეცნებითი-გასართობი პროგრამა ეთერშია ყოველ სამუშაო დღეს 07.30-დან 10.00 მდე, შაბათობით 09.00 დან 11.00 მდე – გადაცემა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს საგანმანათლებლო და კულტურის მიმართულებაზე. აქვს შესაბამისი რუბრიკები. სტუდიის სტუმართა უმრავლესობა ამ სფეროს წარმომადგენლები არიან;

ცხოვრება ხელოვნებაში - ცნობილ ხელოვანთა შემოქმედებითი გზა და ცხოვრებისეული ისტორიები სამშაბათს, 23.10-00.00;

თავისუფალი ლიტერატურა – ლიტერატორთა და ლიტერატურის მოყვარულთა საუბრები მწერლებისა და მწერლობის პრობლემებზე. ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ყველა სიახლე - პარასკევს 18.10-19.00;

ლია ძიძიგურის გალერეა - შემოქმედი ადამიანების პორტრეტები, ცხოვრებისეული ისტორიები;

უცნობი მუსიკა – კახა თოლორდავას ექსკლუზივი შაბათს 23.30-01.00, მსმენელთათვის ნაკლებად ცნობილი მუსიკოსები, მსოფლიო მუსიკის იშვიათი ნიმუშები;

ჯაზ ამერიკა - „ამერიკის ხმის“ ყოველკვირეული პროგრამა ჯაზზე. რას დევისის საავტორო გადაცემა ჯაზის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პროგრამაა მსოფლიოში. „ჯაზ ამერიკა“ ინგლისურენოვანია რის გამოც ის გვიან ღამით გადაიცემა.

ჩვენი საგანძური - „ღია სტუდიის“ შაბათის გამოშვება.14.10-15.00 სთ კულტურული ცხოვრებისა და შემოქმედებითი პროცესების ანალიზი, ეროვნული ფასეულობებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების სტრატეგია;

ბახიდან ოფენბახამდე – ერთი მუსიკალური შედევრი შემეცნებითი ანოტაციის თანხლებით;

ქართული მუსიკის ასი წელი – ქართველი მუსიკოს-შემსრულებლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალა იშვიათი ჩანაწერებით;

ინტერმედია – მსოფლიო მუსიკალური ცხოვრების სიახლეები;

მოუსმინე ისტორიას რადიო1-ზე - მცირეფორმატიანი გადაცემები კულტურულ და ისტორიულ მემკვიდრეობაზე. ავტორი ლილი ჭანიშვილი. გადაიცემა დღის განმავლობაში რამდენჯერმე;

IV კვარტლის ანგარიში

აქცენტები ისტორიაში – უცნობი ან ნაკლებად ცნობილი ფრაგმენტები საქართველოს ისტორიიდან;

ისტორია ექსპონატებში – საქართველოს მუზეუმებსა და სახლ-მუზეუმებში დაცული უნიკალური ექსპონატების ისტორია;

ხელნაწერი – საზოგადოებისთვის უცნობი ხელნაწერების შექმნისა და დღემდე მოღწევის ისტორია, მათი კულტურულ-მხატვრული ღირებულებები;

ფერთამეტყველება – ხატწერის იშვიათი ნიმუშები, ჩვენამდე მოღწეული სიწმინდეების ისტორია;

ვეფხისტყაოსნის ეპოქა – ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია. პოემის ახლებური გააზრება ცნობილ ლიტერატორთა და მკვლევართა მონაწილეობით, ვეფხისტყაოსნის სტროფების მხატვრული კითხვის ჩანართებით. ორშაბათს და ოთხშაბათს დილისა და საღამოს ეთერში

ეპიზოდები – უცნობი მასალა არქივებიდან. ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა პირადი მიმოწერა, ნაკლებადცნობილი ფრაგმენტები ძველი დროის შემოქმედთა ცხოვრებიდან.

სიტყვა ქართული – ქართული ენის ნორმები, სიტყვების სწორი ფორმები და შინაარსობრივი განმარტებები, სინონიმთა და პარონიმთა გარჩევა;

აკადემიური სივრცე – ქართული მეცნიერების დღევანდელი მდგომარეობა, მიღწევები, პრობლემები და განვითარების გზები. პროექტის ფარლგლებში სექტემბრიდან დაიწყო ახალი ციკლი ფუნდამენტურ მეცნიერებებზე;

საუკუნის ხმები – უნიკალური ხმები რადიოს ოქროს ფონდიდან მცირე ფორმატით ყოველდღიური პროგრამის გასამდიდრებლად;

ინგლისურის გაკვეთილი – ბრიტანეთის საბჭოს მიერ უსასყიდლოდ გადმოცემული გაკვეთილები ლექსიკისა და სასაუბრო ჩვევის გასაუმჯობესებლად;

თქვენი უფლებები - სამშაბათს, 15.10-16.00 სთ-მდე – პირდაპირ ეთერში მოწვეული კომპეტენტური იურისტები განმარტავენ მოქმედ კანონებსა და დებულებებს. პროგრამა მიზნად ისახავს აუდიტორიის სამოქალაქო და იურიდიული განათლების ხელშეწყობას;

შტრიხ-კოდი - ხუთშაბათს 15.10-16.00 სთ., ექსპერტები, მომხმარებელთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები საუბრობენ სურსათის

უვნებლობის, საქონლის ვარგისიანობის შემოწმების, შენახვისა და გაყიდვის წესებზე, მომხმარებელთა დამცავ კანომმდებლობაზე;

ისევ განათლების საკითხებზე -კონსულტაცია განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეებზე, ეროვნული გამოცდების ახალ წესებზე, რჩევები აბიტურიენტთათვის – შაბათობით 15.10-16.00 სთ

ფერმერის საათი - კვირას, 15.10-16.00; რჩევები სოფლის მეურნეობის თემაზე, ტრადიციული ქართული ჯიშებისაა და ახალი კულტურების მოვლა. პროგრამა ფერმერს და გლეხს აძლევს პრაქტიკულ და მეცნიერულ ცოდნას, შუქდება სიახლეები ჯიშების, მოვლის ტექნოლოგიების, შენახვისა და მარკეტინგის სფეროში;

ოჯახის ექიმი– ორშაბათს და პარასკევს 15.10-16.00 სთ-მდე, სამედიცინო გადაცემა მიზნად ისახავს ჯანსაღი ცხოვრები წესის პოპულარიზაციას და ზოგადი სამედიცინო განათლების გაზრდას. გადაცემას ასევე აქვს საკონსუტლაციო ფუნქციაც;

მშობელთა სკოლა – პედიატრისა და სხვადასხვა პროფილის ექიმთა რჩევები ბავშვთა დაავადებების სიმპტომებსა და მკურნალობის მეთოდებზე, პირდაპირ ეთერშია ოთხშაბათს 15.10-16.00 („ფაინ თრი" დაფინანსებით);

მედიატორი – გადაცემა მშობლებისა და პედაგოგებისთვის. საუბარი ბავშვთან ურთიერთობის პრობლემებზე, ფსიქოლოგთა რჩევები რთულ მოზარდთა ქცევისა და ხასიათის უკეთ გაგებისათვის;

ეკომეტრი - გადაცემის მიზანია საზოგადოების ეკოლოგიური განათლების გაზრდა. საუბარი გარემოსდაცვით პრობლემატიკაზე, ბუნებრივ რესურსებსა და ეკოლოგიურ საფრთხეებზე, ოთხშაბათს 16.10-17.00 (სპონსორთა მხარდაჭერით);

შაბათ-კვირა 102.4-ზე – შემეცნებითი-გასართობი პროგრამა შაბათ-კვირას 11.10 დან 13.00 მდე. საინტერესო რუბრიკები, გემოვნებიანი მუსიკა და ხალისიანი განწყობა;

7.3 <u>გართობისა და სპორტის მიმართულება</u>

ყველა გასართობ პროგრამას აქვა საგანამანთლებლო და საინფორმაციო მიზნები. რადიო 1-ის ეთერში ყვოელდღიურად გადის სპორტული თოქშოუ. რაც შეეხება სპორტულ ტრანსლაციებს გადაიცემა მხოლოდ მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებები, ძირითადად ფეხბურთში, რაგბსა და კალათბურთში საქართველოს ნაკრებების გადამწყვეტი და პრინციპულად მნიშვნელოვანი მატჩები. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2014 წლის ბრაზილიის მსოლფიო ჩემპიონატის

მატჩების ტრანსლაცია, რომელიც საზოგადოებრივი რადიოს ორივე არხით ხორციელდებოდა. ტრანლსაციები დამატებით ხარჯებთან დაკავშირებული არ არის. სპორტული ტრანსლაციები მსმენელთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს.

ღამით გადაიცემა კლასიკური მუსიკა.

საზოგადოებრივი რადიო ახორციელებს როგორც ქართული ასევე უცხოური მუსიკალური და კულტურულ ღონისძიებების პირდაპირ ეთერში ტრანსლირებას ან აუდიჩანაწერების ეთერში გაშვებას. უცხოურ მასალებს ვიღებთ EBU-საგან, რაც დამატებით ხარჯებთან დაკავშირებული არ არის.

პიკის საათი - ეს გადაცემა პირველი ქართულ მედიასივრცეში, რომელმაც შეითავსა მუსიკალურ-გასართობი და საინფორმაციო-საგანმანათლებლო ფუნქციები. დილის შემეცნებითი-გასართობი პროგრამა ეთერშია ყოველ სამუშაო დღეს 07.30-დან 10.00 მდე, შაბათობით 09.00 დან 11.00 მდე – გადაცემა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს საგანმანათლებლო და კულტურის მიმართულებაზე. აქვს შესაბამისი რუბრიკები. სტუდიის სტუმართა უმრავლესობა ამ სფეროს წარმომადგენლები არიან;

ელენე ბილიხოძის სპორტული ესტაფეტა – ყოველდღე კვირის გარდა 19.10-20.00 ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, საუბრები სპორტის სხვადასხვა სახეობათა აქტუალურ საკითხებზე სპორტის სამყაროს ყველაზე ავტორიტეტული წარმომადგენლების მონაწილეობით;

7.4 <u>საქართველოს ენებზე მაუწყებლობა</u>

საზოგადოებრივი რადიო გადასცემს საინფორმაციო გამოშვებებს აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. ამ მასალას გვაწვდის საზოგადოებრივი მაუწყებლის ნაციონალური უმცირესობების ენებზე მაუწყებლობის რედაქცია. გამოშვების ქრონომეტრაჟია 25 წუთი.

ამის გარდა, საზოგადოებრივ რადიო 2-ზე გადის ყოველკვირეული გადაცემა ქურთულ ენაზე.

4. **<u>ერთობლივი პროექტები და დაფინანსების მოზიდვა</u>**

)საზოგადოებრივი რადიო № პროექტების ნაწილს ახორციელებს მოზიდული დაფინანსებითყ მათ შორისაა როგორც საგრანტო ასევე სასპონსორო დაფინანსებაყ ასევე გვაქვს რამდენიმე ხელშეკრულებაბ რომლითაც ხდება

IV კვარტლის ანგარიში

საეთერო დროის მიყიდვაყ ყველა ეს პროექტი სრულიად შეესაბამება სამეურვეო საბჭოს მიერ დასახულ პრიორიტეტებსყ

ანგარიშის დასაწყისში ჩამოთვლილია ახალი და განახლებული ერთობლივი პროექტები, რომლებიც პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით ხორციელდება.

საზოგადოებრივი რადიომ ასევე გააგრძელა რამდენიმე ერთობლივი და სასპონსორო პროექტი, რომლებიც წინა საანგარიშო პერიოდამდე დაიწყო.

ერთობლივი პროექტები საერთაშორისო არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციებთან

- გაეროს წარმომადგენლობა საქართველოში საზოგადოებრივ მაუწყებელთან ერთა ახორციელებს პროექტს **„უფლება და თავისუფლება**“. 2014 წლის პროექტის საერთო ღირებულება შეადგენს 26,790 ლარს. პროექტი დაიწყო თებერვალში და წლის ბოლომდე გაგრძელდება. პროექტი 2015 წელსაც გრძელდება;
- გრძელდება ხელშეკრულება **ამერიკის ხმა**სთანყყოველდღიური 15წთ-იანი 2 გომოშვება და 30წთ-იანი გადაცემაყ ყოველთვიური ანაზღაურება №%% დოლარიჟ
- ***ინგლისურის გაკვეთილები*** - ბრიტანეთის საბჭოსა და საზოგადოებრივი რადიოს ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტი. რადიომსმენელებისთვის მომზადებული გაკვეთილების სერია OBLA AIR. პროექტის დაფინანსებას და ლიცენზიას ბრიტანეთის საბჭო უზრუნველყოფს;

სასპონსორო პროექტები

- სამედიცინო ფირმა კამელინი **ეკომეტრის** სპონსორობისთვის იხდის „: % დოლარის ექვივალენტ თანხასჟ

საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ-პორტალი

მომხმარებლის მხრიდან გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შეიმუშავა ვებ პორტალის (1tv.ge) ახალი კონსტრუქცია და დიზაინი. გავითვალისწინეთ ის იდეები და კომენტარები, რაც წლების განმავლობაში მუშაობის პროცესში შეგვხვედრია.

ახალი ორენოვანი ვებ პორტალის მიზანი იყო თანამედროვე ვებ ტექნოლოგიების ჩანერგვა ვებ გვერდში და მომხმარებლის ფუნქციების მაქსიმალური ინტეგრაცია, რაც გამოიხატა შემდეგში:

- მომხმარებლებს საშუალება აქვთ იქონიონ საკუთარი გვერდი, სადაც დაწერენ ბლოგებს, ექნებათ ფავორიტი სტატიები და ნიშნულები სამომავლოდ წასაკითხი სტატიების;
- მომხმარებლებს საშუალება აქვთ მთავარ გვერდზევე გაფილტრონ საინტერესო, ახალი დამატებული და ტოპ სიახლეები;
- საიტზე გათვლილია ადგილები სტატიკური და ანიმაციური ბანერებისთვის;
- საიტი ტექნიკურად გამართულია, ორი ენის მხარდაჭერით. გათვალისწინებულია გვერდების ჩატვირთვის სისწრაფე, ტექსტისა და სიახლეების მართვის მოქნილი მექანიზმი, მოქნილი და რელევანტური საძიებო სისტემა და ა.შ.
- დიზაინი, რომელიც ერგება ნებისმიერი გაფართოების მონიტორს, გატესტილი ყველა ინტერნეტ-ბრაუზერზე.
- პლანშეტებზე, სმარტფონებზე და მობილურ ტელეფონებზე მორგებული დიზაინი.
- ინტეგრირებული სოციალურ ქსელებთან

სამოქალაქო ჟურნალისტიკა IREPORTER

საზოგადოებრივ ინტერესებზე ორიენტირების, ასევე საზოგადოებასთან უფრო მეტი კავშირის დამყარების მიზნით, პირველი არხის საიტზე იტვირთება საზოგადოების მხრიდან შემოთავაზებული აუდიო, ვიდეო და ფოტომასალა.

- მომხმარებელს საშუალება აქვს თავად დაწეროს და განათავსოს სტატია ვებ პორტალზე
- მომხმარებელს საშუალება აქვს დაამატოს თავისი ვიდეო მასალა ვებ გვერდზე.

- მომხმარებელს საშუალება აქვს გააზიაროს და გააპიაროს თავისი და სხვისი სტატიები და გვერდები სიციალური ქსელების მეშვეობით.
- მომხმარებლის სამართავი პანელი მაქსიმალურად დაცულია.
- კომენტარების დატოვების საშუალება აქვთ, როგორც ფეისბუქის და გუგლ პლუსის, აგრეთვე ჩვეულებრივად რეგისტრირებულ მომხმარებლებს.

www.1tv.ge - განთავსებულია პროგრამა „მოამბის“ ახალი ამბების ორენოვანი მრავალწლიანი არქივი კატეგორიების მიხედვით, რომელსაც ახლავს ფოტო და ვიდეო მასალა, ასევე სხვა წყაროებზე დაყრდნობით მნიშვნელოვანი და საინტერესო მასალები, სხვადასხვა გადაცემების ვიდეო არქივი, პოლიტიკური თოქშოუებიდან საინტერესო მონაკვეთები, პირდაპირი ეთერი ერთკვირიანი გადახვევის ფუნქციით, ტელეპროგრამა. ასევე კვლავ ფუნქციონირებს პირველი არხის ცალკეული გადაცემებისთვის დამზადებული პრომო საიტები განსხვავებული დიზაინითა და ფუნქციებით: **1tv.ge/Kids;1tv.ge/RealuriSivrce; Komunikatori.ge,** რაც წარმოადგენს სატელევიზიო და ინტერნეტ-მაუწყებლობის სრულფასოვან ჰიბრიდს.

Komunikatori.ge

- ორსაათნახევრიანი საეთერო მაუწყებლობის გარდა, “კომუნიკატორი” 24-საათიან რეჟიმშია ჩართული ინტერნეტ სივრცეში, რომელიც ტელევიზიასთან ერთად, თანაბარი მნიშვნელობის რესურსია გადაცემის ფუნქციონირებისას. “კომუნიკატორის” ინტერნეტ-პლატფორმიდან ხდება საეთერო თემების დამუშავება და კონტაქტი მაყურებელთან.
- გადაცემის დროს, სატელეფონოს გარდა, ყველა სხვა სახის კავშირი მაყურებელთან ხდება “კომუნიკატორის” ინტერნეტ-პლატფორმის გავლით, საიდანაც ყველა მსურველს აქვს საშუალება გამოთქვას თავისი მოსაზრება პირდაპირ ეთერში თავისი პერსონალური კომპიუტერიდან (ტელეფონიდან, პლანშეტიდან) ფეისბუკის, სკაიპის, გუგლისა და სხვა პოპულარული სოციალური ქსელის დახმარებით

საზოგადოებრივი მაუწყებელი ინტერნეტ სივრცეში წარმოდგენილია კიდევ რამდენიმე ვებ-გვერდით. ესენია:

- **www.gpb.ge** - განთავსებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია, დოკუმენტაცია, სამეურვეო საბჭოს სხდომები და დადგენილებები, საბჭოს სხდომების ვიდეოვერსიები, კანონმდებლობა და ა.შ.

IV კვარტლის ანგარიში

- **www.2tv.ge** - განთავსებულია მე-2 სატელევიზიო სამაუწყებლო არხის გადაცემები, ტელეპროგრამა და პირდაპირი ეთერი ერთკვირიანი გადახვევის ფუნქციით.
- **www.radio1.ge** - განთავსებულია საზოგადოებრივი რადიო 1-ის გადაცემები, აუდიო/ვიდეო არქივი, ანონსები, რადიო 1-ის და რადიო2-ის- **www.radio2.ge** liveმაუწყებლობა აუდიო/ვიდეო (ერთკვირიანი გადახვევის ფუნქციით), ასევე მობილური ვერსია.
- www.eurovision-georgia.ge -ევროვიზიის სიმღერის კონკურსთან დაკავშირებით საიტზე განთავსდა შიდაშესარჩევ კონკურსში მონაწილე კონკურსანტების, ფოტოები, ბიოგრაფიები.
- საბავშვო ევროვიზიის კონკურსის პერიოდში განახლდა საიტი - **junior.eurovision-georgia.ge და** განთავსდა კონკურსში მონაწილე ლიზი პოპის შესახებ ინფორმაციები, ასევე კონკურსთან დაკავშირებული ახალი ამბები და ვიდეო ფაილები.
- ამჟამად მიმდინარეობს ევროვიზიის კონკურსთან დაკავშირებული საიტების სრული რებრენდინგი.
- **www.tqvi.ge** - ეს არის უნიკალური სოციალური პროექტი, რომელიც 2013 წლის მაისიდან ამოქმედდა და მისი მიზანია საზოგადოების ნებისმიერი წევრის აზრის ღია და საჯარო გამოხატვა, თხოვნების და მიმართვების გავრცელება. ნებისმიერ მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა მიმართოს მისთვის სასურველ პიროვნებას ან ორგანიზაციას, გააცნოს ფართო აუდიტორიას თავისი მოსაზრება, მოთხოვნა და რეკომენდაცია.
- ამ სერვისით უკვე ისარგებლა ბევრმა ადამიანმა. რამდენიმეს მოჰყვა გამოხმაურება და დახმარების შეთავაზება.
- **YouTube-არხები**
- "სსმ"-ზე განთავსებულია საინფორმაციო გამოშვებები, სიუჟეტები, პირველი და მეორე არხის ტოქ-შოუები, პირველი არხის ყველა ის გადაცემა, რომლებზეც საავტორო უფლებები ეკუთვნის საზოგადოებრივ მაუწყებელს. გამომწერები ყოველდღიურად ეცნობიან რესურსზე ატვირთულ ვიდეომასალას.
- 2013 წლის ივნისიდან დეკემბრის ჩათვლით, ვიზიტორების რაოდენობა აღემატება 750 000-ს (ნახვების საერთო წუთები - 4 525 000)
- სპორტს აქვს ცალკე YouTube-არხი, https://www.youtube.com/user/SportGPB
- "სსმ სპორტზე" იტვირთება ყველა სპორტული გადაცემა და ყველა სპორტული რეპორტაჟი, რომელთა საავტორო ან მაუწყებლობის უფლებები ეკუთვნის საზოგადოებრივ მაუწყებელს.
- საიტზე 1tv.ge 2014 წლის ოქტომბერი-ნოემბერი-დეკემბერი პერიოდის განმავლობაში სულ დაფიქსირდა: 1 290 793 ვიზიტორი
- ყველაზე მეტი: 11 ნოემბერი 31,700 ვიზიტი
- ქვეყნები:
- საქართველო - 71%

IV კვარტლის ანგარიში

- აშშ - 5%
- რუსეთი - 3,13%
- გერმანია - 3,14%
- საფრანგეთი - 1,52%
- თურქეთი - 3,08%
- საბერძნეთი-2,08%

საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახური

მარკეტინგის სამსახური

1. ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს სატელევიზიო ბაზრის, საზოგადოებრივი მაუწყებლის და სხვა ტელეარხების გადაცემების მონიტორინგი და ანალიზი. მონიტორინგი ხორციელდება “people meters”-ების საშუალებით. მზადდება სარეიტინგო მასალა ტელეგადაცემების დინამიკის შესასწავლად, ანალიზდება სატელევიზიო აუდიტორიის ქცევა, მიღებული მონაცემები ყოველდღიურად ეგზავნება არხის ხელმძღვანელობას.

2. გადაცემების პროდიუსერებს, ყოველდღიურად, თითოეული გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ ეგზავნებათ სარეიტინგო მონაცემები: გადაცემების აუდიტორიის განაწილება 5 წუთიანი დროითი სეგმენტების და მინზნობრივი ჯგუფების მიხედვით

3. ყველა საერთაშორისო პროექტზე სისტემატურად მზადდება რეპორტები და ეგზავნებათ საერთაშორისო ორგანიზაციებს. ევროპის მაუწყებელთა კავშირის წევრობა გვავალდებულებს ყველა საერთაშორისო პროექტების ჩვენების შემდეგ გავგზავნოთ სარეიტინგო მონაცემები

4. როგორც ცნობილია, საქართველოში სატელევიზიო გაზომვების სისტემა ბოლო ხანებში ყურადღების ცენტრში მოექცა. სექტემბრიდან მიმდინარეობს შეხვედრები ტელეკომპანიების, სარეკლამო სააგენტოების და სარეკლამო სააგენტოების ასოციაციის წარმომადგენლების ჩართულობით. შეხვედრის ყველა მონაწილემ იმსჯელა სამუშაო ჯგუფის შექმნის საჭიროებაზე და მის მუშაობაში სატელევიზიო ბაზრის თითეული მონაწილის ჩართულობის აუცილებლობაზე. ჯგუფის წევრების სურვილით

განხორციელდება საკვლევი პანელის ოჯახების აუდიტირების პროცესი. სამუშაო ჯგუფის წევრები მიმდინარე ეტაპზე აგრძელებენ მუშაობას საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის შესარჩევი განაცხადის ტექსტზე. შეხვედრები გეგმის მიხედვით გრძელდება და ჩვენი სამსახური აქტიურად არის ჩართული მთელ პროცესში

5. ევროპის მაუწყებელთა კავშირის მოთხოვნით, მომზადდა ანგარიში ქართული სატელევიზიო აუდიტორიის შესახებ, აუდიტორიის ცალკეული კატეგორიების, სატელევიზიო არხების და სხვა პარამეტრების მიხედვით

6. საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს დაკვეთით, კომპანია ეი-სი-თიმ საქართველოს მასშტაბით ჩაატარა კვლევა საზოგადოებრივი მაუწყებლობის მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლის მიზნით. კვლევის მონაცემთა ანალიზის საფუძველზე მზადდება სატელევიზიო აუდიტორიის სეგმენტაცია.

7. ჩატარდა საქართველოს სატელევიზიო სივრცეში სარეკლამო ბაზრის მიმოხილვა:

- მედია ბაზრის ზოგადი მიმოხილვა
- საქართველოს სარეკლამო ბაზარზე არსებული ფასების ანალიზი
- სარეკლამო შეთავაზებების ანალიზი
- საანონსო სტრატეგიის განსაზღვრა

გაანალიზდა ყველაზე მსხვილი რეკლამის დამკვეთების სარეკლამო სტრატეგიები, საანონსო და სასპონსორო შეთავაზებები. ამ ანალიზის შედეგად განისაღვრა საზ. მაუწყებლის საანონსო და სარეკლამო სტრატეგია. მომზადდა 2013–2014 წლის სარეიტინგო მოანცემების შედარებითი ანალიზი.

საერთაშორისო ურთიერთობები:

1. ეუთოს კონფერენცია

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მონაწილეობა მიიღო თბილისში, ეუთოს მიერ ორგანიზებულ სამხრეთ კავკასიის კონფერენციაში, საზოგადოებრივი მაუწყებლობის შესახებ.

2. დოკუმენტური ფილმი „ხელმწიფე“

საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდიის მიერ დამზადებული ფილმი „ხელმწიფე“ - ს ჩვენების უფლება იყიდა trcion,ltd, Beldocs, IDFF, MladenVusurovic-მა.

3. Silk Road International Film Festival

საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდიის მომზადებული ფილმების „მე პატარა ქართველი ვარ“ და „ვაზში დაკარგულები“ ნომინირებულ იქნა ჩინეთის საერთაშორისო ფესტივალში „Silk Road International Film Festival”. ფილმმა ვაზში დაკარგულები“ გაიმარჯვა ნომინაციაში ხალხის სიმპატია.

4. EBU-ს გენერალური ასამბლეა

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მონაწილეობა მიიღო ევროპის მაუწყებელთა კავშირის 73-ე გენერალურ ასამბლეაზე.

5. EBU MIS

საზოგადოებრივ მაუწყებელს სტუმრად ეწვია EBU-ს მთავარი ანალიტიკოსი (Dr. David Fernández Quijada) შეხვედრის დროს განხილულ იქნა პანელური კვლევის ალტერნატიული გზები.

6. გაფორმდა ხელშეკრულება ლატვიის საზოგადოებრივ მაუწყებელთან, რომელიც ითვალისწინებს ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვას, საერთო პროგრამების შექმნას, ახალი ამბების მიმართულებით მომსახურების გაცვლას.

7. იტალიის საელჩოს ღონისძიება - ქალთა ძალადობის წინააღმდეგ

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მედიაპარტნიორობა გაუწია იტალიის საელჩოს, რაც გულისხმობდა მათ მიერ მარჯანიშვილის თეატრში ორგანიზებული ღონისძიების გადაღებას ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით.

8. ტომსონ როიტერსის ხელშეკრულება (ვიდეო არქივი)

IV კვარტლის ანგარიში

საზოგადოებრივ მაუწყებელსა და ტომსონ როიტერს შორის დაიდო განახლებული ხელშეკრულება, სადაც დამატებულ იქნა როიტერსის ვიდეო არქივით სარგებლობა.

9. ექსკლუზივი ლატვიის პრეზიდენტთან

ორგანიზება გაეწია ლატვიის პრეზიდენტის საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურისთვის „მოამბე“ ექსკლუზივის მოპოვებას, რომლის ფარგლებშიც დაიგეგმა შეხვედრა ლატვიის პრეზიდენტსა და მოამბის ჟურნალისტს შორის ლატვიაში ქალაქ რიგაში.

10. მემორანდუმი გერმანიის საელჩოსთან

საზოგადოერბვი მაუწყებელსა და გერმანიის საელჩოს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რაც გულისხმობდა გერმანიის საელჩოს მიერ შემოთავაზებული თემების (საზოგადოებისთვის საინტერესო) ინტეგრირებას საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის სხვადასხვა გადაცემებში.

11. დოკუმენტური ფილმი „ხელმწიფე“ ლაიფციგის კინო ფესტივალზე

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დოკუმენტური ფილმების სტუდიის მიერ მომზადებული ფილმი „ხელმწიფე“ წარადგინა ლაიფციგის დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე.

12. საბავშვო ევროვიზია 2014

2015 წლის საბავშვო ევროვიზიის ფარგლებში დაიგეგმა ინტერვიუები და განხორციელდა ოფიციალური მიმოწერა სხვადასხვა საკითხებზე საერთაშორისო მასშტაბით.

13. EBU დელეგაციის ვიზიტი

საზოგადოებრვი მაუწყებელს ნოემბრის თვეში ეწვია ევროპის მაუწყებელთა კავშირის დელეგაცია. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტსა და სამეთვალყურეო საბჭოსთან სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების მიზნით.

IV კვარტლის ანგარიში

14. დოიჩე ველეს ტრეინინგები

საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალსიტებმა მონაწილეობა მიიღეს დოიჩე ველეს ორგანიზებულ სხვადასხვა ტრეინინგში.

15. EBU-ს ვორქშოფი - ტირანა

ევროპის მაუწყებელთა კავშირის მოწვევით საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მონაწილეობა მიიღო EBU-ს და ეუთოს მიერ ორგანიზებულ ვორქშოფში საზოგადოებრივი მაუწყებლობის შესახებ.

16. ევროვიზიის შიდა შესარჩევი

პირველად ქართული ევროვიზიის ისტორიაში 2015 წლის ევორვიზიის კონკურსანტი მაყურებელთან ერთად საერთაშორისო ჟიურიმ აირჩია.

17. Irex - ის პროექტი

საზოგადოებრვიმა მაუწყებელმა მონაწილეობა მიიღო აირექსის მიერ გამოცხადებულ კონკურსში და გააკეთა განაცხადი საქართველოს მედია პარტნიორობის პროგრამზე, რაც გულისხმობს მაუწყებლის მენეჯმენტის, პროდიუსინგის, ვებ-სამსახურის თუ სხვა მსხვილი მიმართულების მენეჯერების გადამზადება თვინინგის პრინციპით.

18. აკრედიტაციები

გადამღები ჯგუფებისთვის მომზადდა და გაიგზავნა დოკუმენტაცია სხვადასხვა ორგანიზაციაში აკრედიტაციის მისაღებად.

19. ევროპის მაუწყებელთა კავშირთან ერთად მიმდინარეობს საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალ სტრატეგიაზე მუშაობა.

20. პერმანენტულად ხორციელდება შეხვედრები საერთაშორისო ორგანიზაციებთან სხვადასხვა საკითხებზე, ასევე კოორდინაცია ეწევა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორის შეხვედრებს ამ ორგანიზაციების პირველ პირებთან.

წერილები და მოქალაქეებთან შეხვედრა

IV კვარტლის ანგარიში

1. სოციალურად დაუცველი მოქალაქეების აქცია. აქციის მონაწილეები (ყოფილი ნევროლოგიის ინსტიტუტში მცხოვრები ოჯახები, ერისთავის #8-ში მცხოვრები ოჯახები, კარდეოლოგიის ინსტიტუტში თავშეფარებული მოქლაქეები) მოითხოვდნენ სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განსაზღვრის ახალი მექანიზმის შემუშავებას.

2. იპოთეკით დაზარალებულების მრავალრიცხვოვანი აქცია, ისინი მოითხოვდნენ ჟურნალისტური გამოძიების ჩატარებას, რადგან თვლიდნენ, რომ მათი კერძო საკუთრება თაღლითური გზით წაართვეს.

აღნიშნულ თემებზე მომზადდა სიუჟეტები, რომლებიც გადაიცა მეორე არხის ეთერში და საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ მიერ.

პრესა

საზოგადოებრივ მაუწყებელში ყოველდღიურად შემოსული ჟურნალ-გაზეთების მონიტორინგი.
საზოგადოებრივ მაუწყებელში და სატელევიზიო მედიაში არსებული ვითარების ამსახველი პუბლიკაციების სისტემატიზაცია და შესაბამისი სამსახურებისთვის გაცნობა.

შესრულდა 2014 წლის, ოქტომბერ, ნოემბერ, დეკემბრის თვეებში, პრესასთან დაკავშირებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მაუწყებლის ონლაინ მუზეუმისთვის მომზადდა მასალები-ანტონ კელენჯერიძეზე, (საქართველოს კულტურის სამინისტროსთან არსებული რადიოკომიტეტის პირველი თავმჯდომარე-1947 წლიდან), ტელე და რადიო მაუწყებლობის განვითარების გზაზე, მის სახელთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანეს ეტაპებზე.

ღონისძიებები

- ტელევიზიის პირველი ტელევარსკვლავი;

  საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახურმა ორგანიზება გაუწიეს ტელევიზიის პირველი ტელევარსკვლავებისთვის სატელევიზიო

ანძასთან სახელობითი ვარსკვლავების გახსნას.ჟანეტა არჩვაძისთის, თენგიზ ნათაძისთვის და ნუგზარ ჯუღელისთვის ვარსკვლავები მთაწმინდის პარკში გაიხსნა.

- ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი

15 დეკემბერს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრმა 2015 წლის სამოქმედო გეგმა წარადგინა, ღონისძიების ფარგლებში, მაუწყებელმა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის თემაზე გვიდეო-რგოლები დაამზადა.

- BBC

  საზოგადოებასთან ურთიერთობის სამხსახურმა უზრუნველყო BBC World News-ისთვის 21 ოქტომბრის (ოჯახში ძალადობიის წინააღმდეგ) საპროტესტო აქციის ამსახველი, სპეციალური მასალის მომზადება.

- ქალი არ არის სამიზნე

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა განახორციელა სოციალური კამპანია „ქალი არ არის სამიზნე“. კამპანია მიმართული იყო ქალთა მიმართ განხორციელებულ ყველა სახის ძალადობის წინააღმდეგ და აღნიშნული თემა მაუწყებლის არხების ეთერში აქტიურად შუქდებოდა. წამყვანების მონაწილეობით მომზადდა ვიდეორგოლები, რომლებიც განთავსდა სატელევიზიო ეთერში, ასვე ონლაინ პლატფორმებზე, მათ შორის სოციალურ ქსელში.

- ახალი გადაცემების პრომოუშენი

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური აქტიურად იყო ჩართული პირველი არხის ახალი გადაცემების პრომოუშენის პროცესში. მედიისთვის მზადდებოდა და იგზავნებოდა პრესრელიზები და თავსდებოდა სხვადასხვა ვებ პოტრალზე, სოციალურ ქსელში, ასევე დაიგეგმა და განხორციელდა პრომო აქტივობების ბადე თითოეული ახალი გადაცემისთვის. ასევე მომზადდა გადაცემების პრომო-რგოლები და განთავსდა კინოთეატრ რუსთავლსა და ამირანში.

- Infoletters-ის გათამაშება

საზოგადოებრივი მაუწყებლის შიდა პორტალ Infoletters-ზე პერმანენტულად თამაშდებოდა წამახალისებელი პრიზები.

IV კვარტლის ანგარიში

- ტრანზიტით მომსახურების მიწოდება

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა კოორდინაცია გაუწია შპს „ნიუ ვიდეო“-სა და შპს „სი ჯი ელ“-ისთვის ვებ პორტალზე საზოგადოებრივი მაუწყებლის არხების ტრანზიტით მომსახურების მიწოდების უფლების გაცემას, ინტერნეტ სივრცეში გავრცელების პირობების შეცლამდე.

- საახალწლო გათამაშება

  საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახურმა, ორგანიზება გაუწიეს საზოგადოებრივი მაუწყებლის 30 დეკემბრის საახალწლო ღონისძიებას, გათამაშების გამართვას, ასევე თანამშრომლებისთვის სასაჩუქრე პაკეტების შექმნას და დარიგებას.

- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური კოორდინაციას უწევს არსებული გადაცემების შესახებ სხვადასხვა სამსახურების მიერ მოწოდებული ინფორმაციის გაერთიანება/სისტემატიზაციას.

- ექსკურსია საზოგადოებრივ მაუწყებელში

5 დეკემბერს საზოგადოებრივ მაუწყებელს ექსკურსიაზე 146 საჯარო სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ.

- დიოგენე

დეკემბრის თვეში კომპანია „დიოგენემ“ საზოგადოებრივ მაუწყებელს შესთავაზა კორპორატიული ფასდაკლების პაკეტი. ორგანიზება გაეწია შეკვეთის გაკეთებას, ადგილზე მოტანას და თანამშრომლებისთვის სასურველი წიგნების გადაცემას.

- წიგნების გამოფენა-გაყიდვა!

26 დეკემბერს ორგანიზება გაეწია ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის წიგნების გამოფენა-გაყიდვას, თანამშრომლებისთვის განსაზღვრული იყო სპეციალური ფასდაკლების სისტემა.

- უკრაინის საზოგადოებრივი მაუწყებელი

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა უზრუნველყო უკრაინის საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის პირველი არხის პროგრამის „ეთნოგრაფიული

ნარკვევები“ 12 სერიის გადაცემა, რაც მიზნად ისახავდა საზოგადოებრივ მაუწყებლებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას და ქართული კულტურის ქვეყნის ფარგლებს გარეთ პოპულარიზაციას.

- Myvideo

Myvideo-სთან გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც პორტალზე განთავსდა პირველი არხის გადაცემა „კომუნიკატორის“ ბრენდირებული გვერდი და ბანერები.

- სტრატეგის დოკუმნტზე მუშაობის პროცესში ჩართულ თანამშრომელთა ჯგუფის არჩევნების ჩატარება.

- ჟურნალი OK

დეკემბრის თვეში საზოგადოებრივ მაუწყებელსა და „ინტელიჯენტ მედიას“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რაც გულისხმობს 2015 წლის აგვისტოს ჩათვლით ჟურნალში OK პირველი არხის პრომო მასალების და წამყვან ჟურნალისტებთან ინტერვიუების განთავსებას.

მედიაპარტნიორობა

- დემოკრატიის და თანასწორობის ფორუმი

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მედია მხარდაჭერა გაუწია 19 დეკემბერს გამართულ „დემოკრატიის და თანასწორობის ფორუმს“, რომელიც ორგანიზებული იყო ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის მიერ. ღონისძიება გადაიცა მეორე არხის პირდაპირ ეთერში, პირველი არხის საინფორმაციო გადაცემაში „მოამბე“ მომზადდა ვრცელი რეპორტაჟი.

- CinéDOC-Tbilisi-ის საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალი

14 ოქტომბერს საზოგადოებრივი მაუწყებლის მედიაპარტნიორობით CinéDOC-Tbilisi-ის საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალი ჩატრადა.

IV კვარტლის ანგარიში

ფესტივალზე ნაჩვენები იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური სტუდიის მიერ მომზადებული ფილმი "ხელმწიფე".

- ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მედიაპარტნიორობა გაუწია 23 ნოემბერს ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის მიერ გამართულ კონფერენციას თემაზე „რეკლამა სამართლებრივ ჭრილში".
აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარმა იურისტმა ელენა მიხაილოვამ.
საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერით გაშუქდა აღნიშნული კონფერენცია.

- მაკნატუნა

საზოგადოებრივი მაუწყებლის მედიაპარტნიორობით 27-28 დეკემბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა პ. ჩაიკოვსკის ბალეტი „მაკნატუნა".

- „მარადიული ხიზანი"

საზოგადოებრივი მაუწყებელის მედია მხარდაჭერით და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პატრონაჟით, კინო რუსთაველში დავით გურამიშვილის ცხოვრებისადმი მიძღვნილი, მამა იოანე ჩიგოგიძის საავტორო ფილმი „მარადიული ხიზანი" ჩვენება გაიმართა.

- „ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძლის 16 დღიანი კამპანია"

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მედიაპარტნიორობა გაუწია USAID-ის „დემოკრატიული მმარველობა საქართველოში" პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ „ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძლის 16 დღიან კამპანიას".

- ელისო ვირსალაძის კონცერტი

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მედია მხარდაჭერა გაუწია ელისო ვირსალაძის კონცერტს, რომელიც 11 დეკემბერს ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის და კლასიკური მუსიკის განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრის მიერ

ერთობლივად გაიმართა. საზოგადოემრივმა მაუწყებელმა უზრუნველყო კონცერტის გადაღება, მასალა დაცულია არქივში.

- „კავკასიის სიძველეები მსოფლიო მუზეუმებში“

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საინფორმაციო მხარდაჭერა გაუწია 31 ოქტომბრიდან 3 ნოემბრის ჩათვლით, სქართველოს მეცნირებათა ეროვნული აკადემიის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ზურაბ წერეთლის ფონდის ერთობლივი ძალისხმევით ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას „კავკასიის სიძველეები მსოფლიო მუზეუმებში“.

- ფონდი „იავნანა“

საზგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო მხარდაჭერით, ფონდ „იავნანას“ მიერ 13 ოქტომბერს, თბილისის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ლეგენდარული მუსიკოსის კრის ბოტის საქველმოქმედო კონცერტი. საზოგადოემრივმა მაუწყებელმა უზრუნველყო კონცერტის გადაღება, მასალა დაცულია არქივში.

- ჟურნალი „ქართველოლოგია“

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მედიაპარტნიორობა გაუწია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და ჟურნალის „ქართველოლოგია“ მიერ მოწყობილ საერთაშორისო კონფერენციას „კრეტული გრაფიკული და ბაბილონური ასტრონომიულ-ქრონოლოგიური სისტემები ძველ ქართულ ანბანში და ძეგლებზე“. კონფერენცია გაშუქდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სახვადასხვა გადაცემის მიერ.

მივლინებები

ოქტომბერი

- სასტუმრო - 177 ნომერი
- ავიაბილეთი - 11
- მატარებელი - 2
- შენგენის ვიზის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის მომზადება - 7

ნოემბერი

- სასტუმრო - 174 ნომერი

IV კვარტლის ანგარიში

- ავიაბილეთი - 14
- მატარებელი - 3
- შენგენის ვიზის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის მომზადება - 16

დეკემბერი

- სასტუმრო - 100 ნომერი
- ავიაბილეთი - 6
- მატარებელი - 7
- შენგენის ვიზის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის მომზადება - 9

ჯამი:

სატუმრო - 451 ნომერი

ავიაბილეთი - 31

მატარებელი - 12

ვიზა - 32

3 თვის განმავლობაში მომზადდა 195 სამივლინებო განაცხადი, აქედან 451 სასტუმროს ნომრის, 31 ავიაბილეთის, 12 მატარებლის ბილეთის დაჯავშნა/შეძენა, საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლებისთვის და ევროვიზიის საერთაშორისო სიმღერის კონკურსზე საქართველოს დელეგაციის წევრების (32 ადამიანი)შენგენის ვიზის მისაღებად საკონსულოში ვიზიტის დაგეგმვა, საბუთების მოგროვება, ანკეტის შევსება , მივლინების დროს მათთვის სატელეფონო ლიმიტების განსაზღვრა. ფინანსური სამსახურისთვის მოვამზადე მოხსენებითი ბარათები და მიღება-ჩაბარების აქტები ტურისტული სააგენტოების მიერ გაწეულ მომსახურებაზე.

სარეკლამო სამსახური

ოქტომბერი 2014

• სარეკლამო სააგენტოებს და კომპანიებს გადაეგზავნათ მიმდინარე სასპონსორო და სარეკლამო შეთავაზებები;

• გავყიდეთ და მოვემსახურეთ ფეხბურთში 2016 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების, უეფას ჩემპიონთა ლიგის თამაშების და ვიქტორინის სასპონსორო და სარეკლამო მომსახურეობებს;

IV კვარტლის ანგარიში

- მოვიძიეთ წამახალისებელი პრიზები (მანქანა, საგზური, სპორტული ინვენტარი) უეფას ჩემპიონტა ლიგის ვიქტორინისთვის;
- მომსახურეობა გაეწია შემოსულ სოციალურ რეკლამებს და საინფორმაციო მხარდაჭერებს მაუწყებლის პირველ და მეორე არხებზე და რადიოს ორივე არხზე.

ნოემბერი 2014

- სარეკლამო სააგენტოებს და კომპანიებს გადაეგზავნათ განახლებული სასპონსორო და სარეკლამო შეთავაზებები;

- მოვიძიეთ პარტნიორები გადაცემებისთვის და რუბრიკებისთვის (``გუდვილი``, ``ფოკანი``, ``დიკა``, ``მიფასი`` , ``დეკა``);

- მომსახურეობა გაეწია შემოსულ სოციალურ რეკლამებს და საინფორმაციო მხარდაჭერებს მაუწყებლის პირველ და მეორე არხებზე და რადიოს ორივე არხზე.

დეკემბერი 2014

- სარეკლამო სააგენტოებს და კომპანიებს გადაეგზავნათ გადაცემების სასპონსორო და სარეკლამო შეთავაზებები;

- მოვიძიეთ პარტნიორები საახალწლო გადაცემების ჩაწერის, მთაწმინდაზე ``სატელევიზიო პირველი სახელოვანი წამყვანების ვარსკვლავების`` და არხის კორპორატიული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად.

- მომსახურეობა გაეწია შემოსულ სოციალურ რეკლამებს და საინფორმაციო მხარდაჭერებს მაუწყებლის პირველ და მეორე არხებზე და რადიოს ორივე არხზე.

ოქტომბერი		
დასახელება	**თანხა აშშ დოლარში**	**თანხა ლარში**
სასპონსორო ტელე განთავსება	14 300,00	9 608,33
სასპონსორო რადიო განთავსება	200,00	1 500,00
სარეკლამო ტელე განთავსება	1 152,00	00,00
სარეკლამო რადიო განთავსება	0,00	0,00

ნოემბერი		
დასახელება	**თანხა აშშ დოლარში**	**თანხა ლარში**
სასპონსორო ტელე განთავსება	21 770,00	10 875,00
სასპონსორო რადიო განთავსება	100,00	1 500,00

სარეკლამო ტელე განთავსება	4 373,00	00,00
სარეკლამო რადიო განთავსება	0,00	0,00

დეკემბერი		
დასახელება	**თანხა აშშ დოლარში**	**თანხა ლარში**
სასპონსორო ტელე განთავსება	11 883,33	18 708,45
სასპონსორო რადიო განთავსება	100,00	1 500,00
სარეკლამო ტელე განთავსება	00,00	00,00
სარეკლამო რადიო განთავსება	0,00	0,00

IV კვარტალში გაწეული ხარჯები

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ 2014 წლის IV კვარტალში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის აგარიშიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 7 264.3 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 433.9 ათასი ლარი, სულ 7 698.2 ათასი ლარი.

ხელფასები

2014 წლის IV კვარტალში შრომის ანაზღაურების მიზნით საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 4 202.5 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან 45.9 ათასი ლარი, სულ - 4 248.4 ათასი ლარი.

მივლინებები

2014 წლის IV კვარტალში მივლინებების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა საბიუჯეტო სახსრებიდან სულ შეადგინა 182.3 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 66.7 ათასი ლარი, სულ - 249 ათასი ლარი.

სამეურვეო საბჭოს ხარჯები

2014 წლის IV კვარტალში სამეურვეო საბჭოს ხარჯების დასაფინანსებლად სულ დახარჯული იქნა 122.8 ათასი ლარი.

<u>მონიტორინგის საბჭოს ხარჯები</u>

2014 წლის IV კვარტალში მონიტორინგის საბჭოს ხარჯების დასაფინანსებლად სულ დახარჯულ იქნა 42.0 ათასი ლარი.

<u>სხვა ადმინისტრაციული ხარჯები</u>

2014 წლის IV კვარტალში ადმინისტრაციული ხარჯების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა 575.8 ათასი ლარი შეადგინა. საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯული იქნა 544.7 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 31.1 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- ელ. ენერგია - 108.9 ათასი ლარი;
- წყალი - 22.0 ათასი ლარი;
- დასუფთავება - 26.3 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯები - 2.6 ათასი ლარი;
- საწვავი (ბენზინი,დიზელი) – 87.5 ათასი ლარი;
- ავტომობილების დაზღვევა - 2.8 ათასი ლარი;
- ჟურნალ-გაზეთების და წიგნების მიწოდება -4.1 ათასი ლარი;
- სატელეფონო ხარჯები (მობილური ტელეფონები) – 19.9 ათასი ლარი;
- სატელეფონო ხარჯები -10.0 ათასი ლარი;
- დაცვის ხარჯები - 95.6 ათასი ლარი;
- თანამშრომლთა დაზღვევის ხარჯი - 33.1 ათასი ლარი;
- ფართის ქირავნობა/სხვა იჯარა - 3.1 ათასი ლარი;
- სასამართლი/ბაჟი - 2.4 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები - 21.1 ათასი ლარი.

<u>მარკეტინგის ხარჯები</u>

2014 წლის IV კვარტალში მარკეტინგის ხარჯების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა 63.6 ათასი ლარი შეადგინა. საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯულ იქნა - 62.4 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 1.2 ათასი ლარი.

- სოციალური კვლევები - 62.4 ათასი ლარი;
- სხვა მარკეტინგის ხარჯები - 1.2 ათასი ლარი;

პროდიუსინგის ხარჯები

მაუწყებლის მიერ 2014 წლის IV კვარტალში სხვადასხვა სახის პროდიუსინგის ხარჯებზე საბიუჯეტო დაფინანსებიდან დახარჯული იქნა 269.5 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 125.3 ათასი ლარი. სულ მიიმართა - 394.8 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯების ძირითად ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- პირდაპირი ჩართვებისა და ინფორმაციის გადმოგორება (პერეგონები) – 131.1 ათასი ლარი;
- ქართული ფილმების შეძენა (ლიცენზიები) – 13.6 ათასი ლარი;
- უცხოური ფილმების შეძენა (ლიცენზიები) – 102.5 ათასი ლარი;
- დეკორაციები - 76.0 ათასი ლარი;
- სხვა დანარჩენი საპროდიუსინგო ხარჯები - 71.6 ათასი ლარი;

საინფორმაციო სამსახურის ხარჯები

მაუწყებლის მიერ 2014 წლის IV კვარტალში საინფორმაციო სამსახურის დასაფინანსებლად საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯული იქნა - 131.0 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 1.7 ათასი ლარი. სულ მიიმართა - 132.7 ათასი ლარი.

მათ შორის აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- სატელიტური ჩართვებისა და საინფორმაციო მასალების გადმოგორების ხარჯები-101.3 ათასი ლარი;
- ინფორმაციის შეძენის ხარჯები - 31.2 ათასი ლარი;
- სხვა დანარჩენი საინფორმაციო ხარჯები - 0.2 ათასი ლარი.

IV კვარტლის ანგარიში

ტექნიკის ხარჯები

მაუწყებლის მიერ 2014 წლის IV კვარტალში საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეული საკასო ხარჯების ოდენობამ შეადგინა - 968.6 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 36.3 ათასი ლარი. სულ მიიმართა - 1 004.9 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- ტელერადიოცენტრი (სიგნალის გავრცელება) – 360.0 ათასი ლარი;
- სატელიტით მომსახურება - 142.4 ათასი ლარი;
- ვებ მაუწყებლობა და სტრიმინგი - 52.0 ათასი ლარი;
- ლიფტის შეძენა/მონტაჟი - 42.9 ათასი ლარი;
- ტექნიკის ქირავნობა - 160.3 ათასი ლარი;
- ვიდეო აუდიო ტექნიკის სათადარიგო ნაწილები - 60.5
- დაცვის სისტემის შეძენა/მონტაჟი - 104.3
- სხვა ტექნიკური ხარჯები - 82.5 ათასი ლარი.
-

სხვა გადასახდელები

2014 წლის IV კვარტალში მაუწყებლის საბიუჯეტო სახსრებიდან აღნიშნულ ხარჯებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა - 738.4 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 125.8 ათასი ლარი. სულ დახარჯულ იქნა 864.2 ათასი ლარი.

მათ შორის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- სახელმწიფო სესხი – 303.3 ათასი ლარი;
- ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) საწევრო გადასახადი - 16.2 ათასი ლარი;
- მომსახურებაზე გადახდილი დღგ / უკუდაბეგვრის დღგ - 251.9 ათასი ლარი;
- ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) დავალიანების დაფარვა - 219.4 ათასი ლარი;
- სხვა კრედიტორული დავალიანებები - 73.4 ათასი ლარი.

IV კვარტლის ანგარიში

ინფორმაცია სსიპ „საზ ოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ სახელმწიფო ასიგნებების ფარგლებში 2014 წელს გაწეული საკასო ხარჯების შესახებ
(თანხები მოცემულია ლარებში)

#	დასახელება	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	ჯამი
1	**შრომის ანაზღაურება**	**1,371,869**	**1,392,218**	**1,438,476**	**4,202,562**
1	**პრემია**				**-**
1	**სოციალური უზრუნველყოფა**				**-**
1	**მივლინებები**	**72,288**	**66,732**	**43,240**	**182,260**
1	**სამეურვეო საბჭო**	**42,298**	**42,129**	**38,357**	**122,784**
1.1	ჰონორარები	19,400	19,350	18,750	**57,500**
1.2	სხვა ხარჯები	22,898	22,779	19,607	**65,284**
	მონიტორინგის საბჭო	**14,000**	**14,000**	**14,000**	**42,000**
1.1	ჰონორარები	14,000	14,000	14,000	**42,000**
1	**რეზერვი (რეფორმების, საკონ. დატექ. გადაიარაღებისთის)**	-			**-**
1	**ადმინისტრაციული**	**137,537**	**127,300**	**279,878**	**544,715**
1	**კომუნალური ხარჯები**	**28,888**	**31,203**	**77,895**	**137,986**
1.1	წყალი	5,425	5,817	10,789	**22,031**
1.2	დენი	22,563	22,334	64,039	**108,936**
1.3	გაზი		227	1,267	**1,494**
1.4	სხვა (დასუფთავება/სანიტარული)	900	2,825	1,800	**5,525**
2	**შენობის დასუფთავება**	**6,583**	**6,583**	**13,167**	**26,333**
2.1	შპს გლობალქლინინგ კომპანი	6,583	6,583	13,167	**26,333**
2.2	შპს "სუფთა სამყარო'				**-**
3	**წარმომადგენლობითი ხარჯები**				**-**
4	**ფულრალ-გაზეთების და წიგნების მიწოდება**	**1,104**	**1,069**	**2,389**	**4,561**
4.1	შპს "ინფოსერვისი'	120	120	240	**480**
4.2	შპს "ელვა.ჯი'	984	949	2,149	**4,081**
5	**ტრანსპორტი**	**39,395**	**38,815**	**40,415**	**118,626**
5	ტრანსპორტის შეკეთება (მომსახურება)	8,299	4,533	15,820	**28,653**
5.1.1	შპს „დისქოვერ ავტო სერვისი" 37/3	70		2,351	**2,422**
5.1.2	შპს „დისქოვერ ავტო სერვისი" 37/2	6,009	4,188	13,469	**23,666**
5.1.3	შპს „ბიზნეს ჯგუფი 2010"				**-**
5.1.4	შპს „ჰიუნდაი ავტო საქართველო"	200	345		**545**
5.1.5	შპს "თეგეტა მოტორსი" ხელშ.				**-**
5.1.6	შპს "R მოტორსი"	2,020			**2,020**
5.2	ავტომობილების სათადარიგო ნაწილები				**-**
5.3	ავტოტრანსპორტის დაზღვევა	-	140	2,367	**2,507**
5.3.1	შპს სადაზღვევო კომპანია უნისონი, irao		140	2,367	**2,507**
5.4	საწვავ-საპოხი მასალები	31,096	34,142	22,228	**87,466**
5.4.1	დიზელი	2,608	3,084	2,812	**8,503**
5.4.2	ბენზინი (პრემიუმი, რეგულარი)	28,488	31,058	19,416	**78,963**
5.4.3	ზეთი				**-**
5.5	"სიტი პარკი"				**-**
5.6	ავტოპარკის განახლება				**-**
6	**კავშირგაბმულობა**	**15,477**	**15,043**	**25,205**	**55,726**
6.1	მობილურების ხარჯი	7,115	6,376	6,389	**19,880**
6.1.1	მაგთიკომი	7,115	6,376	6,389	**19,880**
6.2	სატელეფონო საუბრები	2,228	2,531	5,248	**10,007**
6.2.1	სს "სილქნეტი" საქალაქთაშორისო	2,228	2,531	5,248	**10,007**
6.3	ინტერნეტი	5,629	5,629	12,887	**24,145**
6.3.1	სს "სილქნეტი" (ინტერნეტ.მომს.)	5,380	5,380	12,394	**23,154**
6.3.3	შპს "კავკასუს ონლაინი'	249	249	494	**992**
6.4	კავშირგაბმულობა (სხვადასხვა)	506	508	681	**1,694**
6.4.2	112- ის მომსახურება	506	508	681	**1,694**
7	**შენობა-ნაგებობების დაცვა**	**23,900**	**23,900**	**47,800**	**95,600**
7.1	თბილისი	23,900	23,900	47,800	**95,600**
8	**საფოსტო მომსახურება**	**296**	**353**	**220**	**868**
8.1	შპს "საქართველოს ფოსტა'	296	353	220	**868**
9	**საკანცელარიო საქონელი**				**-**
10	**მცირეფასიანი საოფისე ტექნიკა**	**1,057**	**1,085**	**9,847**	**11,989**
10.1	კომპიუტერული ტექნიკა			7,498	**7,498**
10.2	კარტრიჯები	1,057	1,085	2,349	**4,491**
10.3	ფოტო-ვიდეო აპარატურა				**-**
11	**ოფისის სხვა ხარჯები** (ულუზ -საავარძ & ლონისძიებ)			**8,094**	**8,094**
12	**იჯარა**	-	-	-	**-**
12.1	სახელმწიფო აუდიტის სამსახური				**-**
12.2	სხვა იჯარა (ჰორიზონტ ტივი -სტუდია)				**-**
13	**უძრავი ქონების დაზღვევა**	-	-	-	**-**
13.1	პროვაიდერი				**-**
14	**სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები**				**-**
15	**აუდიტორული მომსახურება**	**12,390**		**37,170**	**49,560**
16	**საარქივო მომსახურება**	-	**581**	-	**581**
16.1	ინდ მეწარმე "ტატიანა ყელაურიძე"		581		**581**
17	**სანოტარო და სათარჯიმნო მომსახურება**	-	-	-	**-**
17.1	სანოტარო მომსახურება				**-**
17.2	სათარჯიმნო მომსახურება				**-**
18	**სასამართლო ბაჟი**				**-**
19	**სხვა ხარჯები (ადგილობრივი**	**225**	**500**	**1,000**	**1,725**

IV კვარტლის ანგარიში

	მარკეტინგი და გაყიდვები	**6,833**	**6,833**	**48,762**	**62,428**
1	**PR**	-	-	-	-
1.1	ბრენდირება, თვითრეკლამირება				-
1.2	სასაჩუქრე პაკეტები, სარეკლამო სტიკერები, ეტიკეტები				-
2	**სოციალური კვლევები**	**6,833**	**6,833**	**48,762**	**62,428**
2.1	თვისობრივი კვლევა (ფოფლმეტრი) "TV MR საქართველო)	6,833	6,833	13,667	**27,333**
2.2	სატელეფონო კვლევა				-
2.3	რაოდენობრივი კვლევა - ბაზრის სეგმენტაცია			35,095	**35,095**
3	**ღონისძიებები მიზნობრივ ჯგუფებზე**				-
	საინფორმაციო	**53,949**	**49,417**	**27,608**	**130,974**
1	**სიგნალის გადმოგორება**	**30,102**	**47,471**	**23,716**	**101,290**
1.1	სიგნალის გადმოგორება (EBU)	28,369	41,787	23,716	**93,872**
1.2	სიგნალის გადმოგორება (სხვა ორგანიზაციები)	1,734	5,684		**7,417**
2	**ინფორმაციის მოწოდება**	**23,847**	**1,946**	**3,892**	**29,684**
2.10	შპს "ჯეოჰოტნიუსი'	590	590	1,180	**2,360**
2.20	შპს "ახალი ამბები" (ინტერპრესნიუსი)	520	520	1,040	**2,080**
2.30	შპს "მედიანიუსი"	180	180	360	**720**
2.4	შპს ახალი ამბების სააგენტო "კავკასპრესი"	206	206	412	**823**
2.6	შპს "პირველი'	450	450	900	**1,800**
2.7	'REUTERS TELEVISION LTD'	21,901			**21,901**
3	**სინქრონული თარგმნა**				-
	პროდიუსინგი	**43,330**	**92,390**	**133,770**	**269,491**
1	**სიგნალის გადმოგორება**	**21,495**	**66,437**	**25,726**	**113,658**
1.1	სიგნალის გადმოგორება (საღდგომო)				-
1.2	სიგნალის გადმოგორება (სპორტი)	21,495	66,437	25,726	**113,658**
1.2.1	ჩემპიონთა ლიგა	17,318	37,157	6,567	**61,042**
1.2.2	ჩემპიონთა ლიგის დღიური		3,655		**3,655**
1.2.3	2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატი				-
1.2.4	2014 წლის ოლიმპიადა				-
1.2.5	სხვა სპორტი	4,177	25,625	19,159	**48,960**
2	**ლიცენზიები**	-	-	-	-
2.1	ჩემპიონთა ლიგა				-
2.2	2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატი				-
2.3	2014 წლის ოლიმპიადა (Sportfive)				-
2.4	ევრო 2018 საკვალიფიკაციო მატჩები				-
2.5	უეფას შესარჩევი თამაშები				-
2.6	სოჭის ოლიმპიადა OBS				-
2.7	2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატი				-
3	**ქართული ფილმები**	**1,046**	-	-	**1,046**
3.1	ქართული ფილმების შეძენა	1,046			**1,046**
3.2	კინოპროექტი				-
4	**მიმდინარე გადაცემები**	-	-	**6,979**	**6,979**
4.1	ქართული ტელესერიალი				-
4.2	გადაცემა თანამედროვე ხელოვნებაზე				-
4.3	საბავშვო ტელეთამაში				-
4.4	გაგრძელე საქართველოს ისტორია			6,979	**6,979**
4.5	ქართული მოტივი				-
4.6	კინო პროექტი				-
5	**ვიზუალური მომსახურება**	-	-	-	-
5.1	საპარიკმახერო				-
5.2	კოსმეტიკა				-
5.3	კოსტიუმები / რეკვიზიტები				-
5.4	სარეცხი საშუალებები				-
6	**ეთერის ყიდვა (რეგიონალური მაუწყებლები)**	**2,800**	**2,800**	**5,600**	**11,200**
6.1	ბოლნისი	600	600	1,200	**2,400**
6.2	ახალქალაქი	600	600	1,200	**2,400**
6.3	ნინოწმინდა	600	600	1,200	**2,400**
6.4	ზუგდიდი	1,000	1,000	2,000	**4,000**
7	**უცხოური ფილმები**	-	**9,753**	**47,748**	**57,501**
7.1	სერიალი			47,748	**47,748**
7.2	დოკ. ფილმები		9,753		**9,753**
7.3	ანიმაცია				-
7.4	კინოები				-
8	**ევროვიზია**				-
9	**კონცერტები ვენაში**	**6,305**			**6,305**
10	**ახალი სეზონისა და ახალი წლის ხარჯი**	**2,500**			**2,500**
11	**დეკორაციები**	**9,184**	**13,400**	**47,718**	**70,302**

IV კვარტლის ანგარიში

	ტექნიკური	**253,290**	**314,006**	**401,308**	**968,603**
1	**ვებმაუწყებლობა და სტრიმინგი**	**13,000**	**13,000**	**26,000**	**52,000**
1.1	TULIX SISTEMS,inc	13,000	13,000	26,000	**52,000**
2	**კასეტებისა და ელემენტების შეძენა**				**-**
3	**ტელერადიოცენტრი (სიგნალის გავრცელება)**	**90,000**	**90,000**	**180,000**	**360,000**
4	**სატელიტის მომსახურება**	**34,414**	**37,171**	**70,814**	**142,399**
4.1	TURKSAT (ხელშეკრულება)	31,621	31,895	66,559	**130,075**
4.2	TURKSAT (სატელიტური სეგმენტით მომსახურება)	2,794	5,276	4,254	**12,324**
5	**სატელიფონო კანალიზაციის ჭებში კაბელების გატარების იჯარ**	**-**			**-**
6	**სტუდიების სპეც. განათება**				**-**
6.1	განათება (სტუდიური)				**-**
6.2	გარე განთება				**-**
6.3	საკონცერტო განათების შესყიდვა				**-**
7	**ნათურები, ფილტრები**				**-**
8	**სერვერრუმის მოწყობა**				**-**
8.1	სამშენებლო სამუშაოები				**-**
8.2	პრეციზიული გაგრილების ბლოკი				**-**
9	**ელექტრომასალები**				**-**
10	**ცენტრალური სააპარატოს შეცვლა**				**-**
11	**ქუთაისისისა და პიკის ტექნიკის ინსტალაციის თანხა**	**-**			**-**
12	**ვიდეომიქმერები და პლაზმა**				**-**
13	**მობილური ჩართვის აპარატის შესყიდვა**				**-**
14	**საოფისე ტექნიკა**	**20,282**	**-**	**669**	**20,951**
14.1	კომპიუტერული სათადარიგო ნაწილების შეძენა	-			**-**
14.2	კომპიტერული აქსესუარები, პრინტერი	20,282		669	**20,951**
15	**კონდენციონერების შეკეთება/შეძენა**			**6,474**	**6,474**
16	**ნიუსრუმი**	-	-	-	**-**
16.1	კომპიუტერული ტექნიკის შეძენა (ნიუსრუმი)	-			**-**
16.2	კომპიუტერული ტექნიკის გაუმჯობესება/მოდერნიზაცია (ნიუსის სის	-			**-**
16.3	ნიუსრუმის სისტემა და სერვერები	-			**-**
17	**რადიოს ტექნიკის შეძენა-მოდერნიზაცია**	**-**			**-**
18	**სარელეო ხაზებით მომსახურება (სინქნეტი)**	**-**			**-**
19	**ლიცენზირებული ანტივირუსული პროგრამის ლიცენზია**	**-**	**3,881**	**4,053**	**7,934**
20	**საკომუნიკაციო არხების ქირავნობა (სილქნეტი)**	**-**	**4,901**	**1,634**	**6,535**
20.1	თბილისი		4,901	1,634	**6,535**
21	**სტუდიური აუდიო მოწყობილობები, მიკროფონები და აქსესუარები**				**-**
22	**ვიდეო აუდიო ტექნიკის სათადარიგო ნაწილები**	**51,340**	**4,392**	**4,757**	**60,489**
23	**ოპერატორის კრანის შეძენა**				**-**
24	**კამერის ვაიერლეს სისტემის შეძენა**				**-**
25	**საკაბელო არხების შეძენა**				**-**
26	**გახმოვანების შიდა წარმოების მოწყობა**				**-**
27	**საინჟინრო განყოფილება**				**-**
28	**ლიფტის შეძენა/მონტაჟი**	**42,945**			**42,945**
29	**დაცვის სისტემების შეძენა მონტაჟი**			**104,291**	**104,291**
30	**GPRS**	**1,308**	**1,308**	**2,617**	**5,233**
31	**PTS -ს იჯარა**		**159,351**		**159,351**
	სხვა გადასახდელები	**371,760**	**116,447**	**250,232**	**738,439**
1	**სახელმწიფო სესხი**	**303,250**	**-**	**-**	**303,250**
1.1	ძირი	278,211			**278,211**
1.2	საურავი	25,039			**25,039**
2	**ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) 2014 წლის საწევროს ხარ**	**-**	**16,196**	**-**	**16,196**
2.1	EBU				**-**
2.2	ევროვიზია				**-**
2.3	საბავშვო ევროვიზია		16,196		**16,196**
3	**უკუდაბეგვრის დღგ**	**53,510**	**48,836**	**1,245**	**103,591**
4	**დღგ**	**15,000**	**21,000**	**14,000**	**50,000**
5	**ქონების გადასახადი**				**-**
6	**მიწის გადასახადი**		**16,691**		**16,691**
7	**მოგების გადასახადი**			**15,545**	**15,545**
8	**ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) ვალი**			**219,442**	**219,442**
9	**საგადასახადო დავალიანება**				**-**
9.1	ძირი				**-**
10	**კრედიტორული დავალიანებები**				**-**
10.1	კრედიტორული დავალიანებები				**-**
11	**საავტორო უფლებები**		**13,724**		**13,724**
12	**ბანკის სესხი**				**-**
13	**დოკუმენტური ფილმების 2013 წლის ვალი**				**-**
14	**სხვა მიმდინარე დავალიანება**				**-**
15	**26 მაისის ფონისძიება (სარეზერვო ფონდიდან)**				**-**
	საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის 2014 წლის ბიუჯ	**2,367,154**	**2,221,473**	**2,675,630**	**7,264,257**

შენიშვნა

2014 წელს მოხდა გასული პერიოდის შემდეგი დავალიანებების დაფარვა:

ინფორმაცია სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების შესახებ

საანგარიშო პერიოდი: 2014 წლის IV კვ.

ვალუტა: ლარი

შემოსავლები	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	IV კვ. 2014
სარეკლამო შემოსავლები	84,795	22,370	63,026	**170,191**
იჯარიდან შემოსავალი	54,539	44,619	85,791	**184,949**
ტექნიკის გაქირავება	3,716	800	40,606	**45,121**
სხვადასხვა შემოსავალი	37,370	20,538	39,127	**97,035**
ჯამი:	**180,420**	**88,326**	**228,549**	**497,295**
ხარჯები				
ადმინისტრაციული	**71,073**	**40,847**	**31,706**	**143,626**
შრომის ანაზღაურება	-	-	10,516	**10,516**
პრემია	-	-	-	**-**
სოც. უზრუნველყოფა	20,651	10,206	4,541	**35,397**
მივლინებები	36,179	24,280	6,153	**66,612**
სამეორეო საბჭო	-	-	-	**-**
სხვა ადმინ ხარჯები	14,243	6,361	10,497	**31,101**
მარკეტინგი და გაყიდვები	**-**	**123**	**1,031**	**1,154**
საინფორმაციო	**250**	**-**	**1,477**	**1,727**
პროდიუსინგი	**20,573**	**33,872**	**70,821**	**125,267**
ტექნიკური	**12,729**	**4,495**	**19,097**	**36,321**
სხვა გადასახდელები	**2,123**	**15,571**	**108,065**	**125,759**
ჯამი:	**106,748**	**94,908**	**232,198**	**433,854**

ნაშთი პერიოდის დასაწყისში:	2,761,887	2,835,558	2,828,977
თვლადი სახსრების ცვლილება:	**73,671**	**(6,581)**	**(3,648)**
ნაშთი პერიოდის ბოლოს:	2,835,558	2,828,977	2,825,329

არქივის სამსახური

ვიდეოფონდის მონაცემთა ერთიან ბაზაში აღრიცხული და

სისტემატიზირებულია (გაშიფრული, შინაარსობრივად დამუშავებული, კინო

და ძველი ვიდეომატარებლებიდან ციფრულ DVCAM-DVD მატარებლებზე

გადატანილი, ძველი და მიმდინარე (ახალი), სატელევიზიო პროგრამები და

ფილმები) ***სულ: 570 ჩანაწერი - 564 სთ-ზე მეტი.***

- დაარქივდა (DVD, DVCAM მატარებლებზე) ძველი და მიმდინარე გადაცემები და სხვადასხვა ტიპის ვიდეო მასალები; შიდა გამოყენებისთვის, გარე ორგანიზაციებისა თუ, მოქალაქეებისთვის *ვიდეოფონდის სამონტაჟოებზე ჩაიწერა – **308 სთ-ზე მეტი** ქრონომეტრაჟის ვიდეო მასალები.*
- იშიფრება ტელეკომპანია "PIK"-დან შემოსული სერვერი - საერთო მოცულობით **41.62 TB** აუდიო-ვიდეო მასალები (გადაცემები, სიუჟეტები, შავი მასალები, ქუდები და სხვ.); *დამუშავებულია დაახლოებით **400 GB.***
- შეიქმნა „დიდი ვიდეოფირების" ელექტრონული სია (Excel-კატალოგი).
- შემოწმდა(განიავდა) ე.წ. დიდი ვიდეოს Q-ფორმატის ***61 რულონი*** - *დაახლოებით **61 სთ.***
  პარალელურად მიმდინარეობს საინფორმაციო ბაზის სრულყოფა (უზუსტობების აღმოფხვრა; თარიღების დადგენა, დაზუსტება;

  დამატებითი დეტალების შეტანა; კორექტურის გასწორება და სხვ.).

კინო-ფოტო ფონდი-16 მმ. კინოფირებიდან, ციფრულ (DVCAM მატარებელზე გადატანილია **44** ერთეული(**112** ნაწილი), **16:30** სთ. მასალა; აქედან:

უნიკალური მონიტორული გადაღება 11 დასახელების, 31 ნაწილი- 5 სთ.

უხმო მასალები 101 ნაწილი, 11:30 სთ.
*გამოვლენილია (უსახელო და უნომრო), აღწერილი, დანომრილი და ციფრულ მატარებელზე გადატანილია: **12** დასახელების **48** ნაწილი, **8** საათი- მხატვრული და საფონდო მასალები.*
გრძელდება ყოფ. ტელეფილმების შენობაში გამოვლენილი) 70- 80-იანი

წლების საქართველოს ტელევიზიისგადაცემებისათვის დამზადებული
უნიკალური ფოტო-სლაიდების, ფოტონეგატივების და ფოტოების დამუშავება;
*აღიწერა, დამუშავდა, ჩალაგდა: 7 თემატურ, ახალ 17 საქაღალდეში -**819 ფოტო.***
*აღიწერა და დამუშავდა **4** რედაქციის ფოტოსლაიდების **9** უჯრა,*
*ფოტო ნეგატივების **4** უჯრა.*
აუდიოფონდში: ოქტომბერში და ნოემბრის დასაწყისში მიმდინარეობდა სტუდიების

განახლება.

მეოთხე კვარტალში გაციფრულია, გადაწერილია,გაშიფრული და ანოტირებულია,

***227 სთ12წთ-136GB** - უნიკალური მასალა.*

ასევე მიმდინარეობდა რადიო არხების უზრუნველყოფა ყოველდღიური საეთერო

მასალით, დაკვეთების მიხედვით.

იურიდიული სამსახური

1. ხელშეკრულებების შესახებ

2014 წლის მე-4 კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 312 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო/სასპონსორო და სხვ.).

2. სასამართლოში და სააღსრულებო ბიუროში (ანგარიშის მომზადების დროისათვის) არსებული საქმეების შესახებ

2.1.
2014 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა:

IV კვარტლის ანგარიში

№	მოსარჩელე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1.	**ფ/პ ნატალი სისვაძე**	1. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გადაცემაზე "პილოტი" ნ. სისვაძის საავტორო უფლებების აღიარება; 2. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის" გადაცემის "პილოტი" გამოყენების აკრძალვა ნ. სისვაძის თანხმობის გარეშე და 3. ნ. სისვაძის სასარგებლოდ 260 000 ლარის ანაზღაურება საავტორო უფლებების ხელყოფისათვის	**_ თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა** _ ნ. სისვაძის საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად **საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს** **_ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ნ. სისვაძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:** ა) აღიარებული იქნა ნ. სისვაძის საავტორო უფლება სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გადაცემაზე "პილოტი"; ბ) სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" აეკრძალა ნ. სისვაძის თანხმობის გარეშე გადაცემის "პილოტი" გამოყენება და გ) ნ. სისვაძის სასარგებლოდ სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" დაეკისრა 15 000 ლარის გადახდა _ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" და ნ. სისვაძის მიერ გასაჩივრებულია საკასაციო წესით _ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 28.05.2013წ. განჩინებებით საკასაციო საჩივრები მიღებულია წარმოებაში. **_ საქართველოს უზენაეს სასამართლოს დღემდე არ გადაუწყვეტია საკითხი საკასაციო საჩივრების დასაშვებობის შესახებ**
2.	**ფ/პ ფიქრია მიქაბერიძე**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების გაუქმება, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება (ყოველთვიურად 700 ლარის ოდენობით 2010 წლის 30 დეკემბრიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე) და სამუშაოზე აღდგენა	**_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად, ასევე, მაუწყებელს დაეკისრა სახ. ბაუის სახით 100 ლარის გადახდა მოსარჩელის, ხოლო, 609 ლარის გადახდა - სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.** _ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო წესით **_ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 10.04.2014წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი** _ სააპელაციო სასამართლოს განჩინება სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გასაჩივრდა საკასაციო წესით. **_ ამჟამად, საქმე იმყოფება საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაში, რომელიც განიხილავს საკითხს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შესახებ**
3.	**შპს "ახალი მზერა"**	ნაკისრი ვალდებულების შეუსრულების გამო, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის" 4 320 ლარის დაკისრება	**_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა** _ მოსამართლის თანაშემწესთან სატელეფონო საუბრის შედეგად ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ შპს "ახალმა მზერამ" გადაწყვეტილება გაასაჩივრა აპელაციის წესით, თუმცა, დღეის მდგომარეობით სააპელაციო საჩივარი სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" არ ჩაბარებია და შესაბამისად, არანაირი წერილობითი ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოდან არ მიგვიღია
4.	**ფ/პ გიორგი იასაშვილი**	სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" 15.09.2004წ. ბრძანების არარა აქტად აღიარება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
5.	**ფ/პ გიორგი იასაშვილი**	სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" 15.09.2004წ. ბრძანების არარა აქტად აღიარება	_ ახალი სარჩელი იგივე მოთხოვნებით და საფუძვლებით, როგორც ზემოთ აღნიშნული სარჩელი, თავდაპირველად წარმოებაში მიღებული იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ; _ სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მიღებული იქნა განჩინება, რომლის თანახმად, საქმე განსჯადობით გადაეცა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განსახილველად.
6.	**ფ/პ მამუკა გერმანიშვილი**	სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
7.	**ფ/პ გიორგი ბაქრაძე**	სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში

2.2

IV კვარტლის ანგარიში

2014 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით არსებული საქმეების ნუსხა:

№	მოპასუხე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1.	**შპს "ტელეკომპანია პიკ"**	1. ა) მატერიალური ზიანის სახით 137 237,35 ლარის დაკისრება; ბ) სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის საიჯარო დავალიანების და პირგასამტეხლოს ანაზღაურება 2. შპს "ტელეკომპანია პიკ"-მა სასამართლოში აღძრა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის" 63 470,55 ლარის დაკისრება	**_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 30.04.2014წ. გადაწყვეტილებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ხოლო, შპს "ტელეკომპანია პიკ"-ის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად:** • გაიქვითა სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" და შპს "ტელეკომპანია პიკ"-ს შორის არსებული მოთხოვნები და ამ უკანასკნელს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 73 766,80 ლარის ოდენობით • შპს "ტელეკომპანია პიკ"-ს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სასარგებლოდ დაეკისრა 1 448,92 ლარის და 92 032,24 ლარის გადახდა • შპს "ტელეკომპანია პიკ"-ს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სასარგებლოდ დაეკისრა 1 310 ლარის გადახდა სახ. ბაჟის ნაწილის ასანაზღაურებლად • სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" შპს "ტელეკომპანია პიკ"-ის სასარგებლოდ დაეკისრა 1 905 ლარის გადახდა სახ. ბაჟის ნაწილის ასანაზღაურებლად _ შპს "ტელეკომპანია პიკ"-მა სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით. **_ ამ ეტაპზე საქმეს განიხილავს თბილისის სააპელაციო სასამართლო.**
2.	**შპს "ნონეიმ სტუდიო"**	საიჯარო ქირის დავალიანების სახით 37 356 ლარის და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს ანაზღაურება	**_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული**
3.	**შპს "ტელე-რადიო კომპანია ტვ-7"**	საიჯარო ქირის დავალიანების სახით 14 446,86 ლარის და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს ანაზღაურება	**_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული**
4.	**შპს "აი ბი გრუპ"**	საიჯარო ქირის დავალიანების და ზიანის ანაზღაურების სახით 7 925,46 ლარის და 3 186,90 ლარის დაკისრება	**_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული**
5.	**შპს "ნ და გ კომპანი"**	საიჯარო ქირის დავალიანების სახით 10 144,75 ლარის და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს ანაზღაურება	**_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული**
6.	**შპს "S.T. იმპორტი"**	სასპონსორო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ფულადი დავალიანების სახით 4 500 აშშ დოლარის (ექვივალენტი ლარში) გადახდა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს ანაზღაურება	**_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული**
7.	**შპს "E&S Dent"**	სასპონსორო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ფულადი დავალიანების სახით 4 600 ლარის და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს ანაზღაურება	**_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ძირითადი დავალიანების ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად, ხოლო, პირგასამტეხლოს ნაწილში, სასამართლომ შეამცირა მისი ოდენობა და მოპასუხეს დაეკისრა პირგასამტეხლო 1 000 ლარის ოდენობით.** **_ მოპასუხემ სრულად აანაზღაურა სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხები, რის**

			გამოც, სსიპ "საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" უარი განაცხადა დავის გაგრძელებაზე.
8.	**შპს "აიბი-ევროკავკასიური უნივერსიტეტი"**	სასპონსორო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ფულადი დავალიანების სახით 3 000 აშშ დოლარის (ექვივალენტი ლარში) გადახდა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს ანაზღაურება	**_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ძირითადი დავალიანების ნაწილში დაკმაყოფილდა სრულად, ხოლო, პირგასამტეხლოს ნაწილში, სასამართლომ შეამცირა მისი ოდენობა.** **_ სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება საზოგადოებრივ მაუწყებელს არ ჩაბარებია, რის გამოც, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ სასამართლოში კანონით დადგენილ ვადებში შეტანილი იქნა ე.წ. ფორმალური სააპელაციო საჩივარი.** **_ შესაბამისად, დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი შეტანილი იქნება მას შემდეგ, რაც სასამართლო საზოგადოებრივ მაუწყებელს ჩააბარებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას**
9.	**შპს "მილ პოინტი"**	საიჯარო ქირის დავალიანების სახით 8 637,66 ლარის და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს ანაზღაურება	**_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული**
10.	**ა(ა)იპ "ინტეგრაცია - გზა ნატოსა და ევროკავშირისკენ"**	ფულადი დავალიანების სახით 7 737,86 ევროს ანაზღაურება	**_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად და გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული**
11.	**ი/მ თამარ კოპალიანი**	საიჯარო ქირის დავალიანების სახით 4 997,40 ლარის და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს ანაზღაურება	**_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ ძირითადი დავალიანების ნაწილში მიღებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილება და სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად.** **_ პირგასამტეხლოს ნაწილში სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, მოპასუხეს 2014 წლის 28 ივლისის ჩათვლით დაეკისრა 5 000 ლარის გადახდა, ხოლო, 28 ივლისიდან სასამართლო გადაწყვ. აღსრ. პერიოდისთვის ყოველ. გადაც. დღეზე _ 4 997,40 ლარის 0,1%. (სასამართლომ შეამცირა პირგასამტეხლო)** **_ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მეირ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, აღარ გააგრძელოს დავა.** **_ შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ი/მ თამარ კოპალიანის მიმართ დაიწყება იძულებითი აღსრულება**
12.	**შპს "მედია ჯგუფი"**	საიჯარო ქირის დავალიანების სახით 5 466 ლარის და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს ანაზღაურება	**_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც ამ ეტაპზე არ არის შესული კანონიერ ძალაში**
13.		**უდავო წარმოების წესით ქონების, კერძოდ, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მდებარე სატრანსპორტო საშუალების უპატრონოდ ცნობის შესახებ**	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
14.	**შპს "დუტა პროდაქშენ"**	საიჯარო ქირის სახით ძირითადი დავალიანების 13 047,12 ლარის და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება, ასევე, მატერიალური ზიანის სახით 2 146,09 დაკისრება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი მიღებული იქნა წარმოებაში.

2.3. თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია:

- სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სააღსრულებო ფურცლები მოვალეების: **შპს "კიკალა სტუდიო ტვ"-ს, შპს "ნიუ-რაციოს", შპს "ეი-სი ჯგუფი"-ს, "სატელიტური დაცვის სისტემების უზრუნველყოფის ფონდი"-ს, შპს "ფენიქსის", შპს "კინოსტუდია სანგუკო"-ს, შპს "რაქი"-ს, შპს "ლაივ პრომო"-ს,**

შპს "ტელე-რადიოკომპანია ტვ-7"-ის, შპს "ნონეიმ სტუდიო"-ს, შპს "მილ პოინტი"-ს, შპს "ნ და გ კომპანის" და შპს "S.T. იმპორტი"-ს მიმართ.

- საქმე გადახდისუუნარობის (გაკოტრების) შესახებ შპს "სქაი ჯორჯია"-ს მიმართ. სასამართლოს მიერ გაკოტრების მმართველად დანიშნულია თბილისის სააღსრულებო ბიურო. სასამართლოში გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას (რომელიც გაიხსნა სასამართლოს **18.05.2010წ. განჩინებით**), აღნიშნული კომპანიის მიმართ სასამართლოს მიერ აღიარებული იქნა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მოთხოვნა მხოლოდ **1 403,23 ლარის** ოდენობით. რაც შეეხება სხვა დავალიანებას, რომელიც შპს "სქაი ჯორჯია"-ს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიმართ წარმოეშვა სარეკლამო მომსახურების საფუძველზე, სასამართლოს მიერ აღნიშნული დავალიანება აღიარებული არ იქნა. შესაბამისად, კანონის თანახმად, სასამართლოში წარდგენილი იქნა სარჩელი სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სასარგებლოდ შპს "სქაი ჯორჯია"-სთვის **14 318,01 ლარის** დაკისრების შესახებ, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **15.11.2011წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სრულად და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში**. მაგრამ იმის გამო, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროს უკვე დაწყებული იყო შპს "სქაი ჯორჯია"-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება და გაკოტრების მმართველად დაინიშნა თბილისის სააღსრულებო ბიურო, **მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასამართლომ ხელახლა უნდა მოიწვიოს კრედიტორთა კრება და მიიღოს გადაწყვეტილება 14 318,01 ლარის ოდენობით შპს "სქაი ჯორჯიას" მიმართ საზოგადოებრივი მაუწყებლის მოთხოვნის აღიარების თაობაზე**. ამასთან დაკავშირებით არაერთხელ მიმართა სსიპ "საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" სასამართლოს შესაბამისი განცხადებებით. **სამწუხაროდ, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" სასამართლოსგან არანაირი განმარტება არ მიუღია და ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, სასამართლომ, უკვე მერამდენე წელია ვერ უზრუნველყო კრედიტორთა კრების ჩატარება**.

3. საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ

2014 წლის მე-4 კვარტალში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" შემოვიდა 13 განცხადება, საიდანაც დაკმაყოფილდა 7 განცხადება (ამასთან, ორ განცხადებაზე გაკეთდა შესაბამისი განმარტება), 5 განცხადება არ დაკმაყოფილდა, ხოლო, 1 განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

4. სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

ა) ადმინისტრაციული საჩივრების შესახებ

2014 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა.

ბ) თვითრეგულირების ორგანოში/კომისიაში წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას.

2014 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებლის" თვითრეგულირების ორგანოში საჩივარი არ შემოსულა.

5. სხვა საკითხების შესახებ

გარდა ზემოაღნიშნულისა, იურიდიული სამსახური თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით იძლევა სამართლებრივ კონსულტაციებს, ამზადებს წერილებს, შესაბამის აქტებს და მათ პროექტებს (სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებებს, ბრძანებებს და ა.შ.).

ტექნიკური დეპარტამენტი

1. ტელევიზიის პირველ სართულზე საკუთარი ძალებით დამონტაჟდა და ექსპლუატაციაში გაეშვა ახალი მეექვსე – „კომუნიკატორის" სტუდია. სტუდიის დასამონტაჟებლად გამოყენებულ იქნა ის ტექნიკური საშუალებები, რომლებიც გამონთავისუფლდა ტელეკომპანია „პიკის" და ქუთაისში საზოგადოებრივი მაუწყებლის საპარლამენტო სტუდიებიდან:

2. მეექვსე სტუდიაში დამონტაჟდა ხუთი (5) SONY-ის წარმოების HXC-100 მოდელის HD გარჩევადობის სატელევიზიო ვიდეოკამერა და ვიდეოკამერის არხი მართვის პულტით. ასევე ორი SONY-ის ფირმის BRCH700 მოდელის ფიბერ-ოპტიკური კამერა დისტანციური მართვით. ჯამში შვიდი ერთეული ვიდეო კამერა.
3. სტუდიაში დამონტაჟდა Panasonic-ის წარმოების HD გარჩევადობის სატელევიზიო ვიდეო მიქშერი.
4. დამონტაჟდა Yamaha–ს წარმოების აუდიო მიქშერი 16 შესასლელით მიკრ/ხაზი.
5. სარეჟისორო სააპარატოში და სტუდიაში დაიდგა ორი „Riedel-ის წარმოების ინტერკომის მოწყობილობა, რომლითაც მეექვსე სტუდია დაუკავშირდა საეთერო გამომშვებ სააპარატოს, ტელევიზიის სტუდიებსა და სამონტაჟოებს.
6. ასევე სარეჟისორო სააპარატოში დამონტაჟდა შიდა კავშირის მოწყობილობა ოპერატორებისა და წამყვანებისათვის.
7. მეექვსე სტუდიის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად ცენტრალური სააპარატოდან მეექვსე სტუდიამდე, ახალი სასერვერო სააპარატოს გავლით ჩაიდო 12 ვიდეო 6 აუდიო და 10 „ეზერნეტ“ კაბელი, რომელთა საშუალებით მეექვსე სტუდია დაუკავშირდა ცენტრალურ და საეთერო გამომშვებ სააპარატოებს, „ევიდის“ ინჯესტისა და სამონტაჟო სააპარატოებს.
8. მეექვსე სტუდიაში დამონტაჟდა „ევიდ აი კომანდი“-ის ვიდეო ფაილების გამშვები სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა მეექვსე სტუდიიდან ეთერში გაუშვათ „ევიდის სერვერში“ დამონტაჟებული HD გარჩევადობის სიუჟეტები.
9. ასევე დამონტაჟდა „ევიდის“ HD გრაფიკული სისტემა (AMG).
10. მეექვსე სტუდიის მაღალი გარჩევადობის ვიდეო სიგნალი მიეწოდა ცენტრალურ სააპატოში SONY-ის წარმოების HD მიქშერს, საიდანაც საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის HD კონტენტი ეწოდება ყვენა მსხვილ საკაბელო და თანამგზავრულ ტელევიზიებს, როგორიცაა: „სილქ-ტვ“, „კავკაზუს ონლაინი“, “მაგთი-ტვ“ და სხვა. იმის გამო, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი საქართველოში და თანამგზავრზე ჯერ-ჯერობით ვრცელდება სტანდარტული გარჩევადობის კონტენტით, მეექვსე სტუდიის ვიდეოსიგნალი პირველი არხის გამომშვებ სააპარატოს მიეწოდება SD ფორმატში დაუნკონვერტორის გამოსავლელიდან. ასე რომ „კომუნიკატორის“ სტუდია ტელეცენტრს და სატელიტს პირველი არხის საეთეროდან მიეწოდება სტანდარტული გარჩევადობის, ხოლო ზემოაღნიშნულ საკაბელო ტელევიზიებს მაღალი გარჩევადობის სატელევიზიო კონტენტით.

IV კვარტლის ანგარიში

11. მეექვსე სტუდიის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ტელევიზიის ცენტრალურ სააპსრატოში დამონტაჟდა სხვადასხვა სახის სატელევიზიო აპარატურა: ემბედერ/დეემბედერები, HD გამაძლიერებელ გამანაწილებლები და ა. შ.
12. მოძრავ სატელევიზიო სადგურში დამონტაჟდა HD მაღალი გარჩევადობის 36 არხიანი 2.5 ME ვიდეო მიქშერი.
13. მოძრავ სატელევიზიო სადგურში დამონტაჟდა ახალი სინქრო გენერატორი GPS-ით მართვის საშუალებით.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახური

ზოგადი ინფორმაცია
ინფორმაცია კადრების დენადობის შესახებ

- 2014 წლის მესამე კვარტალში სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ საშუალოდ დასაქმებული იყო 1032 ადამიანი.
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დასაქმდა 66 პიროვნება,
- სამსახურიდან გათავისუფლდა 35 თანამშრომელი.
- საანგარიშგებო პერიოდში სტაჟირება გაიარა 49 ადამიანმა.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია კადრების დენადობის შესახებ თვეების მიხედვით:

	თანამშრომელთა რაოდენობა	კონტაქტორი	განთავისუფლება *(კონტაქტორი)*	მიღება *(კონტაქტორი)*	სტაჟირება
ოქტომბერი	*1021*	*1021*	*20*	*30*	*19*
ნოემბერი	*1035*	*1035*	*10*	*24*	*16*
დეკემბერი	1042	*1042*	*5*	*12*	*14*

IV კვარტლის ანგარიში

1. საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოები

საანგარიშო პერიოდში თანამშრომელს გაუგრძელდა ხელშეკრულება სხვადასხვა პერიოდით, ასევე ეტაპობრივად განხორციელდა თანამშრომლების ხელშეკრულებების განუსაზღვრელი ვადით გაგრძელება (ვისაც შეუსრულდა 5 წლის მუშაობის სტაჟი), გადaეგზავნა თვეების მიხედვით სადაზღვევო მონაცემები ბუღალტერიას, სადაზღვევო კომპანიას და ჯანდაცვის სამინისტროს.